პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრობ) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.

ტელეფ.
) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი 18 ივლისი 1928 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 165 (2208)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

- „ამნისტია“ პოლონეთში.—ამნისტია არ ვრცელდება ლანცუცკიზე.
- მღელვარება პოლონელ ფეიქართა შორის.
- სპეციალური სასამართლოების შემოღება ჩინელ კომუნისტებისათვის.
- კომუნისტური დემონსტრაცია ვენაში.
- ბრიანის პასუხი კელლოგის ნოტაზე.
- ნანკინის მთავრობის წარმომადგენელი საბჭ. კავშირთან ურთიერთობის შესახებ.
- ლონდონში გაიხსნა საერთაშორისო კონგრესი კიბოს მკურნალობის შესახებ.

ს, 18 ივლისს, საღამოს 6 საათზე
თბილისის აღმასკომის შენობაში
ოწვეულია
საქართვ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის
მე-6-ე პლენუმი

დღის წესრიგშია:

ორგანიზაციის შემადგენლობის ზრდა და მოწესრიგება, თბილისის კომიტეტის ივლის-ნოემბრის თვეების სამუშაო გეგმის დამტკიცება, საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმს უნდა დაესწრონ თბილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ყველა წევრები და კანდიდატები, რაიკომების პრეზიდიუმების წევრ-კანდიდატები და მსხვილ საწარმოო უჯრედების მდივნები.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი

კულაკურ გადახრებისა და თანამდებობრივ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება ცნობა ბათომიდან აჭარისტანის ზოგიერთ სამაზრო დაწესებულებათა და ორგანიზაციების მუშაობაში მთელი რიგ უმზგავსოებათა აღმოჩენის შესახებ. ბოროტმოქმედებანი, რომელნიც გამომჟღავნებულია აღნიშნულ დაწესებულება- ორგანიზაციათა საქმიანობაში, არ არის მარტო ადგილობრივ ხასიათის. გარდა ჩვეულებრივ აშკარა სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაულისა, რომელიც ჩაუდენია აჭარისტანის ზოგიერთ მაზრის მუშაკებს, ჩვენს წინაშე იშლება საბჭოთა აპარატის არანორმალური მუშაობის მეტად საგულისხმო სურათი. გასაგებიცაა: აშკარა სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაული სუსტად მომუშავე აპარატის თითქმის განუყრელი თანამგზავრია.

ყველაზე უფრო აღსანიშნავი აჭარისტანის ზოგიერთ სამაზრო დაწესებულება- ორგანიზაციათა მუშაობის გამოკვლევებიდან ის არის, რომ აპარატის გახრწნა მთელ რიგ პუნქტებში ერთნაირად შეეხო რამდენიმე ხელმძღვანელ დაწესებულება-ორანიზაციას. სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედება ერთი მეორეს მისდევს არა მარტო ცალკე დაწესებულების კედლებში, არამედ ერთსა და იმავე დროს ის დაბუდებულია რამდენიმე დაწესებულებაში. ასე მაგალითად, არის უმოქმედობის, გულგრილობის, მფლანგველობის, სახელმწიფო ქონების მითვისების, კულაკური გადახრის და სხვა ფაქტები, რომელთაც ფრთები გაუშლიათ აღმასკომის, სასოფლო- სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის, სამკურნალო დაწესებულებებისა და სხვა ორგანოებში.

ყველა ამ არანორმალობათა შორის ჩვენს ყურადღებას იპყრობს საკითხი ღარიბი გლეხკაცობისათვის საკრედიტო დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამ მხრივ ორ სხვადასხვა სამაზრო პუნქტებში —ქობულეთში და ხულოში ადგილი აქვს ერთ და იმავე უმზგავსოებას. ხულოს სასოფლო- სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა ღარიბ გლეხობის ფონდიდან დახმარებას უწევდა კულაკებს. ქობულეთის სასოფლო- სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა კიდევ უფრო შორს წავიდა: მან ღარიბთა ფონდი მოახმარა კულაკებს და ვაჭრებს.

ორ საკრედიტო ამხანაგობათა ასეთი „შეთანხმებული“ აშკარა კულაკური გადახრა შემთხვევითი ხასიათის არ არის. ჩვენ ვიცით, რომ იქ, სადაც საკრედიტო ამხანაგობებში სუსტია სწორი პარტიული ხელმძღვანელობა, სადაც მოიკოჭლებს ღარიბთა შორის მუშაობა, ხშირად პოულობს ნიადაგს კულაკური გადახრის ტენდენცია. ასეთ შემთხვევაში სასოფლო- სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი ღებულობენ გეზს „კრედიტის უნარის მქონე“ გლეხობისაკენ, ანუ კულაკობისაკენ. პარტიის ხაზის ამგვარი აშკარა და უხეში დარღვევის წინააღმდეგ კარგა ხანია სწარმოებს დაუნდობელი ბრძოლა. უკვე საყოველთაოდ მიღებულია ის აზრი, რომ საზოგადოთ ყველა ჩვენი ორგანოების და კერძოდ საკრედიტო დაწესებულების მიზანი სოფლად არის ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენა, მათი კოლექტიურად შეკავშირება და კაპიტალისტური ელემენტების განვითარების წინააღმდეგ ბრძოლა. მიუხედავად ამისა, პრაქტიკულად ეს ბევრგან კიდევ არ არის სათანადოთ შეთვისებული. ეს რომ ასეა, ამას მჭერმეტყველურად მოწმობს ქობულეთისა და ხულოს მაგალითი, სადაც სოციალისტურ მშენებლობის ერთ-ერთი ძლიერი იარაღი სოფლად —საკრედიტო ამხანაგობა, ფაქტიურად გადაიქცა კაპიტალისტურ ელემენტების მასაზრდოებელ წყაროდ.

აჭარისტანის ზოგიერთ სამაზრო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის გამოკვლევაში აღსანიშნავია აგრეთვე მეორე მომენტი. ყველა უმზგავსოებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ ორგანიზაციის მუშაობაში, აღმოაჩინა სახელმწიფო საკონტროლო ორგანომ. არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს საბჭოთა აპარატის გახრწნა ქობულეთ-ხულოს რაიონში ერთი ან ორი დღის, ან კვირის განმავლობაში მოხდა. უეჭველია, ის თვეებით და წლობით მზადდებოდა, უეჭველია, რომ ეხლა უკვე საყოველთაოდ გამოაშკარავებულ უმზგავსოებათა შესახებ ზოგიერთ ვინმემ იცოდა, მიუხედავად ამისა, სანამ აღნიშნულ ორგანოების მუშაობას არ შეეხო სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ხელი, მთელი რიგი სისხლის სამართლის ხასიათის ბოროტმოქმედებანი და კულაკური გადახრის მიუტევებელი დანაშაულობანი შეუმჩნეველი რჩებოდა.

ასეთი მდგომარეობა მრავალ მხრივ არის საყურადღებო. პირველ ყოვლისა ეს გვეუბნება იმის შესახებ, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი ბევრ ჩვენ რაიონებისათვის ჯერ კიდევ რჩება ლიტონ სიტყვათ. მას ჯერ კიდევ ბევრგან ვერ მიუღწევია მშრომელი მასის შუაგულ ფენებამდე. და ეს სჩანს თუნდაც იქიდან, რომ დღემდე ზოგიერთ სამაზრო ორგანიზაციებსაც კი ვერ შეუთვისებიათ თვითკრიტიკის მნიშვნელობა.

გარა ამისა, ის ფაქტი, რომ ქობულეთ- ხულოს ორგანოებში აღმოჩენილი უმზგავსოებანი ამდენი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველი რჩებოდა, მოწმობს, რომ აქ სუსტი იყო პარტიის ხელმძღვანელობა. არც საბჭოს, არც საკრედიტო ამხანაგობის ,არც სამკურნალო დაწესებულებათა ხაზით, არ სჩანს პარტორგანიზაციის მტკიცე ხელი. ყველაფერი თავის თავად და სტიქიურად მიმდინარეობდა.

ხულო- ქობულეთის ზოგიერთ სამაზრო დაწესებულებათა- ორგანიზაციების „მუშაობიდან“ სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებმა. ხულო- ქობულეთის გაკვეთილი უნდა გამოყენებულ იქნა საკუთარი მუშაობის შესამოწმებლად, საკუთარ შეცდომათა გამოსასწორებლად. თვითკრიტიკა, მასის აქტიურად ჩაბმაა პარტიულ- საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების საქმიანობაში, პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება და განვლილი მუშაობის სისტემატიურად შემოწმება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეეფერება ეს მუშაობა ჩვენს პრაქტიკულ ამოცანებს და საბოლოო მიზანს, მთავარი საწინდარია იმისათვის, რომ სხვაგანაც ადგილი აღარ დაურჩეს ხულო- ქობულეთის ზოგიერთ დაწესებულება -ორგანიზაციებში აღმოჩენილ მზგავს ბოროტმოქმედებებს.

მსოფლიო კომუნისტური კონგრესი

დღეს იხსნება კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესი. პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში თავი მოიყარა 500-მდე დელეგატმა 50-ზე მეტი ქვეყნიდან. ისინი წარმოადგენდენ საერთაშორისო პროლეტარიატის მოწინავე და ყველაზე უფრო რევოლიუციონურ ელემენტს, მსოფლიო პროლეტარული დიქტატურა, მსოფლიო კომუნიზმი,—აი მათი ბრძოლის მიზანი; მარქსის და ლენინის მოძღვრება,—აი მათი იდეური დროშა' ლენინი, —აი დამაარსებელი მუშათა ამ მძლავრი რევოლიუციონური რაზმისა, რომელიც თავისი არსებობის 9 წლის განმავლობაში უდიდეს საერთაშორისო ძალად გადაიქცა.

რა საკითხები სდგას პროლეტარული რევოლიუციონერების მეექვსე საერთაშორისო კონგრესის დღის წესრიგში? კონგრესი უწინარეს ყოვლისა განიხილავს იმ გზას, რომელიც განვლო კომუნისტურმა ინტერნაციონალმა უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც კომუნისტური პარტიების დელეგატები შეიკრიბნენ მეხუთე კონგრესზე 1924 წელს, იმპერიალისტური ომის დაწყების ათის წლის თავზე. მსოფლიო კაპიტალიზმი განიცდის შედარებითი სტაბილიზაციის ხანას. წლიდან წლამდე, ქვეყნიდან ქვეყანაში გაისმის მომავალი კომუნისტური რევოლიუციის გრგვინვა. მეხუთე კონგრესი შეიკრიბა მაშინ, როდესაც კაპიტალისტური გერმანია ახალი გამოსული იყო 1923 წლის რევოლიუციონური კრიზისიდან. მეხუთე კონგრესის შემდეგ, 1924 წლის დეკემბერში მოხდა აჯანყება ესტონეთში; 1925 წლის აპრილში—აჯანყება მაროკოში, ხოლო იმავე წლის აგვისტოში—სირიაში. 1926 წლის მაისი აღინიშნა ინგლისის საყოველთაო გაფიცვით, რომლის შემდეგაც გრძელდებოდა მემაღაროეთა გმირული გაფიცვა. 1926 წლის დამლევს ჩინეთის რევოლიუცია გავარვარებული კოცონივით აპრიალდა და მოუახლოვდა შემდგომი წლების უდიდეს ტრაგიკულ მოვლენებს. გასულ წელს მოწმენი ვიყავით ვენის მუშების აჯანყებისა. აჯანყება ინდონეზიაში, ღრმა ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობა ინდოეთში—ყოველივე ეს საერთაშორისო რევოლიუციის განვითარების ეტაპებია. ამ ეტაპების გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე კაპიტალისტური „სტაბილიზაცია“, რომელიც თითონ წარმოშობს დაშლისა და კრიზისის ფაქტორებს.

კომუნისტური პარტიები ევროპის უდიდეს ქალაქებში (ბერლინი, პარიზი, ვარშავა) ხდებიან უძლიერეს პარტიებად პროლეტარიატის წრეში,—ასეთია უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების შედეგი კომინტერნის აღმასკომის საანგარიშო მოხსენების მიხედვით მეექვსე კონგრესი ჯამს გაუკეთებს ამ სახელოვანი ბრძოლის გზას. ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა მასების გამემარცხენების ღრმა სტიქიური პროცესი ცხადი და უეჭველია. ეს პროცესი მიმდინარეობს კოლონიალური რევოლიუციების განვითარებისა და საბჭოთა კავშირის სოციალისტური აღმშენებლობის ზრდის პარალელურად. ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებში ეს პროცესი იმდენად გარკვევით ჩაისახა, რომ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა შესძლო გადასულიყო ბრძოლის ისეთ ფორმებზე, რომლებიც მოასწავებენ ბრძოლის შემდგომ გამწვავებას სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ და რომლებიც მიმართულნი არიან იმისკენ, რომ უშუალოდ შეიქმნას მუშათა ფრონტი ქვედა ფენებიდან სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და, საერთოდ, რეფორმისტების წინააღმდეგ. ამა წლის საარჩევნო კამპანიების გამოცდილებამ ინგლისში, საფრანგეთში და გერმანიაში, ისევე, როგორც პროფესიონალური ბრძოლის გამოცდილებამ, მთლიანად და სავსებით გაამართლა აღნიშნული ახალი გეზი მთლიანი ფრონტის ფარგლებში, რომელსაც დაადგა კომინტერნი მიმდინარე წლის დასაწყისში. ამ ახალ ტაქტიკურ გეზს აუცილებლად დადებითი შედეგები მოჰყვა კომპარტიისათვის. ამასთან დაკავშირებით კომინტერნის პარტიები, აწარმოებენ რა შეუსუსტებელ ბრძოლას ტროცკისტულ ტენდენციებთან. რომლებიც სოციალ-დემოკრატიისაკენ იხრებიან, სძლევენ თავიანთ რიგებში ისეთ მემარჯვენე შეცდომებსაც, რომლებისთვისაც მემარცხენე ფრაზები დამახასიათებელი არ არის. [illegible] მის შედარებითი სტაბილიზაციისა და სოციალ დემოკრატიის წინააღმდეგ გამწვავებული ბრძოლის პერიოდში ასეთი ტენდენციების საფრთხე რეალურია და მოითხოვს ენერგიულ ბრძოლას კომინტერნის ხელმძღვანელობის მხრივ.

კომინტერნის აღმასკომის ანგარიშისა და მისი შემდგომი ამოცანების განხილვის შემდეგ, კონგრესი განიხილავს კომინტერნის უდიდეს საკითხს—საკითხს მისი პროგრამის შესახებ. კონგრესს უკვე უძღოდა წინ დისკუსია პროგრამის შესახებ. აღმასკომის მიერ შემუშავებული პროექტი წარმოადგენს მკვიდრ იდეურ საფუძველს პროლეტარების კომუნისტური ავანგარდის საერთაშორისო ბრძოლისათვის. კომინტერნის პროგრამის შინაარსი ყოველი პროლეტარის წინაშე შლის მსოფლიო პროლეტარული დიქტატურისა და მსოფლიო კომუნიზმისათვის წარმოებული ბრძოლის გარკვეულ პერსპექტივებს. თვით პროგრამა იქნება ერთ-ერთ ბასრი იარაღი სოციალ-დემოკრატიის თეორეტიულ სისაძაგლეებთან საბრძოლველად და ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება რევოლიუციონური მუშების დასარაზმავად მარქსისა და ლენინის დროშის გარშემო.

ომის საკითხი კომინტერნის მეექვსე კონგრესზე სდგას დღის წესრიგის განსაკუთრებულ საკითხად, და საჭირო არ არის იმის ახსნა, თუ რატომაა ასე. 14 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც აურაცხელი მსხვერპლი შეიწირა და რომელიც დამთავრდა ვერსალის „ზავით“. ხოლო ამ „ზავმა“ არავითარი დაკმაყოფილება და დამშვიდება არ მისცა ხალხებს. და აი კვლავ გვევლინება ჟლეტა-ხოცვის აჩრდილი, კვლავ იჩენს თავს ახალი მსოფლიო ომის საფრთხე, და ეს უკანასკნელი თავისთავად იხმება დღის წესრიგში. ბურჟუაზიის მრავალი პაციფისტური ყრილობა და სოციალ-დემოკრატებისა და რეფორმისტების მრავალზე უმრავლესი დამშვიდებული რეზოლიუცია ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაფარავს იმ ფაქტს, რომ ბურჟუაზიის შეიარაღება იზრდება და იგი სჭარბობს 1914 წლის შეიარაღებას ბურჟუაზია ამზადებს (ადგილ-ადგილ აწარმოებს კიდეც) ახალ ომებს, ხოლო სოციალ-დემოკრატია ყოველ ქვეყანაში, ლაყბობს რა მშვიდობიანობისათვის ბრძოლის შესახებ, ილაშქრებს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინზედაც მიუთითებს მას მისი ნაციონალური ბურჟუაზია, ილაშქრებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ილაშქრებს ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ, აღვივებს ნაციონალურ ანტაგონიზმს ევროპის და სხვა ქვეყნების ხალხებს შორის.

ომის საკითხი არ შეიძლება იდგეს კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესის წინაშე ისე, თუ ის დაკავშირებული არ იქნება სოციალ-დემოკრატიისა და რეფორმიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხთან. სოციალ-დემოკრატია—აი ვინ იქნება მთავარი დამნაშავე მომავალ ომში, ვინაიდან ის უბოროტავს ხელფეხს საერთაშორისო მუშათა კლასს მის ბრძოლაში იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური სამხედრო ავანტიურების წინააღმდეგ. ამასთან ერთად კონგრესის წინაშე დასმება, ამოცანა დაამუშაოს, კომპარტიების გამოცდილების მიხედვით, საკითხი იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უნდა გაატარონ კომუნისტურმა პარტიებმა როგორც ომის წინ ისე მის დაწყებისას.

დღის წესრიგის განსაკუთრებულ პუნქტს წარმოადგენს კოლონიალური საკითხი. უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში კოლონიალურმა მოძრაობამ განვითარების ისეთი ღირსშესანიშნავი გზა განვლო, როგორიც მას უწინ მთელი საუკუნეების განმავლობაში არ გაუვლია. ლაპარაკია, უწინარეს ყოვლისა, ჩინეთის რევოლიუციაზე. კომინტერნის ამოცანაა — ჯამი გაუკეთოს ამ რევოლიუციის გამოცდილებას, გამოიყვანოს ამ რევოლიუციიდან გაკვეთილები სხვა კოლონიალურ ქვეყნებისათვის და თვით ჩინეთის რევოლიუციის გამარჯვებით დასაგვირგვინებლად წარმოებული ბრძოლისათვის. ამავე დროს ინდოეთის მოძრაობაც მოითხოვს იმ სპეციფიურ თავისებურობათა განზოგადოებას და აღრიცხვას, რომლებიც იქ თავს იჩენენ (კოლონიალური ბურჟუაზია, რომელიც პირველ ეტაპზევე ადგია არა რევოლიუციონურ პოზიციას იმპერიალიზმის მიმართ, არამედ მხოლოდ „ოპოზიციონურს“ და სხვ.).

დასასრულ, მეექვსე კონგრესის დღის წესრიგში სდგას საკითხი საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ. საბჭოთა კავშირი მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლოა. ეს ის ქვეყანაა, რომლისკენაც იმედით და რწმენით აქვთ მიპყრობილი თვალი ყველა ქვეყნის მშრომელთ. ამ ქვეყნის დაცვა მტაცებელ იმპერიალისტების თავდასხმისაგან წარმოადგენს თვითეული ქვეყნის პროლეტარების კლასობრივ მოვალეობას. საბჭოთა კავშირში წარმოებული სოციალისტური მშენებლობა არ შეიძლება არ იპყრობდეს ყველა ქვეყნის კომუნისტების და მათი წარმომადგენლების ყურადღებას. საბჭოთა კავშირში ამჟამად სწარმოებს მძლავრი სოციალისტური მშენებლობა. აქ გაჩაღებულია მუშაობა ჩვენი ქვეყნის აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიალურ ქვეყანად გარდასაქმნელად, გაჩაღებულია სოციალისტური მშენებლობა არა მარტო ქალაქში, არამედ სოფელშიაც. ვერავითარი დროებითი დაბრკოლება ვერ დაჩრდილავს საბჭოთა კავშირის მდგომარეობის ამ ძირითად ფაქტებს. პროლეტარული დიქტატურა მტკიცედ მიიწევს წინ სოციალიზმის განვითარების გზით, აწარმოებს შეტევას ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურ ელემენტებზე, მტკიცედ ატარებს წვრილი და საშუალო გლეხობის კოოპერაციასა და კოლექტივებში ჩაბმის პოლიტიკას და ფართო მასშტაბით იწყებს პურის სახელმწიფო სოციალისტური ფაბრიკების და საბჭოთა მეურნეობების შექმნას. ამავე დროს საბჭოთა კავშირის კომპარტია თავისი ხელმძღვანელობით ანვითარებს გიგანტურ მუშაობას მშრომელი მასების სოციალისტურ მშენებლობაში ჩასაბმელად, ანვითარებს პროლეტარულ დემოკრატიას და თვითკრიტიკას, უშიშრად ააშკარავებს მასების წინაშე ჩვენი აპარატებისა და ორგანიზაციების წყლულებსა და მტკივნეულ ადგილებს, სწმენდს და აჯანსაღებს ამ ორგანიზაციებს.

კომინტერნის მეექვსე კონგრესს, რომელმაც დიდად ნაყოფიერი მუშაობა უნდა ჩაატაროს, განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა ექნება. მისი მუშაობა ჯამს გაუკეთებს და განაზოგადოებს იმ კომუნისტური მოძრაობის უდიდეს გამოცდილებას, რომელსაც ადგილი აქვს იმპერიალიზმის ქვეყნებშიაც, კოლონიალურ ქვეყნებშიაც და პროლეტარული დიქტატურის პირველ ქვეყანაშიაც. კომინტერნის პროგრამის მიღება იქნება პროლეტარების მასიური რევოლიუციონური კლასობრივი ბრძოლის მთელი მსოფლიო გამოცდილების თეორეტიული დაგვირგვინება. კომინტერნის პროგრამა იქნება იდეური მუქარა მშრომელი კაცობრიობისათვის.

მხურვალე ძმური სალამი მეექვსე კონგრესის დელეგატებს საბჭოთა კავშირის კომუნისტებისა და მუშებისაგან!

„პრავდა“, 17 ივლისი.

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება შესწყდა

ინგლისისა და საფრანგეთის პოზიცია „ომის აკრძალვის“ საკითხში

ჩეხო-სლოვაკიის ბურჟუაზიის შეტევა კომპარტიაზე.--კომუნისტ-მოხელეების მოხსნა

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება შესწყდა

ვარშავა, 16 ივლისი. შესწყდა პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება, რომელიც ვარშავაში სწარმოებდა. ლიტვის დელეგაცია არ დასთანხმდა, რომ პოლონეთ-ლიტვას შორის ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირი კავშირი გაბმულიყო და წინადადება შეიტანა, რომ ეს კავშირი დამყარდეს აღმოსავლეთ პრუსიის გზით. პოლონეთის დელეგაცია ამ წინადადებაზე არ დასთანხმდა.

კომუნისტების დემონსტრაცია ვენის აჯანყების წლის თავზე

ვენა, 16 ივლისი. 14 ივლისს ვენის ცენტრალურ სასაფლაოზე გაიმართა კომუნისტური დემონსტარცია ვენის მუშების აჯანყების (1926 წ. 15 ივლისს) წლისთავის აღსანიშნავად. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის ბურჟუაზია შეტევაზე გადადის

პრაღა, 16 ივლისი. ჩეხო-სლოვაკიის ბურჟუაზიულმა პარტიებმა სწრაფად გამოიყენეს „წითელი დღის“ მარცხი კომპარტიისა და პროლეტარიატზე, პოლიტიკური იერიშების მისატანად. კამპანია დაიწყო აგრარიების გენერალურმა მდივანმა ვერანმა, რომელმაც ბრუჟენიცაში მიტინგზე მოითხოვა კომუნისტების მოხსნა სახელმწიფო სამსახურიდან.

მთავრობა უკვე გამოეხმაურა ამ მოთხოვნილებას. სამსახურიდან მოხსნეს რამდენიმე მოხელე, რომელთაც 6 ივლისს მონაწილეობა მიიღეს დემონსტრაციაში. მთავრობის პრესა მოითხოვს სასტიკ სასჯელს, იყენებს რა საბუთად შახტის პროცესს, როგორც მაგალითს, თუ როგორ უსწორდება საბჭოთა ხელისუფლება სახელმწიფო მოსამსახურეებს მავნებლობისათვის. (ადს).

გერმანიის პრესა სოლსბერის განცხადების შესახებ

ბერლინი, 16 ივლისი. გერმანიის პრესა კმაყოფილებით უკეთებს კომენტარიებს სოლსბერის ლოიალურ განცხადებას თემთა პალატის სხდომაზე. სხდომაზე ირჩეოდა საკითხი ჰამბურგში შხამიანი გაზების აფეთქების შესახებ. პრესა აღნიშნავს, რომ სოლსბერი სრული ნდობით მოეპყრა გერმანიის მთავრობის განცხადებას იმის შესახებ, რომ ამ შემთხვევაში არ ყოფილა დარღვეული კანონი გერმანიაში ასაფეთქებელ ნივთიერებათა დამზადების და შენახვის შესახებ.

„დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგ“ ილაშქრებს ლორდთა პალატის ზოგიერთ წევრების წინააღმდეგ, რომლებიც კამათში მოითხოვდენ სამხედრო კონტროლის დაწესებას გერმანიაზე.

„ჩვენ არაჩვეულებრივ თავხედობად მიგვაჩნია,—სწერს გაზეთი, — როცა უცხოეთის პოლიტიკოსები ფიქრობენ, რომ მათ შეუძლიათ მოითხოვონ, რათა გერმანიის ხალხმა დაუსრულებლად დაუშვას მის შინაურ საქმეებში ჩარევა. ის, ვისაც აინტერესებს საწამლავი გაზები და მათი გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის, ფართო სამოქმედო ასპარეზს იპოვის ინგლისში და საფრანგეთში“. (ადს).

პილსუდსკის რესპუბლიკაში

ამნისტია პილსუდსკისებურად

ვარშავა, 16 ივლისი. გამოქვეყნდა კანონი ამნისტიის შესახებ. ამნისტია ეხება მხოლოდ იმათ, ვისაც მისჯილი აქვს პატიმრობა 4 წლის ვადამდე. მაგრამ ამნისტიით სამუდამო პატიმრობა იცვლება 10 წლის პატიმრობით. ტუსაღთა შორის, რომელთაც სამუდამო პატიმრობა 10 წლის პატიმრობით შეეცვალათ, არის ვოიკოვის მკვლელი კავერდაც; იგი საპატიმროში უნდა იჯდეს კიდევ 9 წელიწადი. სტეფან ლანცუტკის ამნისტია არ ეხება, რადგან ლანცუცკის 5 წლის პატიმრობა აქვს მისჯილი.

ამნისტიის გამოქვეყნების შემდეგ ვარშავის საპატიმროები შეუდგნენ პატიმართა განთავისუფლებას. 14 ივლისს განთავისუფლებულ იქნა 300 პატიმარი, რომელთაგან პოლიტიკურია მხოლოდ 20 კაცი. (ადს).

ჟურნალისტი ქალი თუ პოლიტიკური მუშაობა?

ვარშავა, 16 ივლისი. „კურიერ პორანი“-მ გამოაქვეყნა მკაცრი წერილი „ბერლინერ ტაგებლატი“-ს ვარშაველი კორესპონდენტის წინააღმდეგ იმ კორესპონდენციის გამო, რომელიც ეხება პოლონეთის შინაურ მდგომარეობას. პილსუდსკისთან ინტერვიუს შემდეგ და იმ მიზეზს, რამაც პილსუდსკის ხელი აადებინა რუმინეთში გამგზავრებაზე. გაზეთი აცხადებს, რომ კორესპონდენტის მოქმედებას საერთო არაფერი აქვს ჟურნალისტიკასთან, იგი წარმოადგენს „პოლიტიკურ მუშაობას“, რომლის მიზანია, ზიანი მიაყენოს პოლონეთს“.

მღელვარება პოლონეთის ფეიქართა შორის

ვარშავა, 16 ივლისი. ლოძში განახლდა მღელვარება პოზნანსკის საფეიქრო ფაბრიკის მუშებს შორის. პოლიციასთან შეტაკების დროს ბევრი მუშა დაიჭრა. დირექციამ ლოკაუტი გამოაცხადა გაფიცულ ცეხებში. გაფიცვამ თავი იჩინა აგრეთვე ოზორკოვში პიოტროვსკის მანუფაქტურაზე. (ადს).

მონღოლეთის დამოუკიდებლობის 7 წლის თავი

ულან-ბატორ, 17 ივლისი. 11 ივლისს მონღოლეთში იდღესასწაულეს მონღოლეთის დამოუკიდებლობის 7 წ. თავი. მონღოლეთის სახალხო მთავრობამ გამართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ მონღოლეთის სახალხო მთავრობის, სახალხო არმიის და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წარმომადგენლები. (ადს)

შეტაკება პოლიციასთან

ლონდონი, 16 ივლისი. რეიტერის სააგენტო კალკუტიდან იუწყება:

„ბაუერის ფაბრიკაზე, კალკუტიდან 210 მილის მანძილზე, იფეთქა მღელვარებამ. მღელვარება გამოიწვია ოთხი მუშის დათხოვნამ. მუშები შეიკრიბნენ ფაბრიკის სამმართველოს შენობის წინ და ქვები დაუშინეს შენობას. გამოიწვიეს პოლიცია, რომელმაც სროლა დაიწყო. დაიჭრა 24 მუშა. პოლიციის უფროსი და რამდენიმე პოლიციელი დაშავდა. ოთხი მუშა დააპატიმრეს.

კელლოგის წინადადების გარშემო

ბრიანის პასუხი კელოგს

პარიზი, 16 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „ბრიანმა თავის საპასუხოში აცნობა კელოგს: საფრანგეთის მთავრობა ბედნიერია აღნიშნოს, რომ რამდენადაც ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების მთავრობის მიერ წამოყენებული ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება საფრანგეთის-მიერ ნაკისრ წინანდელ ხელშეკრულებებს, იმდენად საფრანგეთის მთავრობა მზად არის დაუყოვნებლივ მოაწეროს მას ხელი“.

ჩემბერლენი თავს იძვრენს

ლონდონი, 16 ივლისი. თემთა პალატაში ჩემბერლენს შეეკითხნენ: როდის აპირებს ინგლისის მთავრობა კელოგის მიერ წამოყენებულ ომის ამკრძალავ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას?

ჩემბერლენმა განაცხადა, რომ იგი ამ შეკითხვაზე პასუხს ვერ გასცემს, მაგრამ მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ დააჩქაროს პასუხი კელოგის უკანასკნელ ნოტაზე.

მუშათა პარტიის დეპუტატმა ვეჯვუდმა იკითხა: აქვს თუ არა რაიმე საფუძველი პარიზიდან მიღებულ ცნობას იმის შესახებ, რომ ინგლისი და საფრანგეთი მზად არიან ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას და ზედ დაურთონ ოქმი შენიშვნებით? მართალია თუ არა, რომ ინგლისის დომინიონები აპირებენ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას ყოველგვარი შენიშვნის გარეშე?

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ მას საკმაო ინფორმაცია არა აქვს.

„დეილი ჰერალდი“ კომენტარიებს უკეთებს ჩემბერლენის პასუხს და დასძენს: ეს პასუხი წარმოადგენს არა სიფრთხილის, არამედ თავის დაძრომის ნიმუშსო. (ადს).

სკოტლანდ-იარდის „მეთოდები“

ლონდონი, 16 ივლისი. ჯონისონ ხიკსი იხილავს იმ კომისიის დასკვნებს, რომელიც აწარმოებდა გამოძიებას ირინა სევიჯის დაკითხვის შესახებ სკოტლანდ იარდში („მესამე ხარისხის მეთოდების“ გამოყენება, ოქმში ჩვენების დამახინჯებულათ შეტანა და სხვ.), კომისიის უმრავლესობის დასკვნა ამბობს, რომ თუმცა ამ შემთხვევაში პოლიციამ მიმართა „არაჩვეულებრივ მეთოდებს“, მაგრამ ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია და პოლიცია მოქმედებდა საპროკურორო ზედამხედველობის უფროსთან შეთანხმებით. უმცირესობის (კომისიის წევრი — მუშათა პარტიის დეპუტატი ლი-სმიტი) დასკვნა ამბობს, რომ სევიჯის ჩვენება კომისიაში უფრო სარწმუნოა, ვიდრე პოლიციელების ჩვენება, და აღნიშნავს, რომ სკოტლანდ-იარდის ინსპექტორები კოლინზი და კლარი ღირსნი არიან გაკიცხვისა. გარდა ამისა, ლი-სმიტი საჭიროდ სთვლის დაკითხვის წესების გადათვალიერებას. (ადს)

ნორვეგიის კომპარტიის ორგანოს რედაქტორის საქმე

სტოკჰოლმი, 17 ივლისი. 12 ივლისს ოსლოში მშენებელთა გაფიცვის შესახებ წერილების მოთავსებისთვის დააპატიმრეს ნორვეგიის კომპარტიის „ნორვეს კომუნისტბლატ“-ის რედაქტორი არვიდ განსენი. განსენს მიუსაჯეს საპატიმროში ჯდომა 1 თვით. წინასწარი პატიმრობის ვადის ჩათვლის გამო განსი გაანთავისუფლეს. (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

უ-ჩჟაო ჩუ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ

შანხაი, 17 ივლისი. ნანკინის მთავრობის ოფიციოზი „რეპუბლიკენ დეილი ნიუს“ ბეჭდავს ამჟამად ამერიკაში მყოფ უ-ჩჟაო-ჩუს წერილს, რომელიც გამოქვეყნებული იყო ნიუ-იორკში. წერილში ნათქვამია, რომ არავითარი საფუძველი არ არის ძალაში დარჩეს ეხლანდელი მდგომარეობა, როცა საბჭოთა კავშირთან შეწყვეტილია ყოველგვარი ურთიერთობა.

„თუ რუსეთი,— სწერს უ-ჩჟაო-ჩუ, —მოგვცემს გარანტიას, რომ არ ჩაერევა ჩინეთის შინაურ საქმეებში, ნაციონალური მთავრობა სიხარულით აღადგენს მასთან ურთიერთობას“. (ადს)

სინცზიანის გუბერნატორის მკვლელობა

შანხაი, 16 ივლისი. ნანკინის მთავრობის ოფიციალური ცნობით, სინცზიანის გუბერნატორი იან-ცზენ-სინი მოჰკლეს მისმა მკვლელებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდა ფან-იაო-ნანი (სინცზიანის პროვინციალური მთავრობის გარეშე საქმეთა კომისარია). ფან-იაო-ნანი და 20 მკვლელი სიკვდილით დასაჯეს. ნანკინის მთავრობამ გასცა ბრძანება საქმის გამოძიების შესახებ. (ადს)

მანჯურიის პრობლემა

შანხაი, 16 ივლისი. გომინის სააგენტოს ცნობით, სამხრეთელთა სხვადასხვა არმიების სარდლები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სასურველია მანჯურიის პრობლემის გადაჭრა მშვიდობიანი გზით.

პეკინის სამხედო წრეებში, სააგენტოს სიტყვით, დარწმუნებულნი არიან, რომ ჩან-ძო-ლინის მემკვიდრენი თანდათან შეიგნებენ შექმნილ მდგომარეობის აზრს და თვითონ დაემორჩილებიან ნანკინის მთავრობას. (ადს)

სპეციალური იუსტიცია კომუნისტებისათვის

შანხაი, 16 ივლისი. ნანკინის მთავრობამ წინადადება მისცა ფინ-იუსიანს შექმნას ხენანის, შანსის და განსუს პროვინციებში სპეციალური ტრიბუნალები კომუნისტების საქმის გასარჩევად. ცზუზიანში და ცზიანსის პროვინციის სხვა ქალაქებში ტრიბუნალი უკვე არსებობს. ნანჩანში ანტიკომუნისტურმა კომიტეტმა 7 კომუნისტს, მათ შორის ჩენ-კაი ტაიას, სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ამ დღეებში გაჩხრიკეს ტელეფონის ცენტრალური სადგურის შენობა, მაგრამ კომუნისტების თანამგრძნობი თანამშრომლები იქ ვერ აღმოაჩინეს. ხანკოუში სიკვდილით დასაჯეს კომუნისტი ჩიონ-პაი-ო. (ადს)

თავდასხმა ტაი-პინ-ჩჟოზე

შანხაი, 16 ივლისი. თავს დაესხენ ცნობილ გომინდანელს, გომინდანის ცენტრალურ ორგანოს „მინ-გო-ჟიბაოს სარედაქციო კოლეგიის წევრს ტაი-პინ-ჩჟოს, რომელიც გაზეთ „სინ-ვან-ბაო“-ს ცნობით შანხაიში ჩავიდა კომუნისტებთან საბრძოლველად. ტაი-პინ-ჩჟო მძიმედ დაიჭრა. თავდამსხმელები მიიმალენ. (ადს)

ინგლისთან შეთანხმებით

ტოკიო, 16 ივლისი. „ნიცი-ნიცი“-ს ცნობით, მინისტრთა კაბინეთის სხდომაზე პრემიერი ტანაკა გამოვიდა განცხადებით იაპონია- ჩინეთის ურთიერთობის საკითხზე:

„იმასთან დაკავშირებით, რომ ნანკინის მთავრობამ გადასწყვიტა შეუთვგეს ჩინეთის მიერ სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებების გადათვალიერებას, იაპონიას მოლაპარაკება აქვს ინგლისთან, რომელიც, როგორც სჩანს, იზიარებს იაპონიის თვალსაზრისს. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ მოვაწესრიგებთ შეთანხმებულ თანამშრომლობას ინგლისთან“. (ადს)

ფეიქართა კონფერენცია

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. ფეიქართა პროფესიონალური კავშირის მემარცხენე ფრთის კომიტეტი 23 სექტემბერს ნიუ-იორკში იწვევს ფეიქართა კონფერენციას ფეიქართა ახალი ნაციონალური კავშირის მოსაწყობად. კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ არსებულ კავშირს არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მწარმოებლებს, და ჰკიცხავს კავშირის ხელმძღვანელ ბიუროკრატებს. (ადს).

სხვადასხვა

ექსპედიცია კალახარის უდაბნოში

ლონდონი, 16 ივლისი. ინგლისური ფირმის წარმომადგენელმა ბეჩუანალენდში (ინგლისის კოლონია სამხრეთ აფრიკაში) ლივინგსტონმა წარმატებით გაიარა უწყლო უდაბნო კალახარი. ლივინგსტონის ექსპედიციამ 12 დღის განმავლობაში გაიარა 400 მილი. ლივინგსტონი პირველი თეთრკანიანი მოგზაურია, რომელმაც შესძლო კალახარის შესწავლა. ექსპედიციის შემდეგ გაიგზავნა ავტომობილი რომელმაც 600 მილი გაიარა 9 დღეში. (ადს).

ახალი მსოფლიო რეკორდი

პარიზი, 16 ივლისი. ფრანგმა მფრინავმა ქალმა ბასტიმ დაამყარა პატარა მგზავრების ჰაეროპლანის შეუჩერებელი გადაფრენის ახალი რეკორდი. ბასტი 6 საათზე გაფრინდა ლე ბურჟეს აეროდრომიდან (პარიზის მახლობლად) და 21 საათზე დაეშვა დანცინგის მახლობლად, და ამრიგად განვლო 1.154 კილომეტრი. წინანდელი რეკორდი 858 კილომეტრს უდრიდა.

პროტესტი სპარსეთში არსებულ საარჩევნო წესების წინააღმდეგ

თეირანი, 16 ივლისი. „შეფაგ-ედ-სორხ“-ის ცნობით, მეჯლისში მუშირ-ედ დოვლემ და მისმა ძმამ მოტემენ-ოლ-მოლკმა უარი განაცხადეს თავიანთ მანდატებზე. ამ ნაბიჯს პოლიტიკურ წრეებში უყურებენ, როგორც პროტესტს სპარსეთში არსებულ საარჩევნო წესების წინააღმდეგ. (ადს)

ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთ

ძვირფასო ამხანაგებო!

წითელ მოსკოვში, სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დიდი კავშირის წითელ დედა-ქალაქში. გაიხსნა მსოფლიო რევოლიუციის მებრძოლი შტაბის — კომუნისტური ინტერნაციონალის მე-6 კონგრესი.

მძიმე, სისხლით მორწყული გზა გაიარეს მუშებმა, გლეხებმა და დაჩაგრულმა ხალხმა იმ წლებში, რომლებმაც განვლეს კომუნისტური ინტერნაციონალის მე-5 კონგრესის შემდეგ. მსოფლიო ბურჟუაზიამ ყველგან გააძლიერა იერიში მუშათა კლასზე. იმპერიალიზმი სასტიკად, სისხლითა და მახვილით ახშობს კოლონიალური ხალხების აჯანყებებს,—იმ ხალხების აჯანყებებს, რომლებიც მიისწრაფიან კაპიტალისტური უღლისაგან განთავისუფლებისაკენ. ამავე დროს ბურჟუაზია შეუწყვეტლად და დაუცხრომლად ემზადება საბჭოთა კავშირზე, მსოფლიო რევოლიუციის ამ დასაყრდენზე, დასასხმელად და ამ საქმეში ეყრდნობა, ერთის მხრით, ფაშიზმს, ხოლო მეორეს მხრით—საერთაშორისო მენშევიზმს, რომელიც პროლეტარიატის კლასობრივი მტრის მხარის დაჭერას ჩქმალავს და ფარავს პაციფისტური ფრაზებით მშვიდობიანობაზე.

უკანასკნელი წლების მანძილზე ბურჟუაზიამ მრავალჯერ შესძლო გამარჯვება მუშათა კლასზე. მაგრამ ადვილად არ მიუღწევია მას ამ გამარჯვებისთვის. ნაწილობრივი დამარცხებების მიუხედავათ, მუშათა მსოფლიო მოძრაობა იზრდება და მაგრდება.ძლიერდება კავშირი კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარებსა და საბჭოთა კავშირს შორის. იზრდება და მაგრდება პირველი სახელმწიფო მუშათა დიქტატურით. იზრდება და მაგრდება შემოქმედებით გატაცებული პროლეტარიატი საბჭოთა კავშირის, ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობილი და საშუალო გლეხობასთან დაკავშირებული, პროლეტარული ინტერნაციონალიზმით და საბჭოთა ქვეყნის ხალხების ძმური სოლიდარობით ზურგგამაგრებული პროლეტარიატი. იზრდება და მაგრდება სოციალისტური მშენებლობის დიადი საქმე.

ჩვენი გმირული ბრძოლა სოციალიზმისათვის ფრთებს ასხამს მთელი მსოფლიოს პროლეტარებს და ჩაგრულებს და აფრთოვანებს მათ იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ინგლისელი მემაღაროების გრანდიოზული გაფიცვა ექვსი თვის განმავლობაში, გაფიცვების ტალღა გერმანიასა და ცენტრალურ ევროპაში, მემაღაროების გმირული გაფიცვები შეერთებულ შტატებში — პენსილვანიასა და კოლორადოში, მძლავრი მოძრაობა მუშებს შორის საკოს და ვანცეტის დასაცავად, მუშების აჯანყება ავსტრიაში, ბარიკადული ბრძოლები საბერძნეთში, კოლონიალური მონების აჯანყება მაროკოში, სირიაში და ინდონეზიაში, გაფიცვები ინდოეთში და დასასრულ, მუშურ-გლეხური მოძრაობის აფეთქება ჩინეთში, — ყოველივე ეს აღმოუფხვრელ კვალს სტოვებს გიგანტური მოძრაობის გზაზე და ააშკარავებს რევოლიუციის ჩაუქრობელ ცეცხლს, რომელიც ანთია მუშათა კლასის და უღარიბეს გლეხობის გულში.

ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის ქვეყნების, კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ხალხის გაძლიერებულ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა არყევს ბრიტანეთის კოლონიალურ იმპერიის შენობას.

მსოფლიო რევოლიუციის პოზიციები მაგრდება.

ჩინეთში მასიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიის, რომელიც ჯერ კიდევ ამ 4 წლის წინად რამდენიმე ასეული წევრისაგან შესდგებოდა, მიუხედავად რევოლიუციის დროებითი დამარცხებისა, ძლიერდება რევოლიუციონური მოძრაობის ახალი ტალღა. ჩინეთს ჯერ-ჯერობით არ უთქვამს გადამწყვეტი სიტყვა იმპერიალიზმთან ბრძოლაში. ჩინეთის მუშები და გლეხები ახალ განსაცდელს უმზადებენ იმპერიალიზმს. ნაციონალურ- რევოლიუციონური მოძრაობის ცეცხლი მოდებული აქვს აგრეთვე ინდოეთს, არაბეთს, ეგვიპტეს და ხმელთაშუა ზღვის კოლონიებს. მთელი ქვეყნის პროლეტარები, ჩაგრულები, მშიერები და მონები ირაზმებიან კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

მეექვსე კონგრესი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იქნება მთელი დედამიწის მუშათა მოძრაობის საბოლოო გაერთიანებისა და აღმოსავლეთის დაჩაგრული ერების ბრძოლის გაფართოების გზაზე. მას უდიდესი მნიშვნელობა ექნება მუშათა მოძრაობის ისტორიაში. კონგრესი გამოიტანს დადგენილებას მთლიანი მსოფლიო კომუნისტური პარტიის შექმნის შესახებ და მიიღებს ამ პარტიის პროგრამას. იგი მშრომელ მასებს წაიყვანს ექსპლოატატორების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლისაკენ და სოციალიზმის გამარჯვებისაკენ.

მეექვსე კონგრესი განიხილავს აგრეთვე მთელი ქვეყნის მშრომელებისათვის ყველაზე უფრო მწვავე საკითხს ომის საფრთხის შესახებ, საფრთხის, რომელიც მოელის საბჭოთა კავშირსა და რევოლიუციონურ ჩინეთს. ამ საკითხთან დაკავშირებით კონგრესი მიიღებს მთელ რიგ მნიშვნელოვან[illegible] წყვეტილებებს მუშათა დიქტატურის პირველ სახელმწიფოს და[illegible] პერიალისტური ქვეყნების თავდასხმისაგან, იგი მშრომელებს მიუთითებს იმპერიალისტურ ომებთან და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ინტერვენციონისტულ ზრახვებთან წარმატებით ბრძოლის გზაზე.

კონგრესის მუშაობაში საპატიო ადგილს დაიკავებს საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის შედეგების აღნუსხვა,— საბჭოთა კავშირის, რომელიც კაპიტალისტური ქვეყნებითაა გარემოცული და რომელმაც არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში დაიწყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნა გლეხური მეურნეობის მაშინიზაციისა და კოლექტივიზაციის საფუძველზე.

კონგრესი აგრეთვე ჯამს გაუკეთებს ყველა კომუნისტური პარტიის ბრძოლას ტროცკისტულ ოპოზიციასთან, რომელიც შეეცადა გადაეცდინა კომუნისტური მოძრაობა ლენინურ გზიდან, მაგრამ იგი სასტიკად დამარცხდა კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა სექციაში.

ლენინური დროშა კვალ მაგარ, საიმედო ხელშია.

მტერი ვერ შესძლებს მსოფლიო რევოლიუციონური არმიის ფოლადისებური რიგების შერყევას.

მრავალ მილიონ გლეხებთან კავშირში და აღმოსავლეთის ჩაგრულ მასებთან კავშირში,—მუშათა კლასი გაიმარჯვებს.

ამიერ- კავკასიის ყოველ პროლეტარს და მშრომელს დღეს თვალყური იქითკენ უნდა ჰქონდეს მიპყრობილი, სადაც იჭედება კომუნიზმისათვის მსოფლიო ბრძოლის იარაღი.

ძმური, მხურვალე სალამი მრავალმილიონიან მებრძოლ მასების წარმომადგენლებს, მებრძოლის სალამი მსოფლიო ბოლშევიზმის შტაბს.

გაუმარჯოს კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესს!

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო
კომიტეტი.

კომინტერნის მე-6 კონგრესის გახსნა

მოსკოვი, 17 ივლისი. დღეს საღამოს 8 საათზე კავშირთა სახლის დარბაზში ზეიმით გაიხსნა კომუნისტური ინტერნაციონალის მე-VI კონგრესი.

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამნისტია არ ტარდება ცხოვრებაში

მოსკოვი, 17 ივლისი. „პრავდა“-ს ბერლინელი კორესპონდენტი ზამი ვადმოგვცემს, რომ მაქს ჰელცის მოჩვენებითმა განთავისუფლებამ უდიდესი სენსაცია გამოიწვია ბერლინის მუშათა უბნებში. მაგრამ მით უფრო ძლიერი იყო იმედის გაცრუება, როცა ზონენბურგის საპყრობილის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ მას არ მიუღია ბრძანება პატიმრების განთავისუფლების შესახებ. პარლამენტის დეპუტატი, რომელიც საქმის გამოსაძიებლად გაემგზავრა, არ იქნება დაშვებული საპყრობილეში.. დიუტრინგჰაუზის საპყრობილეში მყოფმა ტუსაღებმა გამოაცხადეს შიმშილობა. შესაძლებელია მაქს ჰელცის პირობით განთავისუფლება უახლოეს დღეებში.

2 მილ. მან. რესპუბლიკანურ სასოფლო - სამეურნეო ბანკებს

მოსკოვი, 17 ივლისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ გადასდო 2 მილიონი მან. რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკების დეფიციტის დასაფარავად. აქედან ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს ხვდება 800.000 მან.

წყლის ტრანსპორტების ტეხნიკუმი ბაქოში

მოსკოვი, 17 ივლისი. გზათა სახალხო კომისარიატში აღძრულია საკითხი ბაქოში წყლის ტრანსპორტის ტეხნიკუმის დაარსების შესახებ.

მიტინგი ბაუმანის რაიონში

მოსკოვი, 17 ივლისი. 15 ივლისს ბაუმანის რაიონში გაიმართა მიტინგი. მიტინგზე გამოვიდენ დასავლეთ ევროპის ძმური კომპარტიების წარმომადგენლები, რომელთაც განაცხადეს, რომ დასავლეთ ევროპის მუშები საჭირო მომენტში პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას. შემდეგ ცეტკინმა განაცხადა, რომ გერმანიის რეიხსტაგის მიერ გამოქვეყნებული ნაწილობრივი ამნისტია გერმანიის პროლეტარიატს მოუწოდებს ახალი ბრძოლებისაკენ. საჭიროა მთლიანი ფრონტი ყველა პატიმრების განსათავისუფლებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ჟოინსონ ჰიქსის ალაგმვას

ლონდონი, 17 ივლისი. შინაგან საქმეთა მინისტრი ჰიქსი გამოვიდა ივზემში გამართულ მიტინგზე და შეჩერდა ომის აკრძალვის ხელშეკრულების იმ პროექტზე, რომელიც კელოგმა წარმოადგინა. ჰიქსმა განაცხადა, რომ ინგლისმა გაცილებით უფრო მეტი გააკეთა განიარაღების საქმეში, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფომ. ჰიქსმა სთქვა:

„როცა რამდენიმე კვირის შემდეგ სხვა სახელმწიფოებთან ერთად ხელს მოვაწერთ ხელშეკრულებას, ჩვენ მივმართავთ ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატებს და ვეტყვით მას: „ჩვენ ხელს ვაწერთ ხელშეკრულებას, მაგრამ ამავე დროს არ ვივიწყებთ, რომ თქვენ ადიდებთ თქვენ ფლოტს“. „მე ვფიქრობ,—სთქვა ჰიქსმა,—რომ ფაქტების ენა უფრო მჭერმეტყველია, ვიდრე სიტყვები“.

ლიბერალური გაზეთები გაცხოველებით უკეთებენ კომენტარიებს ჰიქსის სიტყვას.

„დეილი ქრონიკლ“-ი სწერს: „ხალხი, რომელიც მინის სახლებში ცხოვრობს, არ უნდა ისვრიდეს ქვებს. ინგლისი შეიარაღებაზე ორჯერ უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე საფრანგეთი და იტალია და თითქმის სამჯერ უფრო მეტს, ვიდრე იაპონია და გერმანია, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრი ბედავს გამომწვევი ტონით მიმართოს ჩრ.-ამერ. შტატებს იმ საშუალებების შესახებ, რომლებსაც ის ხარჯავს თავის სამხედრო ფლოტზე. მართალია და ამისთვის საჭიროა დიდი გამბედაობა, მაგრამ თითონ ოდენა სალი აზროვნებაც კი არა“.

„დეილი ნიუს“-ი სწერს: „მთელს თანამედროვე ისტორიაში ადგილი არ ჰქონია ისეთ თავხედურ გამოწვევას, როგორითაც მიმართა ჰიქსმა ამერიკას. პარლამენტმა განსაკუთრებული აქტით უნდა ალაგმოს ეს საშიში პოლიტიკოსი“ (ადს).

ჩუხნოვსკისა და სამოილოვიჩს ამერიკაში იწვევენ

ნიუ-იორკი, 17 ივლისი, რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ჩუხნოვსკისა და სამოილოვიჩს და იწვევს მათ ამერიკაში. დეპეშაში ნათქვამია:

„თქვენს ცდას ამერიკა იმედით და აღტაცებით ადევნებდა თვალყურს. თქვენი მამაცობა და თავგანწირვა განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს არქტიკის ისტორიაში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ როცა მუშაობას მორჩებით—ჩამობრძანდებით ამერიკაში, როგორც რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის სტუმრები, რითაც უდიდეს სიამოვნებას მოგვანიჭებთ“. (ადს).

ღირსშესანიშნავი ექვსი წლის თავი

ბაქო, 17 ივლისი. 22 ივლისს შესრულდება ექვსი წელი მას შემდეგ, რაც აზერბეიჯანის ცაკმა გამოსცა დეკრეტი ახალი თურქული ანბანის შემოღების შესახებ. გადაწყვეტილია იუბილე დიდი ზეიმით იქნეს გადახდილი. იუბილეს დღისათვის კულტურის სასახლეში მოეწყობა ახალი ანბანის ექსპონატების დიდი გამოფენა. ექვსი წლისთავის აღსანიშნავად აზერბეიჯანის მაზრებს დაეგზავნება საწერი მანქანა ახალი ანბანით. განათლების სახალხო კომისარიატი უმაღლეს სასწავლებლებში ნიშნავს ახალი ანბანის სახელობის 5 სტიპენდიას. ზეიმზე მოელიან დელეგატებს სხვა თურქ-თათართა რესპუბლიკებიდან. (ადს).

„ფაშიზმის მორალური დამარცხება“

ბერლინი, 16 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ში გამოქვეყნებულია ვოლფის წერილი ნობილეს ექსპედიციის თავგადასავლისა და „კრასინის“—მიერ ამ ექსპედიციის მონაწილეთა გადარჩენის შესახებ.

მთელ ქვეყანას,—სწერს ვოლფი,—ნობილეს ექსპედიციის დასასრული ფაშიზმის მორალურ დამარცხებად მიაჩნია. ჩვენ აქ ვხედავთ არა მარტო ცალკე ფუქსავატი პიროვნების გაკოტრებას, არამედ მის დამახასიათებელ ბაზაც, თუ რა შედეგი მოსდევს რეჟიმს, რომელიც ცდილობს მაყურებელთა თვალწინ ლამაზი ეფექტები. ის, რის მოწმენიც ამ საქმეში მაყურებელნი ვიყვენ, იწვევდა მათში ხან გულისწყრომას, ხან გულმოწყალებას და ხან დაცინვას. ბევრი ასეთ კითხვას იძლეოდა: რა სურს იტალიელ გენერალს ყინულოვან ოკეანეში, სადაც ჯერ ბოლომდე ვერავინ მოიპოვა დაფნის გვირგვინი. ჩვენ კარგად ვიცით, რომ რომის იმპერიის აღორძინების ადგილი არ არის, რადგან დედამიწის ზურგზე თავისუფალი ადგილი აღარ მოიპოვება — მაგრამ განა ამ მიზნისათვის სავალდებულოა ჩრდილოეთის პოლიუსის ამორჩევა! მით უმეტეს, რომ პოლიარული სამეფოს დაპყრობა მზადდებოდა არა იმდენად საქმის ცოდნით, რამდენადაც დიდის რიხით. ამ როლის შესრულებაში გმირის და იმ საცოდავი სტატისტების გადასარჩენად, რომლებიც მან ყინულოვან უდაბნოში დაჰყარა, სხვა ქვეყნებმა გაგზავნეს თავიანთი საუკეთესო შვილები. ბედის ირონიამ მოისურვა, რომ ფაშიზმის მარცხის დროს დაზარალებულნი გადაერჩინა ბოლშევიკური რუსეთის ყინულის მჭრელს.

საუცხოოდ მოწყობილმა ყინულის მჭრელმა, რომელსაც მართავდა ნაცადი ხელი, გადალახა ყველა დაბრკოლება და მიზანს მიაღწია მშვიდად გეგმაშეწონილად. ეს სანახაობა მას შემდეგ, რაც ჩვენ ვიხილეთ მეორე მხარეს, დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს, რადგან ამ შემთხვევაში ყველაფერი ისე გაკეთდა, რომ ადგილი არა ჰქონია მჟღერალა ფრაზებს და თვალის მოსატყუებელ მოქმედებას. ფაშიზმს სურდა თავისი პლაკატი მიეკრა ჩრდილოეთ პოლიუსზე, მაგრამ ნამდვილად ისე გამოვიდა, რომ ბოლშევიზმს შესძლო დაუშრეტელი თემა პროპაგანდისათვის. თუ რა დამღუპველი შედეგები მოსდევს თეატრალურ რიტორიკის მეთოდებს, ამაში იტალიაზე გაცილებით ადრე გერმანია დარწმუნდა“. (ადს)

მალმგრენის სიკვდილის მიზეზების გამორკვევა

სტოკჰოლმი, 16 ივლისი. აქაურ პოლიტიკურ წრეებში იუწყებიან:

„ზოგიერთი გაზეთის კორესპონდენტები ავრცელებენ ხმებს, ვითომ შვეციის მთავრობა დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმას აპირებს მალმგრენის სიკვდილის მიზეზების გამოსარკვევად; ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება. მთავრობა არკვევს მალმგრენის სიკვდილის მიზეზს, მაგრამ მას არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანია. (ადს)

სტეფანის სააგენტოს ცნობა

რომი, 16 ივლისი. სტეფანის სააგენტო იუწყება: იტალიის გაზეთები აღნიშნავენ: უცხოეთის ზოგიერთი გაზეთი მალმგრენის ტრაგიკულ და გმირულ დაღუპვას იყენებენ იმისთვის, რომ ცილი დასწამონ იტალიას. „ტრიბუნა“ მოწინავე წერილს უძღვნის შვეციის სახელოვანი მეცნიერის ხსოვნას. მოწინავე წერილში აღნიშნულია შემდეგი:

„მარიანომ, ცაპიმ და მალმგრენმა, რომელთაგან პირველი ორი იტალიის სამხედრო ფლოტის ოფიცერია, მიიღეს ექსპედიციის უფროსის ნობილისაგან პირდაპირი ბრძანება მიაღწიონ ჩრდილოეთის კონცხამდე და კავშირი დაამყარონ ხალხთან. ეს ბრძანება უდრიდა სამხედრო ბრძანებას, რომლისადმი დამორჩილება აუცილებელი იყო, თუნდაც ამისთვის საჭირო ყოფილიყო სიცოცხლის შეწირვა. მარიანოს და ცაპის არ შეეძლოთ რაიმე დახმარება აღმოეჩინათ მალმგრენისათვის, რომლის სიკვდილი მაინც აუცილებელი და მოახლოვებული იყო, ასეთივე ბედი მოელოდა თით თონ მარიანოს და ცაპისაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ვალდებულნი იყვნენ წინ წასულიყვნენ, სანამ ძალღონე შესწევდათ. ცაპის, რომელიც მარიანოზე უფრო ამტანი აღმოჩნდა, თავის მხრივ უნდა მიეტოვებია მარიანო და კიდევაც ჩაიდინა ამას, რომ ისინი ყინულზე არ მოხვედრილიყვნენ და არ დაეკარგათ წინსვლის საშუალება“.

„ტრიბუნა“-ს წერილი შემდეგი სიტყვებით თავდება:

„შვეციის მეცნიერი მალმგრენი მოკვდა, ის, როგორც ჯენტლმენს შეუფერება. ამ ხალხისთვის ადამიანის სიკვდილი მოწმობს მის ღირსეულობას. მალმგრენი მოკვდა, მაგრამ იგი სცოცხლობს“ (ადს).

მისალმება ჩუხნოვსკის

მოსკოვი, 17 ივლისი. „იტალიის“ დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **უნშლიხტმა** ჩუხნოვსკის და მის ეკიპაჟს, „კრასინ“-ზე მშვიდობიანად დაბრუნების გამო, მისასალმებელი რადიოგრამა გაუგზავნა. (ადს)

„მალიგინი“

მოსკოვი, 17 ივლისი. „იტალიის“ დამხმარე კომიტეტმა დაუდასტურა „მალიგინს“, რომ ამუნდსენის ძებნის შემდეგ საჭიროა არხანგელსკში გამგზავრება. კომიტეტი მიესალმება ბაბუშკინის გადაწყვეტილებას, რომ ამუნდსენის ძებნა ჰიდროპლანებით განაგრძოს. (ადს)

ლუნდბორგის განცხადება ყინულზე ყოფნის შესახებ

რომი, 16 ივლისი. სტეფანის სააგენტო იუწყება:

„გაზეთ „ტრიბუნა“-ს კორესპონდენტი კინგსბეიში ესაუბრა შვედ მფრინავ ლუნდბორგს მისი ყინულზე ყოფნის შესახებ ვილიერის ჯგუფთან ერთად. ლუნდბორგმა განაცხადა, რომ ნობილეს ჯგუფის წევრებმა გამოშიგნეს დათვი, რომელიც მოკლა მალმგრენმა, სანამ ცაპისთან და მარიანოსთან ერთად წავიდოდა. დათვის შიგანში მათ იპოვეს გაზეთის ქაღალდის და მატერიის ნაჭრები. გაზეთის ქაღალდზე შეიძლებოდა იტალიური ასოების გარჩევა. ვილიერის ჯგუფის აზრით აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ ალექსანდრის ჯგუფის რომელიმე წევრი დათვებმა დაგლიჯეს. ავარიის შემდეგ პირველ დღეებში ჯგუფის მდგომარეობას აუარესებდა ცუდი ამინდი. ჯგუფი იძულებული იყო შეუწყვეტლივ ენთო ცეცხლი, რის გამო საწვავის მარაგი სწრაფად ილეოდა.. გონდოლის ნამსხვრევები დაწვეს და ნობილე იძულებული გახდა დაეწვა ფოტოგრაფიული აპარატები და ტანისამოსის ნაწილი. ლუნდბორგის მოფრენის შემდეგ მდგომარეობა რამოდენიმედ გაუმჯობესდა, ვინაიდან აეროპლანს ჰქონდა ბენზინის მარაგი დათვის ხორცს სწვავდნენ ნავთიან სამგზავრო სახარშავზე“. (ადს).

ჩუხნოვსკის აეროპლანის ეკიპაჟი „კრასინ“-ზე

ყინულისმჭრელი „კრასინ“-ი, 17 ივლისი. მაგარი ყინულის გამო, „კრასინ“-ი ძალიან ნელა მიდიოდა ვრედეს კონცხისკენ, სადაც ჩუხნოვსკის აეროპლანი იყო. ყინულის მჭრელის სისწრაფე ზოგჯერ მეოთხედ მილს უდრიდა საათში. აეროპლანიდან ერთი მილის მანძილზე „კრასინ“-ი შეჩერდა და გაგზავნა რამდენიმე კაცი ჩუხნოვსკის მდგომარეობის დაწვრილებით გამოსარკვევად და აეროპლანის ეკიპაჟისათვის მარილის მისაწოდებლად. რადგან მარილს იგი ძალიან საჭიროებდა. 16 ივლისს დღის 1 საათზე „კრასინ“-ის მიერ გაგზავნილ პირებთან ერთად ყინულის მჭრელზე დაბრუნდა აეროპლანის მთელი ეკიპაჟი

„იტალიის“ დამხმარე კომიტეტში

მოსკოვი, 17 ივლისი. „იტალიის“ დამხმარე კომიტეტში საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს განუცხადეს, რომ პროფ. სამოილოვიჩის გადაწყვეტილება ადვენტბეიში წასვლის შესახებ გამოწვეულია იმით, რომ ჩუხნოვსკის ჰაეროპლანს სჭირდება შეკეთება, ხოლო უცხოეთის ჰაეროპლანის მალები ალექსანდრის ჯგუფის დასაზვერავად არ მოხერხდა. გარდა ამისა, იტალიელებმა განაცხადეს, რომ მიზანშეუწონელია ალექსანდრის ჯგუფის დაზვერვის წარმოებათ და სთხოვეს სამოილოვიჩს დაუყოვნებლივ გადასცეს „ჩიტა დი მილანო“-ს გადარჩენილი იტალიელები. კომიტეტმა წინადადება მისცა სამოილოვიჩს მიიღოს ყოველივე ზომა რომ ადვენტბეიში ბაზის მოწყობის შემდეგ ჩუხნოვსკის საშუალება მიეცეს გაფრინდეს ამუნდსენის და ალექსანდრის საძებნელად. (ადს).

„კრასინ“-ის გმირობის გამოძახილი საზღვარ-გარედ

ჰოლანდიაში

ბერლინი, 16 ივლისი. „კრასინი“-ს გამარჯვებამ ჰოლანდიაში საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. ყველგან მხოლოდ „კრასინი“-ს შესახებ ლაპარაკობენ. (ადს)

ნორვეგიის პრესა საბჭოთა ექსპედიციის შესახებ

ოსლო, 16 ივლისი, ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „ნორვეგიის პრესა ქებით იხსენიებს საბჭოთა ყინულის მჭრელს „კრასინს“. გარეშე საქმეთა სამინისტრომ საბჭოთა კავშირის ელჩს კოლონტაის მიმართა წერილით, რომელშიაც სთხოვს—გადასცეს საბჭოთა მთავრობას მადლობა „კრასინი“-ს და ჩუხნოვსკის მუშაობის წარმატებით დაგვირგვინების გამო“. (ადს).

იაპონიაში

ტოკიო, 16 ივლისი. ყველა იაპონიურმა გაზეთმა გამოაქვეყნა ვილიერისა და მარიანოს ჯგუფების გადარჩენის დაწვრილებითი ამბავი; გაზეთებმა მოათავსეს აგრეთვე მფრინავი ჩუხნოვსკის და ექსპედიციის უფროსის სამოილოვიჩის სურათები. (ადს)

„ტაიმს“-ის კომენტარიები

ლონდონი, 16 ივლისი. „ტაიმს“-ი ეხება „კრასინ“-ის ექსპედიციის მიერ მარიანოს და ვილიერის ჯგუფების გადარჩენას და სწერს: „ყველამ, ვინც მონაწილეობა მიიღო დაკარგულთა ძებნაში, პირველ რიგში „კრასინ“-ის უფროსმა, დაიმსახურა ის ღრმა მადლობა, რომელიც გადასცა მათ მუსოლინიმ იტალიის ხალხის სახელით“. (ადს).

ბოროტმოქმედება გზათა სახალხო კომისარიატში

მოსკოვი, 17 ივლისი. გზათა სახალხო კომისარიატის მიერ უცხოეთში დაკვეთილ მასალის მიღების დროს გამოირკვა მთავალი დეფექტი, რაც მიეწერება არადამაკმაყოფილებელ მუშაობას დაკვეთების სის შედგენის დროს და დაკვეთების რეალიზაციისათვის მოუმზადებლობას. გამოირკვა, რომ მრავალი შეცდომა და ბოროტმოქმედება ჩაიდინეს როგორც გზათა სახალხო კომისარიატის ცალკე მუშაკებმა, ისე რკინის გზებმა. ამასთან ერთად გზათა სახალხო კომისარიატის თანამშრომლები—კრასოვსკი და მაკლენინი უცხოეთში გაასამართლეს. გზათა სახალხო კომისარიატის რამდენიმე თანამშრომელი და გზათა სახალხო კომისრის მოადგილემ ხელმძღვანელმა დისციპლინარული წესით დასაჯა. საწყობის-მატერიალური განყოფილების გამგეს ილენკოვს და უფროს ინჟინერს კროვსკოვს სამართალში დაცემა? ... განაწილების გამო, საყვედური გამოუცხადეს. სასტიკი საყვედური გამოეცხადა რკინის გზების ცენტრალური სამმართველოს სათანადო განყოფილების უფროს ინჟინერს ვორონცოვ-ველიამინოვს და სამმართველოს თანამშრომელს მიშჩენკოს. ვორონცოვ-ველიამინოვი საქმეთა ზედამხედველობას არ უწევდა იმას, აუხსნელიდან თუ არა დაწესებულ ვადებში უცხოეთში ტიპიური ნახაზები და საინსტრუქციო ბარათები. მიშჩენკო საქმეთა ყურადღებას არ აქცევდა დაკვეთილ მასალის და საიმპორტო მოწყობილობის განაწილებას. ამავე დროს ამხ. სულიმოვმა წინადადება მისცა გზათა სამმართველოების ყველა თავმჯდომარეს—ორი კვირის ვადაში გამოარკვიონ, საქმეთა ვინ დაუშვა არა მართებული მიმდევარე დაკვეთებით და საიმპორტო მოწყობილობის განაწილებასთან დაკავშირებით. (ადს).

საქმე ეკონომიური შპიონაჟის შესახებ

მოსკოვი, 17 ივლისი. 14 ივლისს უზენაესმა სასამართლომ დაამთავრა ეკონომიური ჯაშუშობის საქმის სასამართლო გამოძიება. პროკურორმა ფრიდბერგმა თავის სიტყვაში შემდეგი სთქვა:

„ამ საქმეს დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამეურნეო მუშაკების უცხოეთის ფირმებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ამ ვიწრო კომერციული მიზნების გარდა, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს ისეთ ფირმას, როგორიც არის „ალფა ლავალ“-ი, ის სცდილობდა მოესინჯა ჩვენი სუსტი ადგილები. ამ ფირმის რწმუნებულის ოკოლზინის მუშაობა მდგომარეობდა იმაში, რომ ის სისტემატიურად ხრწნიდა საბჭოთა აპარატს. ოკოლზინის ამოცანას შეადგენდა აგრეთვე მუშაობა შეეტანა ქვედა საფეხურის საბჭოთა ორგანიზაციებში, რომლებიც თავიანთი წარმომადგენლების სახით გავლენას მოახდენდნენ საგარეო ვაჭრობის საერთო სახელმწიფო ორგანოებზე. ოკოლზინმა მოისყიდა საბჭოთა დაწესებულებების მრავალი თანამშრომელი, რის გამოც ამ დაწესებულებებში დაუშვებელი მდგომარეობა შეიქმნა. ეს მდგომარეობა უადვილებდა ბრალდებულებს ეძლიათ ოკოლზინისათვის საიდუმლო კომერციული ცნობები.

წარმოადგენდნენ თუ არა ბრალდებულების მიერ გადაცემული ცნობები სახელმწიფოს განსაკუთრებულ საიდუმლოებას? თითონ წყარო ამ ცნობებისა — საიმპორტო ორგანიზაციების თანამშრომელნი — უკვე მოწმობს ამას. ბრალდებულები არა თუ აწვდიდნენ ოკოლზინს ცნობებს საიმპორტო გეგმების შესახებ, არამედ ამ გეგმებს ადგენდნენ უცხოეთის ფირმების ინტერესებთან შეფარდებით.

ფრიდბერგი მოითხოვს სოციალური დაცვის შემდეგ ზომებს: ოკოლზინის დაპატიმრებას არა უმცირეს 8 წლის ვადისა, პევზნერს — არა უმცირეს 5-7 წლისა, ბაბის — 6 წლ., ბარჩის და კიპლის — 3-4 წლ., ბერეზნიაკის — 6 წლ., მატეევის, ორლოვის და კალმენების— 1 დან 2 წლამდე. (ადს)

სასაკავშირო სახკომსაბჭო გამოგონებათა გამოყენების შესახებ

მოსკოვი, 17 ივლისი. საკავშირო სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, გამოგონებათა რიცხვიდან გამოჰყოს ისეთები, რომელთა გამოყენებას შეუძლია დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის. ასეთ გამოგონებათა გამოყენება უნდა ხდებოდეს დაინტერესებულ უწყებებთან და წარმოებებთან შეთანხმებით. თვალსაჩინო გამოგონებათა შეძენის უფლების შესახებ გამომგონებლებთან ხელშეკრულებას სდებენ უშუალოდ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და სხვა დაინტერესებული უწყებები. იმ შემთხვევაში, თუ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო უარს იტყვის ხელშეკრულების დადებაზე ან თვალსაჩინო გამოგონებათა გამოყენებაზე, ის ვალდებულია უარის დასაბუთება აცნობოს საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს. გამოგონებაზე უფლების შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა დაფარონ სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ და სხვა უწყებებმა, როგორც ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხებიდან, ისე იმ წარმოებათა ხარჯზე, რომლებსაც ეძლევა ის გამოგონებები გამოსაყენებლად. გამოგონებათა გადაცემა საზღვარ-გარეთ შეიძლება მხოლოდ საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ნებართვით. თვალსაჩინო გამოგონებათა შესახებ ასეთი ნებართვა უნდა დაამტკიცოს შრომისა და თავდაცვის საბჭომ.

საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, გამოგონებათა გამოყენების შესახებ შემოღებული წესების დარღვევისათვის დამნაშავენი მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში. (ადს)

მზადება მოსავლის აღების კამპანიისათვის

მოსკოვი, 17 ივლისი. რათა იმ რაიონებში, სადაც მოსავალს კარგი პირი უჩანს, მოსავლის აღების დროისთვის მომარაგებულ იქნენ საჭირო სას.-სამეურნეო იარაღით, შრომისა და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს — მიიღოს ზომები, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებმა 18 ივლისისთვის შეასრულონ რ. ს. ფ. ს. რ. მანქანებით მომმარაგებელ ორგანიზაციების მანქანების საჭირო რაოდენობა. უ. ს. ს. რ. ეკონომიურ საბჭოს წინადადება მიეცა — დაავალოს თავის მანქანებით მომმარაგებელ ორგანიზაციებს მოსავლის აღებისათვის საჭირო მანქანების განაწილება დაამთავრონ 18 ივლისისათვის.

სოფლად და სამაზრო აღმასკომებს დაეკისრათ იზრუნონ იმისთვის, რომ მომავალ კამპანიაში, როცა გლეხებს მანქანები და იარაღი მიჰყიდიან, არავითარი არ გადაუხვიონ იმ პირობებს, რომლებიც განსაზღვრულია შრომისა და თავდაცვის წინანდელი დადგენილებაში.

ჩაის მეურნეობის გაფართოება და კოლმეურნეობა

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს ხუთ წლიანი პერსპექტიული გეგმის თანახმად, ჩაის პლანტაციების სივრცე საქართველოში ხუთწლედის ბოლოს უნდა იქნეს 20.000 ჰექტარი.

იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რა როლი უნდა ეთამაშოს ამ ოპერაციაში კოლექტიურ მეურნეობებს, გუშინ სალამოს „სოფლის კავშირში“ არსებულ კოლმეურნეობათა სექციაში შესდგა საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატის, „საქართველოს ჩაი“-ს და კოლმეურნეობათა სექციის წარმომადგენლების თათბირი.

კოლმეურნეობათა სექციის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ცაგარელმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ კოლექტიური მეურნეობები საქართველოში სწრაფად ვითარდება. იმ კულტურებს შორის, რომლებსაც დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობები მისდევენ, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩაის კულტურას, რომელიც კოლექტიურ მეურნეობის პირობებს, უფრო ადვილად ეგუება, ვიდრე ინდივიდუალური მეურნეობისას. მომხსენებელი აღნიშნავს რომ „საქართველოს ჩაი“-მ პერსპექტიული გეგმის განხორციელების დროს მჭიდრო კავშირი უნდა დაიჭიროს კოლექტიურ მეურნეობებთან. ამ საქმეში აუცილებელი საჭიროა „საქართველოს ჩაი“-ს და კოლმეურნეობათა ცენტრის თანამშრომლობა.

„საქართველოს ჩაი“-ს წარმომადგენელ ამხ. სუმბაძის აზრით, კოლმეურნეობას ჯერ-ჯერობით უნდა დაეკისროს ჩაის მეურნეობის გაფართოების გეგმის 20 პროცენტის შესრულება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მ. გედევანიშვილმა (მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი), დიმიტრიევმა („საქართველოს ჩაი“), ზობოხიძემ, ლეჟავამ, ჯანაშიამ, ჩხეიძემ და პრიხოლენმა.

თათბირმა გამოჰყო კომისია მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის, „საქართველოს ჩაის“ საქ. სახ. საგეგმო კომისიის, საქართველოს სახ. ბანკის და კოლმეურნეობათა ცენტრის წარმომადგენლების შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს კოლმეურნეობათა მონაწილეობის ფორმები ჩაის მეურნეობის გაფართოებაში.

საქ. ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა მე-6 ყრილობა

მეორე სხდომა

ყრილობის მეორე სხდომაზე დაიწყო კამათი კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო 33 დელეგატმა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ საწარმოო თათბირების მუშაობა ადგილებზე სუსტი იყო, რადგან ცენტრი სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევდა ამ მუშაობას; ცენტრალური გამგეობას არ ჰქონდა ცოცხალი კავშირი ადგილებთან, არ იყო დაცული მიზანშეწონილობა შტატების შემოკლების საქმეში; ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა შრომის პირობების დაცვის საქმეს არ ექცეოდა შესაფერისი ყურადღება და სხვ.

მესამე სხდომა

ამხ. ყამარაულის მოხსენება

ყრილობის მესამე სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ფ.-ტელეგრაფის სახ. კომის. რწმუნებული საქართველოში ამხ. ა. ყამარაული. იგი ეხება ფ.-ტ. დაწესებულებათა მუშაობას და მათ მუშაობაში შენიშნულ დეფექტებს და უარყოფითი მხარეებს. ამხ. ყამარაული აღნიშნავს, რომ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დანაშაულებრივ დეფექტებს, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა იმაში, რომ მოქალაქეებისაგან მიღებული ამანათები, დეპეშები, წერილები და სხვა ფასიანი დაკვეთები. არ სრულდებოდა და არ იგზავნებოდა თავის დროზე და დანიშნულებისამებრ. ადგილი ჰქონდა ამანათების დაკარგვას, ფასიანი წერილების გადაგზავნის დაგვიანებას და სხვა.

ფოსტა-ტელეგრაფის უწყება ყოველი ასეთი უარყოფითი მოვლენების აღმოსაფხვრელად იბრძოდა და იბრძვის შესაფერისი ზომებით, მაგრამ მიუხედავად ამისა დღემდე მაინც ადგილი აქვს ზოგიერთი უარყოფით მოვლენებს ფ.-ტ. უწყების მუშაობაში. ფოსტისა და ტელეგრაფის საქმიანობის გასაუმჯობესებლად მომხსენებელი საჭიროდ მიაჩნია უწყების თანამშრომელთა კულტურული დონისა და შეგნების ამაღლება.

მომხსენებელი შემდეგ ეხება ფოსტა-ტელეგრაფის უწყების საქმიანობას და აღნიშნავს, რომ რადიო-კავშირის დარგში ადგილი აქვს დიდ მიღწევებს, გაუმჯობესებულია აგრეთვე რადიო-ტელეფონიური სიხშირის საქმე და მიღებულია ზომები, რომ ფართოდ იქნას გატარებული სოფლის რადიოფიკაცია. გარდა ამისა უწყება ღებულობს ზომებს სოფლებში ფოსტისა და ტელეგრაფის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამხ. ყამარაულის მოხსენებით დასრულდა ყრილობის მესამე სხდომა.

მურადოვის, პაპოვის და სხვ. საქმე

საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტის დადგენილება

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის პრეზიდიუმის წინადადება საპონ-ზეთის ტრესტის დირექტორის მოადგილის ისაკ მურადოვის საქმეზე და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

ისაკ მურადოვი, მოსამსახურე, კომპარტიის წევრი 1921 წლიდან, ტრესტის თავმჯდომარის მოადგილე; **პავლე პაპოვი**, ბამბის სართავი ფაბრიკის დირექტორის მოადგილე (მოსამსახურე, კომპარტიის წევრი 1919 წლიდან); **ზოსიმ იატციშინი**, მუშა, კომპარტიის წევრი 1924 წლიდან. ამის გამო, რომ ისინი აიძულებდნენ მუშა ქალებს დაეჭირათ მათთან სქესობრივი კავშირი და სდევნიდნენ მათ ამაზე უარის თქმისათვის, სისტემატიურად ლოთობდნენ, დაუდევრად ეკიდებოდნენ საქმეს და სახელს უტეხდნენ პარტიას—მოხსნილ იქნენ სამუშაოდან და საქმე გადაეცეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას მათი პარტიიდან გამორიცხვის მიზნით.

აღძრულ იქნეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წინაშე საკითხი შემდეგი პირების პარტიიდან გამორიცხვის შესახებ:

ელენე ვოლკანიანი— ბამბის სართავი ფაბრიკის მუშა, პარტიის კანდიდატი 1927 წლიდან,—მორალური გახრწნილებისათვის, ბოროტმოქმედების დაფარვისათვის და ბოროტმოქმედთა ხელის შეწყობისათვის, როგორც გახრწნილი ელემენტი.

ნესტორ ალახვერდოვი,—მუშა, კომპარტიის წევრი 1918 წლიდან და **ოქუჯიძე**—ყოფილი მუშა—მუშა ქალებისადმი არაამხანაგური დამოკიდებულებისათვის, რაც გამოიხატა იმაში, რომ ისინი [illegible] ქალებს და აიძულებდნენ მათ დაეჭირათ სქესობრივი კავშირი მათთან.

ჰაიკა ჯანჯიევი,—მოსამსახურე საქართველოს კომპარტიის წევრი 1921 წლიდან,—ლოთობისათვის, მუშა ქალებისადმი არაამხანაგური დამოკიდებულებისათვის, მლიქვნელობისათვის.

პარტიის მთელი რიგ სხვა წევრებს და კანდიდატებს, თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოუცხადა საყვედური და მისცა გაფრთხილება.

მურადოვის და სხვების საქმე გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

„მურადოვშჩინა“ უნდა აღმოიფხვრას

გახრწნის სურათი გადაგვიშალა თვალწინ საპონ-ზეთის ტრესტის დირექტორის მოადგილის მურადოვისა და მისი ამხანაგების საქმემ.

მურადოვი ერთბაშად არ გახდარა დიდი კაცი,—ის იყო მოსამსახურე, უჯრედის მდივანი, შემდეგ ბამბის პატარა ფაბრიკის გამგე და უკანასკნელ დროს—ტრესტის დირექტორის მოადგილე.

თანდათანობითი წინსვლა მას უქმნიდა ავტორიტეტს. მურადოვი ისეთი კაცი „შეიქნა“, რომ სიტყვის შებრუნებასაც ვერ უბედავდნენ, რადგან მას „ყველაფერი შეეძლო“. და, ალბად, იგი კიდევ დიდ ხანს „შესძლებდა“ რომ თვითკრიტიკა არა.

საპონ-ზეთის ტრესტი აერთიანებს რამდენიმე წარმოებას:—ზეთსახდელ-საპნეს და ბამბის ქარხნებს და ბამბის სართავ ფაბრიკას. ამ წარმოებებში ბევრი ქალი მუშაობს. მაგრამ მათი ყოფა-ცხოვრების პირობები დიდად არ განსხვავდება რევოლუციამდე არსებულ პირობებისაგან.

ამას მოწმობს მურადოვის საქმე. ჯერ კიდევ 1923 წ. გრიგოლ იატციშინმა, მურადოვის მეგობარმა გაუპატიურა 16 წლის მუშა ქალი. პ., ეს მან საგმირო საქმედ ჩასთვალა და ამხანაგებთან დაიტრაბახა: „ხედავთ, რა ყოჩაღი ბიჭი ვარ“-ო.

მურადოვმა და პოპოვმა მოიწონეს იატციშინის საქციელი, და როცა შეიტყეს, რომ ამხ. პ.-მ საჩივრით მიმართა უჯრედის ბიუროს, მურადოვმა, პოპოვმა და სხვებმა სასაცილოდ აიგდეს პ. და დაითანხმეს იატციშინი, რომ პ. პროსტიტუტკაა და ეს საკითხი ამოიღო რიგიდან.

საქმეთი უჯრედმა „აპატია“, მაგრამ პ.-ს მაინც არ ეშვებოდნენ. მოითხოვდნენ: თუ იატციშინს დაჩივდი, ჩვენ ერთ ერთ მასზე უარესი ვართ.

ამხ. პ. გათხოვდა, მაგრამ მურადოვის ამხანაგები მას მაინც არ ეშვებიან. ემუქრებიან თუ არ დაგვნებდები ცუდ სამუშაოზე გადაგიყვანთ ან სამსახურიდან სრულიად დაგითხოვთ.

განსაცდელი პ. მაინც არ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს. მაშინ იატციშინი მიდის პ.-ს ქმართან და ყოველგვარ სისაძაგლეს უყვება მას. მურადოვის პ. გადაყავს უფრო ცუდ სამუშაოზე და უმცირებს ხელფასს. დაიწყეს პოლიცის გავრცელება, რომ პ. პროსტიტუტკა—„არავის უარს არ ეუბნება“-ო და სხვა.

ამხ. პ.-ს ჰყავს ოჯახი (ორი ბავშვი), იგი საშინელ ტრაგედიის განიცდის. მურადოვის ამხანაგები მაინც მისგან არ იღებენ ხელს. 1928 წელს მურადოვის ჯგუფი (მურადოვი, პოპოვი, იატციშინი) ემატება ახალი დამნაშავე.

კამპანია არ კმაყოფილდება ერთი მუშა ქალით. ისინი არც ერთ ცოტათ თუ შეხედავ ახალგაზრდა ქალს არ სტოვებენ რომ შეურაცყოფა არ მიაყენონ.

მურადოვი სამსახურში ღებულობს ვიღაც კ-ს და უდიდეს მას ხელფასს (მე-4 კა.-დან მე-6-მდე) ვინაიდან იგი მაჭანკლობს მწევა მურადოვისა და სხვა მუშა ქალს შორის.

როგორც აღინიშნება, იატციშინმა გააუპატიურა კომკავშირელი ქალი. პ.-ს ქალმა იატციშინს უჩივლა უჯრედის ბიუროში, მაგრამ ბიურომ დასჯის მაგიერ, იატციშინი გადაიყვანა უკეთეს სამუშაოზე, სადაც მას ხელფასი მოემატა.

იატციშინი არ ისვენებს, იგი ისე შეჯერდა: რატომ არ შეიძლია გავეარშიყო მუშა ქალს თუ ის მომწონსო.

მურადოვი, რომელიც უკვე ტრესტის დირექტორის მოადგილე იყო, დაითვრა და შეეცადა მუშა ქალი მ-ს ბინაში შეჭრას. ამავე დამის იგი შეიჭრა მუშა ს. ცოლთან და როცა საწადელს ვერ მიაღწია, ასტეხა სკანდალი.

მუშა ქალებს, რომლებიც სცდილობენ ძლიერი მურადოვის წინააღმდეგ კამპანიის დაწყებას, ხშირი არ ეკიდებოდნენ, მათ სასტიკად უსწორდებოდნენ: ითხოვდნენ სამსახურიდან, გადაყავდათ ცუდ სამუშაოზე, უმცირებდნენ ხელფასს და სხვა. იმ მუშა ქალების საქმე, რომლებიც მურადოვის მხარეზე იყვნენ, სულ სხვაგვარ მიდიოდა, მაგრამ წარმოებას ამით საგრძნობი ზარალი ჰქონდა:

ასე მაგალითად, მურადოვმა მუშა ქალი კ. დააყენა ვატერის მანქანაზე სამუშაოდ. კ-მ არ იცოდა ამ მანქანაზე მუშაობა, რის გამოც 140 კგ-იდან პირველი ორი კვირის განმავლობაში მხოლოდ 5—6 მოქმედებდა.

მურადოვის მომხრეებს შეეძლოთ სამუშაოზე დაგვიანებით მოსვლა და ჩვეულებრივზე უფრო ადრე წასვლა. მუშა ქალი ი-ს ბავშვი მურადოვმა მოაწყო საბავშვო სახლში იმ მიზნით, რომ რომ ეს განმდებლობა? მის დედასთან. მაგრამ როცა მიზანს ვერ მიაღწია—შერე იგი.

პოპოვი, სამბის ქარხნის სატყულიტი? განყოფილების გამგე არავეულში? არ ჩამორჩებოდა მურადოვს. როცა პოპოვმა წამოაგება მიიღო—ბამბის სართავი ფაბრიკიდან დაიწყეს, მუშა ქალი შ. „ფაუნ“ ფაბრიკაში გადაიყვანა. პოპოვი შეეცადა ქალის დამორჩილებას, მაგრამ როცა ვერაფერს გახდა,—გააძევა და სამსახურიდან დაითხოვა.

მურადოვი, პოპოვი, იატციშინი, სარიევი და სხვ. სასტიკად უსწორდებოდნენ ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც კამპანიის მოქმედებით აღშფოთებული, აყენებდნენ საკითხს ქვედა საფეხურის ორგანიზაციებში.

უარესი მართალაც რომ საშინელი იყო, ქალთა ორგანიზატორი ამხ. აიაზოვი, რომელიც უსიყვარულობდა მურადოვსა და პოპოვს მათი მოქმედებისათვის, ორი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ გადაყავდათ ერთი სამუშაოდან მეორეზე.

ქვედა საფეხურის ორგანიზაციები ყოველივე ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ.

საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ არ გამოუცია ისეთი კანონი, რომელიც სქესობრივ ცხოვრებას კრძალავდეს,—აღნიშნავდა მურადოვი. ამას იმეორებდნენ ყველა, ვისაც მურადოვის შენოდა და ვინც მას სარჩენელსა და მფარველი იღებდნენ.

მაგრამ ეს მოწყობი მუშათა თვით კრიტიკამ ერთი დაკვრით გააკეთა და დაიჭირა და ქიმიკოსების მუშათა ორგანიზაცია საპონ-ზეთის ტრესტი გასწმინდა ამ მუშაკებისგან. პარტიულმა და უპარტიო მუშებმა უკვე გამოიტანეს მათ თავისი განაჩენი—„სქესობრივი გახრწნილება“ ძირიანად უნდა აღმოიფხვრას ჩვენი რიგებიდან.

ახლა უკვე სიტყვა საკონტროლო კომისიას ეკუთვნის.

ი. ჭ.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის კვირეული

თავდაცვა-ავიაქიმი მშვიდობიანობის ფრონტზე

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება უმთავრესად ცნობილია თავისი სამხედრო ხასიათის მუშაობით. იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი მუშა ან გლეხი, რომელმაც არ იცის თავდაცვა-ავიაქიმის მრავალ სამხედრო ლაშქრობების შესახებ. მილიონ მშრომელებს შეჰქონდათ თავისი წვლილი თავდაცვის ტეხნიკური ბაზისის—„ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“—განმტკიცების ფონდში.

თვითმფრინავების გადაცემის შესახებ წითელი საჰაერო ფლოტისათვის იციან არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, არამედ, ჩვენი მტრები ამ გარემოებას იყენებენ იმის დასამტკიცებლად, რომ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება წმინდა წყლის სამხედრო ორგანიზაციაა.

მაგრამ, ეს სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს.

თუ თავდაცვა-ავიაქიმის საქმიანობაში სამხედრო საქმეს უჭირავს სერიოზული ადგილი, იგი არა ნაკლებ ყურადღებას აქცევს მუშაობას მშვიდობიან დარგებშიაც.

მთელ საბჭოთა კავშირში არსებობს თავდაცვა-ავიაქიმის 10.000 საცდელ-საჩვენებელი მოედნები ხელოვნური განოყიერებისათვის.

იმ ენერგიული კამპანიის გამო, რომელიც იქნა ჩატარებული თავდაცვა-ავიაქიმის მიერ, შესაძლებელი შეიქნა ფასების დაკლება ხელოვნურ სასუქზე—სუპერფოსფატზე.

თავდაცვა-ავიაქიმი აწარმოებს დიდ მუშაობას მოსავლის მავნებლებთან ბრძოლაში. გასულ წელში თავდაცვა-ავიაქიმის ექსპედიციამ გასწმინდა კალიებისაგან 80.740 ჰექტარი მოედანი.

გარდა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის მუშაობისა, თავდაცვა-ავიაქიმი დიდ დახმარებას უწევს საავიაციო მრეწველობასაც. ცნობილია ყველასათვის ის დიდი გადაფრენები, რომლებსაც თავდაცვა-ავიაქიმი აწყობს ყოველწლიურად, ეს გადაფრენები საგრძნობლად უწყობენ ხელს სამოქალაქო ავიაციის განვითარებას.

ასეთივე დიდ მუშაობას აწარმოებს თავდაცვა-ავიაქიმი ქიმიური მრეწველობის დარგში. ამჟამად გრძელდება ქლორის, ბრომის, სხვადასხვა მარილების, გოგირდის და დარიშხანის პრობლემების მეცნიერული შესწავლა.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში მუშაობს რამოდენიმე ათასი საავიაციო და ქიმიური წრე.

ყველაფერი ეს დამამტკიცებელია იმის, რომ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება აწარმოებს დიდ მუშაობას მშვიდობიანობის ფრონტზე. მხოლოდ, უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით ეს მუშაობა არ არის ფართოდ გაშლილი და ღირსების მხრივაც არ არის დამაკმაყოფილებელი.

თავდაცვის კვირეულმა უნდა შეამოწმოს თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა ამ დარგში.

ი. ფ.

ჩვენი წითელი ფლოტი

წითელ-ფლოტელები და ნაღმი. ნაღმის სიგრძე უდრის 4 მეტრს და თავისუფლად იტევს 15 კაცს

რადიო-მოყვარული და თავდაცვის კვირეული

საბჭოთა ქვეყანა ემზადება „თავდაცვის კვირეულის“ ჩასატარებლად. თვითეული პატიოსანი მოქალაქე ამა თუ იმ ზომით, ამა თუ იმ ხაზით უნდა ღებულობდეს მონაწილეობას იმ საშუალებათა, ძალებისა და გამოცდილების დაგროვებაში, რომლებიც თავის დროზე დასჭირდებიან პროლეტარულ სახელმწიფოს ბურჟუაზიის თავხედური პრეტენზიების მოსაგერიებლად.

ამ საქმეს განზე ვერც რადიო-მოყვარული გაუდგება.

საჭიროა, რომ წრეების წევრებმა და კურსანტებმა ცოცხალი და აქტიური მონაწილეობა მიიღონ „კვირეულის“ ჩატარებაში. მონაწილეობა უნდა მიიღონ მთელი ორგანიზაციების სახით, და არა ცალ-ცალკე. მონაწილეობის ჩამოსაყალიბებლად და მუშაობის შესათანხმებლად ყველა იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც ჩატარდება „თავდაცვის კვირეული“ და სადაც არსებობენ რადიო-მოყვარულთა წრეები ან კურსები, უკანასკნელნი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდნენ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების სათანადო ორგანიზაციებს. საერთო მუშაობის დროს თავდაცვა-ავიაქიმის ცალკე რაზმებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ რადიო-მოყვარულთა მიმღები აპარატები განკარგულებების, და ბრძანებების მისაღებად ალლუმის, დემონსტრაციის, ან ლაშქრობის უფროსისაგან.

როგორ უნდა განხორციელდეს ეს?

პირველი მომენტი: თავდაცვა-ავიაქიმის თვითეულ ერთეულს ან სხვა ორგანიზაციას, რომელიც მონაწილეობას ღებულობს გამოსვლაში, უნდა შეუერთდეს ერთი ან რამოდენიმე რადიო-მოყვარული უკვე წინდაწინ გამოცდილი გადასატანი მიმღები რადიო-აპარატით. მიმღები შეიძლება დაიდგას მოტოციკლზე, ველოსიპედზე, ავტომობილზე, ურემზე, ახედართზე და სხვ.

მეორე მომენტი: სარდალი სავალე კაბელით და სავალე ტელეფონის აპარატით, შეიძლება საქალაქო აპარატითაც, უახლოესი საქალაქო სატელეფონო ხაზის მეშვეობით უკავშირდება ადგილობრივ რადიო მაუწყებელ სტუდიას. რომლისაც სტუდია ღებულობს სარდლის ბრძანებებს ან განკარგულებებს, ის თავის მხრივ გადასცემს ფართო მაუწყებელი რადიო-აპარატით. რადიო განკარგულებათა გადასაცემად შეიძლება გამოყენებულ იქნენ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ჩვეულებრივი გადამცემი რადიო-სადგურები ან სამხედრო რადიო სადგურები, სადაც ასეთები არსებობენ:

მესამე მომენტი: რაზმებთან მივლენილი რადიო-მოყვარულები მათ მიერ მიღებულ ბრძანებებს და განკარგულებებს გადასცემენ იმ რაზმების სარდლებსა და უფროსებს, რომლებშიაც ისინი მუშაობენ.

მეოთხე მომენტი: განკარგულებები სისრულეში მოჰყავთ.

საკმაო მოფიქრებისა და თავის დროზე დეტალური დამუშავებით ყოველივე ზემოხსენებული შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა ალლუმში, დემონსტრაციაში და სხვ. ყოველი გამოცდილი რადიო-მექანიკოსი ამა თუ იმ გამოსავალს იპოვის აღნიშნული კავშირის მოსაწყობად.

გარდა ამისა რადიო-მოყვარულებს სხვა სახითაც შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა „თავდაცვის კვირეულის“ ჩატარებაში.

„თავდაცვის კვირეულის“ დროის რადიო-მოყვარული შეიძლებს დაუმტკიცოს მუშათა ფართო საზოგადოებრიობას, რომ მას შეუძლია აქტიური მონაწილეობის მიღება საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის მომზადებაში.

ადგილებზე ჩატარებული მუშაობის, მიღწევების, შეცდომების და დაბრკოლებების შესახებ სასურველია „კვირეულის“ ჩატარების შემდეგ ცნობები წარუდგინონ ამიერ-კავკასიის რადიო-მეგობართა საზოგადოების სამხედრო კომისიას.

ზ. რ.

წითელ ყაზარმაში

წითელ არმიელები სროლის შემდეგ სწმენდენ თოფებს

ჩვენი ნაკლი და მიღწევები

(თავდაცვა - ავიაქიმის თელავის ორგანიზაცია)

თავდაცვა-ავიაქიმის თელავის ორგანიზაციას სამოქალაქო ჩაეყარა გასული წლის თავდაცვის კვირეულის დროს. თელავის სამხრო პარტკომის აგიტპროპის მიერ გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა კვირეულის ჩატარება და ავიაქიმის ორგანიზაციის ჩამოყალიბება. როგორც თვით ქალაქში, ისე მაზრაში ჩატარებულ იქნა საერთო კრებები წევრების მიზიდვის მიზნით, არჩეულ იქნენ უჯრედების ხელმძღვანელი ორგანოები—უჯრედის ბიურო და სარევიზიო კომისიები.

ოქტომბრის თვისთვის მაზრაში უკვე არსებობდა თავდაცვა-ავიაქიმის 25 უჯრედი 1.022 წევრით, ამავე ხანში ჩატარებულ იქნა თავდაცვა-ავიაქიმის პირველი სამაზრო კონფერენცია.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით თავდაცვა-ავიაქიმის თელავის ორგანიზაციაში ირიცხება 2.266 წევრი—აქედან 1.883 კაცი და 381 ქალი. მუშების რიცხვი უდრის 239, გლეხების—862, მოსამსახურეების—404, სამხედრო პირების—275, მოწაფეების—440.

მაზრაში არსებობს 8 თავდაცვა-ავიაქიმის კუთხე, სადაც პერიოდულად სწარმოებს საუბრები სამხედრო თემებზე.

გასული წლის ბოლოში თელავში ჩამოყალიბდა მუშათა ასეული, რომელშიაც შედის 176 კაცი.

წელიწადში ჯერის თელავის ტექნიკუმში მოეწყო პირველი დახმარების 6 წრე.

ავიაქიმის სამაზრო საბჭომ თელავის მუშათა კლუბთან მოაწყო სამხედრო კუთხე და ტირი. კუთხესთან მუშაობს სამხედრო-ტაქტიკური წრე, რომელშიაც ირიცხება 48 კაცი.

ყველა ამ მიღწევებთან ერთად, თელავის ორგანიზაციას აქვს ზოგიერთი ნაკლი. მაგ. ორგანიზაციასთან არ არის ჩამოყალიბებული სექციები; აქტივი არ არის აყვანილი აღრიცხვაზე; სოფლად არ არის ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წრეები; არსებული კუთხეები არ არიან მომარაგებულნი ყველა საჭირო ხელსაწყოებით და მასალით.

თავდაცვის მეორე კვირეული ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ხსენებული ნაკლის გამოსასწორებლად.

—ლი.

როგორ მიმდინარეობს თავდაცვის კვირეული

თავდაცვის კვირეული უკრაინაში

ხარკოვი, 17 ივლისი. თავდაცვის კვირეული დიდი წარმატებით ტარდება უკრაინაში. სამოქალაქო ომის გმირებს ყველგან დიდი პატივისცემით ხვდებიან. წარმოებებში იმართება მუშების საერთო კრებები. მრავალნი ეწერებიან სამხედრო ცოდნის წრეებში. მოეწყო მასიური ექსკურსიები მახლობელ ხიდებში და სამხედრო ნაწილებში. სოფლად სათაო კომისიებმა და მუშათა ექსკურსიებმა ჩაატარეს დიდი ახსნა - განმარტებითი კამპანია. ქალაქებში მოელიან სოფლებში მცხოვრებ წითელ არმიელებს. (ადს)

გემების დათვალიერება კრონშტადტში

მოსკოვი, 17 ივლისი. თავდაცვის კვირეულის დაწყებისა და ბალტიის ფლოტის საზღვაო ფლოტის კამპანიის პირველი ნახევრის დამთავრების გამო კრონშტადტის რეიდზე მოხდა გემების დათვალიერება. დათვალიერებას დაესწრნენ ბალტიის ფლოტის სარდლობა და პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები. მუშებმა დაათვალიერეს გემები, სადაც ესაუბრნენ წითელ-ფლოტელებს. სამხედრო გემ „მარატ“-ზე გაიმართა მიტინგი. (ადს)

კვირეულის ქრონიკა

ფულის შეგროვება ყულაბებით

20, 21 და 22 ივლისს თბილისში იწარმოებს ფულის შეგროვება ყულაბებით. სულ გამოშვებული იქნება ქალაქში 400 ყულაბა. ფულის შეგროვებაში მონაწილეობას მიიღებენ თავდაცვა-ავიაქიმის წევრები.

თავდაცვის კვირეული და კინო

თავდაცვის კვირეულისათვის სახ. კინომრეწველობამ გამოუშვა შემდეგი კინო-სურათები: „ტანკი“, „ისწავლე სროლა“, „ახალი ჯერიშზე“, „სამხედრო მატარებელი“, „განგაში ღამით“.

„ქიმიური ნათვლა“

დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე იწარმოებს „ქიმიური ნათვლა“ ქალაქის რაიონში მცხოვრებთათვის.

თავდაცვის სალამოები

გუშინ, 17 ივლისს, თავდაცვის სალამო გაიმართა ტყავტრესტის, ხელოვნების მუშაკთა და ტრამვაელთა კლუბებში.

დღეს, 18 ივლისს, თავდაცვის სალამო შესდგება მშენებლების და ამხ. მიასნიკოვის სახელობის კლუბებში.

ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის წევრების და უჯრედების რიცხვი

უკანასკნელი ცნობების მიხედვით ამიერკავკასიის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში ითვლება 169.874 წევრი. აქედან საქართველოს ავიაქიმში არის—70.421 წევრი, აზერბეიჯანისში—66.157 წევრი და სომხეთის—33.296 წევრი.

ა.-კ. რესპუბლიკების თავდაცვა-ავიაქიმებში მოწყობილი აქვთ 2830 უჯრედი. აქედან საქართველოს აქვს 1010 უჯრედი, აზერბეიჯანს—1004 უჯრედი და სომხეთს—716 უჯრედი.

პარტიული ცხოვრება

ვემზადოთ მომავალ სამოსწავლო წლისათვის

1927-28 სასწავლო წელი პარტგანათლების ქსელში უკვე დასრულდა. ამჟამად მთელი ყურადღება მიპყრობილი უნდა იქნეს მომავალ სასწავლო წლისაკენ. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ გასული წლის გამოცდილებით და აგრეთვე მხედველობაში მივიღოთ პარტიულ მასების გაზრდილი მოთხოვნილებები, რომ უფრო ორგანიზაციულად, მოწყობრად დავიწყოთ მომავალ წლისათვის მუშაობა, რომ თავიდან ავიცილოთ დეფექტები.

საქ. კ. პ. (ბ) ცკას მიერ 1927 წ. მაისში მიღებული დადგენილება მთავარ ყურადღებას აქცევს პარტგანათლებაში ნებაყოფლობითი პრინციპის შეტანას. თუ უწინ პარტიის წევრებისა და კანდიდატებისათვის სავალდებულო იყო პოლიტცოდნის ყველა ტიპის სკოლების გავლა, გასული წლიდან ქალაქად ნორმალურ სკოლაზე ვალდებულება მოიხსნა; სოფლად სავალდებულოთ გადაიქცა ერთ ერთი ტიპის (მოძრავი ან სტაციონალური) სკოლის გავლა. ამასთავე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თვითგანვითარებითი მუშაობის გაშლას.

აგიტ-პროპმუშაკების საკავშირო თათბირმა კატეგორიულად დაგმო იძულებით პარტიული სწავლა და აღიარა სრული ნებაყოფლობის აუცილებლობა პარტიის ყველა წევრებისათვის.

მომავალი სასწავლო წლის საჭიროა დაიწყოს უფრო ადრე, ვიდრე გასულ წელში. პარტორგანიზაციების მიერ წინასწარ უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი ახსნა-განმარტებითი მუშაობა პარტსწავლების ამოცანებს, ფორმების და მეთოდების შესახებ.

ახსნა-განმარტებითი კამპანიის ამოცანებია: მიმზიდველობით პარტგანათლების გარშემო პარტიულ და კომკავშირულ მასების ყურადღება;

უნდა შევიტანოთ მეტი სინათლე, მეტი გარკვეულობა პარტსწავლების თვითეულ ფორმის ამოცანებში. თვითეულმა კომუნისტმა და კომკავშირელმა პირადათ უნდა აირჩიოს: რომელ სკოლაში ან წრეში შეუძლია მას მეცადინეობა.

წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად ადგილებზე უნდა შეიქმნას პარტგანათლების ქსელის მომწყობი კომისიები, რომლებმაც უნდა დაამთავრონ ახსნა-განმარტებითი კამპანია აგვისტოში, სექტემბერში კი—სკოლების და წრეების მსმენელთა შეკრება და ქსელის ჩამოყალიბება.

მომავალ წელში ქალაქში და მუშათა რაიონებში ჩვენ გვექნება: პირველ დაწყებითი პოლიტცოდნის სკოლა, სალამოს საბჭოთა პარტსკოლები, მარქსისტული ლენინური, საგაზეთო და მიმდინარე პოლიტიკის წრეები. სოფლად: სოფლის პოლიტცოდნის სკოლა, მარქსისტულ-ლენინური, საგაზეთო და მიმდინარე პოლიტიკის წრეები. პირველ დაწყებითი პოლიტცოდნის სკოლის გავლა არის სკოლა სავალდებულოა ქალაქის ან სოფლის პოლიტსკოლის კურსის გავლა; სალამოს პარტსკოლებში, მარქსისტულ ლენინური წრეები ეწყობიან ქვედა პარტაქტივისათვის.

როგორც ზევით ვსთქვით, პარტიულებისათვის არაა სავალდებულო პირველ დაწყებითი პოლიტსკოლის გავლა. ეს სკოლა სავალდებულოა პარტიის კანდიდატების იმ ნაწილისათვის, რომელსაც არ აქვს საკმაო პოლიტმომზადება პარტიაში გადასასვლელად; კანდიდატებს გარდა პოლიტსკოლაში მიღებულ იქნებიან კომკავშირელები, უპარტიო მუშები, გლეხები.

სალამოს პარტიულ სკოლების ქსელი საქართველოში (გარდა თბილისისა) უმნიშვნელოა. მომავალ წლიდან სალამოს პარტსკოლები უნდა მოეწყოს არა მარტო თბილისში, არამედ ყველა საწარმოო და მუშურ რაიონებში (ქუთაისი, ხაშური, ბორჯომი, ფოთი, ტყიბული და სხვა). საგაზეთო წრეებთან სასურველია მოეწყოს თვითგანვითარების პრინციპზე.

დაწყებითი პარტგანათლების მიღების შემდეგ პარტიულებმა და კომკავშირელებმა უმთავრესად თვითგანვითარების საშუალებით უნდა აიმაღლონ თავიანთი პოლიტიკური ცოდნა. პარტიის ხაზი პარტგანათლების დარგში სწორედ ნებაყოფლობითი პარტიული სწავლის ნიადაგზე გადასვლისაკენ მიიმართება. გასულ წელს ზოგან თვითგანვითარებითი წრეები აღმოცენდნენ, მაგრამ მეცადინეობის დისციპლინის და მეთოდების უქონლობის გამო ეს წრეები ნაყოფიერად ვერ მუშაობდნენ, რასაც ხშირად შედეგად მოსდევდა მათი დაშლა.

პარტიული უჯრედები დაშორებული არიან პოლიტცოდნის სკოლების და სხვადასხვა წრეების მუშაობისაგან. მართალია, ისინი მონაწილეობენ ღებულობენ მსმენელთა შეკრება-შეკრებაში, მაგრამ პარტიული ქსელის მუშაობით ნაკლებად არიან დაინტერესებული. ასეთი დამოკიდებულება პარტგანათლებისადმი დაუშვებელია, პარტუჯრედებმა პასუხისმგებელი უნდა იგრძნონ არა მარტო სკოლების და წრეების მოწყობაში, არამედ მათი მუშაობისთვისაც.

ზოგიერთი სამაზრო კომიტეტები სუსტი ყურადღებით ეპყრობოდნენ პარტიულ განათლებას,—(მაგ. სოღნაღი, გორი, სიღნაღი, ოზურგეთი, ახალციხე; დუშეთი და სხვ.). მომავალ წლისათვის მაზრის მუშაკებმა უნდა გამოასწორონ ეს ნაკლი. უნდა გაფართოვდეს პარტქსელი და გაძლიერდეს ხელმძღვანელობა მისი მუშაობისადმი.

დ. ორაგველიძე.

ჩვენ გამოვარკვიეთ ეს ფაქტი და დამნაშავე პასუხისგებაში მივეცით. დასასრულ ამხ. ქუკილა ეხება თვითკრიტიკის ლოზუნგს და ფართოდ განმარტავს მის მნიშვნელობას.

მოხსენების იროგლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. ლადნამ, კაკუჩრიძემ, ხინტიბიძემ, ჩხეტიანმა და სხვ.

ამხ. ქუკილას სამოლო სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლუცია.

დ. ცირეკიძე.

პირველი გამოშვება

(თბ. კომიტეტის უმუშევართა გადასამზადებელი კურსები)

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით ა. წ. იანვარში შეიმუშავა მთელი რიგი კონკრეტიული ღონისძიებანი; გადაწყდა უმუშევარ პარტიულ ამხანაგების გადამზადება და კვალიფიკაციის აწევა მოკლევადიან კურსების მოწყობით.

ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის პრაქტიკული ანგარიშის ინსტიტუტთან მოეწყო კურსები პარტიულ ამხანაგების მოანგარიშეებად მოსამზადებლად. კურსები გაიხსნა 20 თებერვალს და თუმცა მათ სამ თვეში უნდა დაესრულებიათ 8 თვიანი პროგრამა, მაგრამ საჭირო გახდა მეცადინეობის კიდევ ორი კვირით გაგრძელება ე. ი. სწავლების 8 თვის კურსი გავლილ იქნა 3. ნახ. თვის განმავლობაში.

კურსებზე გაიგზავნა 45 ამხანაგი, შემდეგ მათ ჩამოსცილდა 14 კაცი. ამგვარად 31 უმუშევარმა ამხანაგმა მიიღო კვალიფიკაცია და მოანგარიშის სახელწოდება.

აკადემიური საათები განაწილებული იყო ასე: აღრიცხვის საერთო თეორია და ბალანსმცოდნეობა—100 საათი; სავაჭრო და კოოპერატიულ ანგარიშწარმოების პრაქტიკული კურსი—200 საათი; ეკონომიური პოლიტიკა—50 ს.; სამოქალაქო და სავაჭრო უფლება—30 ს. და სტატისტიკის საფუძვლები—10 ს. და სხვ.

ამხანაგები, რომლებიც კურსებზე სწავლობდნენ, ყოველ თვიურად ღებულობდნენ სტიპენდიას უმუშევარ პარტიულებს კვალიფიკაციის ასაწევად შექმნილ ფონდიდან.

კურსებზე მოსწავლე პარტიულ ამხანაგები დღეში მეცადინეობდნენ 7 საათი (დილით და სალამოთი). კურსებზე სწავლობდა 22 ვაჟი და 9 ქალი; ეროვნების მიხედვით—17 ქართველი, 7 რუსი და 7 სომეხი.

გამომცდელმა კომისიამ მეცადინეობის დასრულების შემდეგ შეამოწმა თვითეული მსმენელის მომზადება და კვალიფიკაცია და გამოირკვა, რომ პირველი ხარისხით დაამთავრა 16 კაცმა, მეორეთი—10 და მესამეთი (სუსტად)—5. მიღებულ თეორეტიულ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებამ გააძლიერა მსმენელთა საქმის შეთვისების უნარი. მოწყობილ იქნა ექსკურსია „ზაკპიოუზ“-ში, სადაც მსმენელნი გაეცნენ აღრიცხვის საბრუნველ ოპერაციებს? სისტემებს და პრაქტიკულ დეტალებს. მსმენელთა საერთო რაოდენობიდან ჩ. დასრულებს? [illegible] სპეციალობის მიხედვით სამუშაოზე მოეწყო 30 კაცი.

ზედმეტი არ იქნებოდა იმ დამახასიათებელ მომენტების აღნიშვნა, რომელთაც ადგილი ჰქონდა როგორც სწავლების პერიოდში, ისე მას შემდეგ.

პედაგოგებისა და ლექტორების შემადგენლობა განსაკუთრებით კარგად იყო შერჩეული. მსმენელების საერთო განათლების დონე ერთნაირი არ იყო. იყვნენ ამხანაგები დაწყებითი, უმაღლესი განათლებით, საშუალო და დაბალი განათლებით. იყვნენ აგრეთვე ისეთებიც, რომელთაც საერთოდ არავითარი განათლება არ ჰქონიათ. მაგალითისათვის საჭიროა აღინიშნოს ერთი დამახასიათებელი ფაქტი, ის პარტიული ამხანაგი, რომელსაც არავითარი განათლება არ ჰქონდა და რომელიც ორ სიტყვას ვერ გადააბამდა ერთმანეთს, ანგარიშწარმოებაში (წერითი მუშაობაში,—ეს კი მთავარია) იმდენად მომზადებული აღმოჩნდა, რომ გამომცდელმა კომისიამ, რომელიც ყველას კრიტიკულად უდგებოდა, ერთი შეცდომაც ვერ მოუნახა მუშაობაში.

პრაქტიკული მუშაობის დარგში იყო შემთხვევები, როცა კურსდამთავრებულ კვალიფიციურ უნდობლობით ეპყრობოდნენ ორგანიზაციები და არ სურდათ მათი მიღება სამსახურში. მაგრამ დაწესებულებების ხელმძღვანელთა შეხედულებები, რა თქმა უნდა, არ გამართლდა,—კურსდამთავრებულნი კვალიფიციური მოანგარიშეები აღმოჩნდნენ. ისეთ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი, როცა ერთ სამეურნეო ორგანიზაციაში კურსდამთავრებული მიიღეს არა მოანგარიშის თანამდებობაზე, არამედ პრაქტიკოსად პირობით და დაუნიშნეს თვეში 35 მან., მაგრამ ერთი კვირის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ის კარგი მუშაკია და გადაიყვანეს მოანგარიშის თანამდებობაზე, ჯამაგირიც 60 მან. გაუზარდეს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს სამეურნეო ორგანოებში მეტად საჭიროა პარტიული მოანგარიშეები. ამიტომ საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტმა აუცილებლად სხვა პარტიულ მოანგარიშეების მომზადება, რომლებიც თანდათანობით უნდა შესცვლიან არაკეთილსაიმედო პირებს ჩვენს დაწესებულებებში.

შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ორგანიზაციის პირველმა პრაქტიკამ, პირველმა გამოშვებამ გაამართლა თავისი თავი.

გ. ი.

ცეკას პლენუმის შედეგების დამუშავება

(ტყიბული)

ივნისის ბოლოს ტყიბულის სარაიონო პარტ და კომკავშირის ორგანიზაციების გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა ამხ. ა. ქუკილას მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცკას უკანასკნელი პლენუმის შედეგებზე.

ამხ. ქუკილა ეხება ტყიბულის მაღაროების საკითხს და ამბობს, რომ მაღაროებში ბოლოდროის შტატი საკმარისი არ არის შერჩეული. პროფორგანოების მუშაობა ვერ სდგას საჭირო სიმაღლეზე, არ სწარმოებს კულტმუშაობა, სასადილოებში ბუტენელა ეფუფთობა?, პროფკავშირი ამას ყურადღებას არ აქცევს, სანიტარული კომისიებიც კი არ არის დაარსებული. კავშირის ასე ჰქონია წარმოდგენილი, რომ მუშათა ბინებზე მისვლა და იქ მუშაობა არ არის საჭირო, თითქოს მუშების ბინებზე არ შეიძლებოდეს სისუფთავის დაცვა, პაროსიტების? მოსპობა და სხვა.

ამხ. ქუკილა ეხება აგრეთვე ინტელიგენციის მუშაობას და ამბობს, რომ ეს მუშაობა ჯერ-ჯერობით სუსტია. თუმცა ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა ჩვენთან არის, მაგრამ მისი უმნიშვნელო ნაწილი კიდევ ცდილობს შემოგვაპაროს მავნე აზრები.

საზინიო საკითხი ჩვენს მაზრაში ძლიერ ცუდათაა დაყენებული. სახლის შეპატრონეები არ უვლიან შენობებს, შემოსულ ქირის კი პირადათ ხმარობენ და ძველებურად ხელგაშლილ ცხოვრებას ეწევიან. ჩვენ ამჟამად ყველაფერი ეს გამოვამჟღავნეთ და ვფიქრობთ აღნიშნული ნაკლი მალე გამოსწორდება.

ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ჩვენს აპარატში არ არის ბიუროკრატიზმი. რასაკვირველია ეს შეცდომაა, ჩვენ მრავალი მაგალითები გვაქვს იმის, რომ საბჭოთა აპარატში მოკალათებული არიან საკმაო მსგავსი და გაბედული ბიუროკრატები. ერთი ასეთი ბიუროკრატი იყო რკინის გზის სამმართველოში, იგი ჩვენს სასოფლო სამეურნეო კოოპერაციას გაფუჭებულ ვაგონებს აძლევდა ხილის გადასაზიდათ. კერძო ვაჭარს ბაბუნაშვილს კი რა დროს როგორი ვაგონი სჭირდა ისეთს მისცემდა.

სასოფლო თათბირის პლენუმი

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. სოლქო კომიტეტთან არსებულ სასოფლო- თათბირის მორიგი მესამე პლენუმი მოწვეულია ა.-წ. 20 ივლისისათვის.

დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: მუშაობა ღარიბ გლეხობაში, ბეჭდვითი სიტყვა სოფლისათვის, კოლმეურნეობათა მშენებლობა ამიერ-კავკასიაში, პარტიული მუშაობა ხოფლის აქტივთან, სამომხმარებლო კოოპერაცია ა.-კავკასიის სოფლებში და საგზაო ბეგარა ამიერ-კავკასიაში. (ადს).

კომკავშირში

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკა თვითკრიტიკისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესა.

მოსკოვი, 17 ივლისი. სრ. საკავშირო კომკავშირის ც. კ.-მა წერილით მიმართა მთელ მუშურ - გლეხურ ახალგაზრდობას. წერილი ეხება თვითკრიტიკის ლოზუნგს ცხოვრებაში გატარებასა და კომკავშირში ბიუროკრატიზმის და გახრწნის მოვლენებთან ბრძოლის საკითხს.

ცეკა წინადადებას იძლევა წერილი განხილულ იქნას უჯრედების და კრებებზე უპარტიო ახალგაზრდობის მონაწილეობით. ახალგაზრდობის მასებში ჩატარებულ უნდა იქნეს [illegible] ფართო მასები. სრ. საკავშირო კომკავშირის ც. კ. მოუწოდებს კომკავშირელებს —იყვნენ პირველი და თითონ სანიმუშო ახალგაზრდა მებრძოლები, რომლებმაც თვითკრიტიკის ლოზუნგი დაუზოგველად უნდა გაატარონ პირველყოვლისა თვით კომკავშირში.

„დაე კომკავშირის ყოველი უჯრედი,—ნათქვამია წერილში, — სათავეში ჩაუდგეს თავის საწარმოს, სოფლის დაწესებულების ახალგაზრდობას ამ იერიშში ორის, რომელიც მიტანილ უნდა იქნას კავშირში ბიუროკრატიზმის, სისაძაგლის და დამახინჯებ

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ინკუბატორების განაწილება მეაბრეშუმეებს შორის

ქუთაისი, 16 ივლისი. „საქართველოს აბრეშუმში" ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს, რომ წელს მეაბრეშუმე გლეხები საკმაოდ შეეჩვივნენ ინკუბატორების მოხმარებას და თვით მეაბრეშუმეების მოთხოვნილების თანახმად „საქართველოს აბრეშუმს" გადაწყვეტილი აქვს გაანაწილოს მაზრებში 200-ზე მეტი ინკუბატორი. დასარიგებელი შეის თესლის 40 პროცენტი ამ ინკუბატორებით იქნება გამოყვანილი. (ადს).

მოსავლის აკრეფა

ლიუქსემბურგი, 16 ივლისი. ბორჩალოს მაზრაში დაიწყო პურის მკა. ამინდი ხელს უწყობს მუშაობას. ქერის მკა მალე მოთავდება. მოსავალი საერთოდ საშუალოა, ზოგან საშუალოზე მაღალი. (ადს).

სამხედრო ლაშქრობა

ლიუქსემბურგი, 16 ივლისი. ლიუქსემბურგისა და შაუმიანის თავდაცვა-ავიაქიმის წევრებმა კომპარტიისა და კომკავშირის წევრებთან ერთად 15 ივლისს მოაწყვეს სამხედრო ლაშქრობა, რომლის მონაწილენიც გავიდნენ ღამის 12 საათ. ლაშქრობას ხელმძღვანელობდა სამაზრო აღმასკომის მიერ შეფობის ქვეშ აყვანილი სამხედრო ნაწილი. (ადს).

წერილები

[illegible] მაზანითი

ქოხ-სამკითხველოები სოფლად კულტმუშაობის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენენ. მათთან ჩამოყალიბებულია სხვადასხვა წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევს ქოხ-სამკითხველოს გამგე. ამ წრეების მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ნაყოფიერი, თუ მისი ხელმძღვანელი სათანადო ცოდნა-გამოცდილებით არის აღჭურვილი კულტმუშაობის დარგში.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა?

თამამად შეიძლება ითქვას, რომ არადამაკმაყოფილებელი. ქოხსამკითხველოების გამგეებად უმრავლეს შემთხვევაში ისეთი ამხანაგები მუშაობენ, რომლებსაც ძლიერ ცოტა გამოცდილება აქვთ ამ დარგში და ცხადია, ისინი ვერც სათანადოთ უხელმძღვანელებენ სოფლად კულტმუშაობას. ამის მიზეზი მრავალია, მაგრამ ჩვენ აქ დავასახელებთ სამ უმთავრესს: პირველია ქოხსამკითხველოს გამგეთა ხშირი ცვლა, მეორე—მათი ძალზე დაბალი ხელფასი და მესამე სათანადოთ მოუმზადებლობა.

არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ ქოხსამკითხველოს გამგეებს ძალზე მცირე ხელფასი ეძლევათ და ზოგჯერ იმასაც ვერ ღებულობენ თავის დროზე. ამის გამო ხშირად იცვლება ქოხსამკითხველოს გამგეები, რაც ძალზე აფერხებს კულტმუშაობას. თავის-თავად ცხადია, რომ ამ მცირე ხელფასით, რომელსაც დღეს ისინი ღებულობენ, სათანადოთ მომზადებული კულტმუშაკი არ სთანხმდება სამკითხველოში მუშაობას და თემსაბჭო ძალაუნებურად იძულებული ხდება დაბალი ცოდნის მქონე პირს მიანდოს სამკითხველოს გამგეობა.

ნაკლები ყურადღება ექცეოდა დღემდის აგრეთვე ქოხსამკითხველოს გამგეთა მომზადების საკითხსაც სათანადო ორგანოების მიერ. ამ მხრივ უსათუოდ მიბაძვის ღირსია ზუგდიდის სამპოლიტგანის ნაბიჯი, რომელმაც გახსნა ქოხსამკითხველოს გამგეთა მოსამზადებელი ორკვირეული კურსები. ამ კურსებს ესწრება ზუგდიდის მაზრის ყველა სათემო ქოხსამკითხველოების გამგეები და მისი მიზანია ამაღლოს გამგეთა ცოდნითი დონე.

აუცილებლად საჭიროა, რომ ასეთი კურსები გაიხსნას სხვა მაზრებშიაც. მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა აგრეთვე გადიდებულ იქნას ქოხსამკითხველოს გამგეთა შრომის ხელფასი და მოწესრიგდეს ხელფასის თავის დროზე მიღების საქმეც.

თემაღმასკომებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ქოხსამკითხველოების სათანადო დონეზე დაყენებას და უზრუნველყონ ისინი როგორც მატერიალურად, ისე მცოდნე და მუშაობის უნარის მქონე გამგეებითაც.

ხ. ბ-ძე.

როდის მოგვარდება ეს საკითხი?

(დმანისის თემი, ბორჩალოს მაზრა)

ეს თემი, როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად ძლიერ ჩამორჩენილია.

თემს, რომელიც აერთიანებს 900 კომლს, დღემდის არა აქვს მეორე საფეხურის სასწავლებელი და საექიმო პუნქტი. ცხადია, ჩვენს თემში მკურნალობის საქმე ვერ არის თავის სიმაღლეზე დაყენებული. თემის შვიდი სოფლის მცხოვრებთ უხდებათ ბაშკიჩეთში წასვლა ექიმის მოსაყვანად. ზოგჯერ ექიმი არ არის ხოლმე და გლეხებს დღეობით უხდებათ ლოდინი. კიდევ კარგი თუ ამ დღეების გაცდენის შემდეგ მაინც ეღირსათ რამე. ერთი ექიმი, რომელიც რაიონის ფარგლებში მუშაობს ათად ვერ გასწვდება და ყველგან ვერ წავა. გლეხობა კარგა ხანია ითხოვს მიექცეს ამ საკითხს სათანადო ყურადღება. არ ყოფილა საბჭოს არც ერთი სხდომა, რომელზედაც არ იყოს დასმული საკითხი საექიმო პუნქტის და მეორე საფეხურის სკოლის გახსნის შესახებ.

დღესაც არის არჩეული კომისია, მაგრამ თვითდაბეგვრის გატარება ყოვლად შეუძლებელი შეიქნა, არც საბჭოში და არც გლეხობაში ერთსულოვნება არ არის, იმიტომ, რომ თუ თემის დღევანდელ ცენტრში გაკეთდა სასწავლებელი, ამით ისარგებლებს მხოლოდ თემის უმნიშვნელო ნაწილი (200—300 კომლი). საქმე ისაა, რომ სოფლების დიდი ნაწილი ცენტრიდან დაშორებულია 5—7 ვერსით, ამ მანძილის გავლა ყოველდღიურად მოწაფეს არ შეუძლია.

ასეთ მდგომარეობაშია საექიმო პუნქტის საქმეც. არის ამ საკითხებზე გაუთავებელი დავა.

საჭიროა სამაზრო აღმასკომმა ყურადღება მიაქციოს ამ საკითხის მოგვარებას, რითაც ხელს შეუწყობს, როგორც თემის მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას, ისე ავადმყოფობასთან ბრძოლასაც.

ჟანელი.

—:—

წერილებიდან

ზოსლევი (გორის მაზრა) ზოსლევის შვიდწლედის გამგედ არის ფილიმონ ბარბაქაძე, ამავე სკოლაში მუშაობს მასწავლებელი ქალი ა. დეკანოსიძე. სკოლის გამგემ ამ მასწავლებელი ქალის ორი თვის ჯამაგირი აიღო და შემდეგ თავისთავს ასესხა. როცა დეკანოსიძემ ჯამაგირი მოითხოვა, „[illegible]"-ო დარცხვენილად უპასუხა ბარბაქაძემ. მეორე თვეშიც იგივე სურათი განმეორდა. ალბათ შემდეგშიც არ დაივიწყებს თავისთავს ბარბაქაძე, თუ შორაპნის მაზრის განყოფილებამ არ გაიხსენა ის.

ჭინჭარი.

— **ლაგოდეხი,** (სიღნაღის მაზრა) ლაგოდეხის და ზარისუბნის თემებ შუა არის უღელტეხილი, სადაც ბლომად მოიპოვება ცეცხლგამძლე სამგური ქვა. ეს ქვა სრულიად გამოუყენებელია. საჭიროა ამ ადგილების გამოკვლევა და ზომების მიღება ფრიად საჭირო მასალის გამოსაყენებლად.

პროვინციის ქრონიკა

— **საბინაო მშენებლობა.** სოხუმის აღმასკომი საბინაო მშენებლობაზე უახლოეს 5 წლის განმავლობაში დახარჯავს 1.915.000 მანეთს.

— **სახალხო სახლი.** დაბა ვანში (ქუთ. მაზ.) ახლო ხანში დამთავრდება სახალხო სახლის აგება.

— **აგრო-წრე.** სოფ. მახინჯაურში (აჭარისტანი) დაარსდა აგრონომიული წრე.

— **ტყეების მოწყობა.** ქობულეთის მაზრაში ამჟამად სწარმოებს ტყეების მოწყობა 20.000 ჰექტარის სივრცეზე.

— **ახალი ქარხანა.** ზუგდიდში გაიხსნა კალის სარჩევი ქარხანა.

— **ტრაქტორები.** გორის მაზრის აღმასკომმა წელს შეიძინა 6 ახალი ტრაქტორი.

— **სასტუმრო.** შორაპნის აღმასკომმა ზესტაფონში სასტუმროს მოსაწყობათ გადადო 12.000 მან.

— **მეხილეობის განსავითარებლად** გორის მაზრაში მოეწყო მეხილეობის საცდელ-საჩვენებელი სადგური.

— **შემოდგომის თესვის კამპანიის** ჩასატარებლად შორაპნის აღმასკომი შეუდგა წინასწარ სამზადისს მუშაობას.

— **ყვავილების პლანტაცია.** ზუგდიდის მაზრაში გაშენებული იქნა ყვავილების პლანტაცია 20 დესეტინაზე.

არასაგადასახადო შემოსავლის ნარჩენების ლიკვიდაცია

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სახელმწიფო შემოსავლის განყოფილებაში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ ვინაიდან არასაგადასახადო შემოსავლის ნარჩენები დიდი რაოდენობით დაგროვდა, ა.-კ. ფინ. სახ. კომის. გადასწყვიტა ამ ნარჩენების სალიკვიდაციოთ მიიღოს გადამჭრელი ზომები. საკითხი გაირჩა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოში, რომელმაც დაადგინა არასაგადასახადო შემოსავლის მთელი ნარჩენების ლიკვიდაცია მოხდეს ა. წ. 1 სექტემბრამდე. ნარჩენების ლიკვიდაცია დავალებული აქვს რესპუბლიკანურ და სამაზრო კომისიებს. რესპუბლიკანურ კომისიებში შევლენ ფინანსთა, შინაგან საქმეთა და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატების წარმომადგენლები; სამაზრო კომისიებში შევლენ სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე და მაზრის საფინანსო და სამიწათმოქმედო განყოფილების გამგეები. ხოლო იმ მაზრებში, სადაც ამჟამად მუშაობს საგადასახადო ნარჩენების სალიკვიდაციო კომისია, ამ კომისიის შემადგენლობას მიემატება სამიწათმოქ. გან. გამგე.

პასუხისმგებლობა ნარჩენების ლიკვიდაციის მთლიანათ ეკისრება რესპუბლიკანურ და სამაზრო კომისიების თავმჯდომარეებს.

რესპუბლიკანურ სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცა გამოსცენ სპეციალური დადგენილება, რომლის ძალით მილიციის ორგანოებს დაევალება აღმოუჩინონ კომისიებს საჭირო დახმარება არასაგადასახადო შემოსავლის ნარჩენების აკრეფის საქმეში.

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს დაევალა 10 სექტემბრისთვის წარუდგინოს ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოს მოხსენება ლიკვიდაციის მიმდინარეობის შესახებ. ხოლო 4 ოქტომბერს წარდგენილი უნდა იქნეს მოხსენება ლიკვიდაციის შედეგების შესახებ.

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატმა რესპუბლიკანურ ფინანსთა სახ. კომისარიატებს დაუგზავნა ცირკულიარული წერილები და წინადადება მისცა დაჩქარებით შეუდგნენ წინასწარ მუშაობას დადგენილების სისრულეში მოსაყვანად.

პანქისის ხეობაში

(ექიმის შთაბეჭდილებანი)

თანახმად ჯ. ს. კ. სამკურნალო განყოფილების დადგენილებისა ჩვენი რაზმი, ივნისის შუა რიცხვებში გაემგზავრა თელავის მაზრაში სამუშაოდ. რაზმის მთავარ მიზანს და დანიშნულებას შეადგენდა შემოევლო კახეთის ისეთი დასახლებული ადგილები, სადაც მოსახლეობა მოკლებული იყო საერთოდ საექიმო დახმარებას და კერძოთ არ იცნობდა სამეანო გინეკოლოგიურ დარგს. რაზმის პირდაპირი მოვალეობა იყო დაავადების შესწავლასა და მისი წარმოშობის მიზეზების გამოკვლევასთან ერთად, უშუალოდ უფასო პრაქტიკული დახმარების გაწევა. თანახმად ინსტრუქციისა მაზრის ჯან-ინსპექციასთან შეთანხმებით უნდა გვემოქმედა. აღსანიშნავია, რომ ჯან-ინსპექტორი აქტიურ დახმარებას გვიწევდა მუშაობის დაუბრკოლებლივ და ნაყოფიერად ჩასატარებლად, როგორც რჩევა-დარიგების მიცემით ისე გადასაზიდ, გადასაყვანი საშუალებათა მოწოდებით.

პირველ ყოვლისა რაზმმა თავის მუშაობის ადგილად აირჩია პანქისის ხეობა, რომელიც კულტურულად ყველაზე უფრო ჩამორჩენილ კუთხეა თელავის მაზრაში და ამასთან, უფრო დაშორებულია სამაზრო ცენტრიდან ჩრდილო დასავლეთის მხრივ.

18 ივნისს დილით ადრე გავედით თელავიდან. გზა პირდაპირი მიმართულებით მიდიოდა დასავლეთისაკენ. ალაზნის მარჯვენა და მარცხენა მდიდარ ნაპირებზე გაშენებული სოფლები ლამაზად გამოიყურებოდნენ. შუადღისას მივაღწიეთ ს. მატაანს. ეს უკანასკნელი სოფელია დასავლეთის მხრივ კახეთში, რომელიც დაშორებულია თელავიდან 30 კილომეტრით. აქედან გზა პანქისისაკენ ჩრდილო მიმართულებას იღებს, ალაზანი, რომელსაც სიშორის გამო აქამდე თვალი ძლივს უწვდებოდა, უფრო დაგვიახლოვდა. გზასთან ერთად ალაზანიც იცვლის თავის კალაპოტს. ბუნება თანდათან იცვლება. ჰაერი უფრო გრილი და სუფთა სასუნთქავი ხდება. პანქისის ხეობის [illegible] და გაშლილი შესავალი პურისა და ქერის ყანები ლამაზად ბიბინებს. სჩანს მოსავალი კარგი [illegible]. ფლორაც შედარებით მდიდარია. ახლო - მახლო ფერდობები უხვი და გაუვალი წიწვოვანი ტყეებითაა დაფარული. ვაკე-მინდვრები სავსეა აკაკლისა და წაბლის ხეებით. ხეობაში შესვლის 5-6 კილომეტრის [illegible], როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ მოსჩანან ფშაველთა და ოსების სოფლები. ცოტა კიდევ ზემოთ, გზა შუა განაპირას ქისტების სოფელ დუისს, გზა თანდათანობით მაღლდება. პურისა და ქერის მაგივრად ქისტებს სიმინდი და ლობიო დაუთესიათ.

ხეობა მდიდარია საძოვარი ადგილებით, მსხვილფეხა საქონელი ძროხა და კამეჩი რამოდენიმე წყვილი ჰყავს თითო მოსახლეს. ქისტები, ფშაველები, ოსები და თუშები, როგორც საერთო საცხოვრებელი ადგილმდებარეობით, ისე ცხოვრების პირობებით ნაკლებ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

იკვებებიან უმთავრესად რძით და მისი ნაწარმოებით (ყველი, ერბო, კარაქი, დო, ხაჭო), სიმინდისა და სიფაქიზის მხრივ ქისტები და ოსები უფრო თავშენახული არიან, ვიდრე ფშაველები და თუშები. მათი ჩვეულება და ადათიც ერთი და იგივეა. საერთო დაავადიანების სურათიც ერთფეროვანია. ხალხი ჯანსაღ, წარმოსადეგ შეხედულებას სტოვებს. პანქისის ხეობას შუა არღვევს მდ. ალაზანი. ხეობის სიგრძე დაახლოვებით 30 კილომეტრია.

ხეობაში მოთავსებულია სულ 24 სოფელი 3968 სულით. აქედან 1781 ქისტი, 1007 ფშაველი, 940 ოსი და 240 თუშები.

რაზმი დაბანაკდა ქისტების ს. ჯოყოლოში; ქისტები სიმპატიით და თავაზიანად შეგვხვდნენ. ხალხს ჩვენი მისვლა ძალზე ესიამოვნა, მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ მამაკაცებთან ერთად ქალებისთვისაც უნდა გაგვეწია საექიმო დახმარება ცოტა არ იყოს ხასიამოვნოთ არ დარჩათ. ქალებს ადათის მიხედვით ეკრძალებათ მამაკაცს გაესინჯონ. ოპერაციის გაკეთებას ხომ დაუშვებლად და მიუღებელ მოვლენად სთვლიან ისინი. ერთმა ქისტმა აშკარად განაცხადა: თქვენ, ექიმები მამაკაცებისთვის ხართ გაჩენილი, თქვენი ხელი ჩვენ გვჭირდება და აქაური ქალები კი ექიმობას არ საჭიროებენ! მეორე დღეს ავადმყოფთა დიდძალი რიცხვი მოგვაწყდა. უმთავრესად მამაკაცები. ქალები აქა-იქ მოსჩანან. მიუხედავად ჩვენი სპეციალობისა იძულებული ვიყავით დახმარება გაგვეწია სხვა არა სპეციალურ დარგშიაც, ქალები სტეტოსკოპით გასინჯვას არ სთანხმდებიან. მათ [illegible] დავკმაყოფილდით, წამლეულობა მივეცით, ან გამოვუწერეთ. შესაფერისი აგიტაციისა და ახსნა - განმარტების შემდეგ შესაძლოთ სასინჯით მოგვესმინა გულისა და ფილტვების მუშაობა. დიდი შრომა და ენერგია დავხარჯეთ იმისათვის, რომ ქალები და კაცები დაგვერწმუნებია [illegible] გასინჯვის აუცილებლობაში ქალთა სნეულების სინჯვით გამოსაცნობისათვის. მუშაობის მესამე დღეს მოვახერხეთ უკვე გასინჯვა ისეთი ავადმყოფი ქალებისაც კი, რომლებიც სასქესო ორგანოების დაზიანებისა გამო ძლიერ და შესაბრალისს ტანჯვას განიცდიდნენ. (საშვილოსნო მთლიანად გარეთ გამოვარდნა), ავადმყოფები ხანში შესული არიან, სქესობრივად აღარ ცხოვრობენ. წინადადება მივეცით გაეკეთებინათ ოპერაცია, რომელიც მათ ტანჯვისაგან იხსნიდა. ავადმყოფები დაგვთანხმდნენ. ქისტები გაფაციცებით თვალყურს ადევნებდნენ, თუ როგორი შედეგებით დამთავრდებოდა ოპერაციები. ოპერაციამ უმტკივნეულოდ და დამაკმაყოფილებლად ჩაიარა. სხვა მდგომარეობებთან ერთად, უკანასკნელმა გარემოებამ ხელი შეუწყო გაგვეხსნა მთელი წყება გინეკოლოგიური ავადმყოფთა და ჩაგვეტარებინა შესაფერისი ოპერაციები. მე-4 და მე-5 დღეზე დაავადებულ მამაკაცთა კონტინგენტი, ოლო, სამაგიეროთ იმატა ქალებმა. ამის შემდეგ, როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები ჩვენს რჩევა - დარიგებას შეგნებულად ეპყრობოდნენ.

ავადმყოფის გასინჯვა უკვე აღარ იწვევდა იმ უსაფუძვლო და შეუგნებელ სირცხვილს, რომელიც ასე თავის დასამცირებლად და მიუღებლად მიაჩნდათ.

დაახლოვებით ორი კვირის განმავლობაში რაზმმა გასინჯა და შესაფერისი დახმარება გაუწია, როგორც რჩევით, ისე უფასო მედიკამენტების მიწოდებით 500-მდე ავადმყოფს. (226 ქალი და 274 მამაკაცი) აქედან გინეკოლოგიური ავადმყოფი აღმოჩნდა 45, გაკეთდა 20-მდე გინეკოლოგიური ოპერაცია. ჩატარებულ იქნა რამოდენიმე ქირურგიული ოპერაცია.

ქალთა შორის შემჩნეული სნეულებანი ნაწილობრივ უნდა მიეწეროს მათ გაძლიერებულ ფიზიკურ მუშაობას. აქაური ქალები, მუშაობის მხრივ მამაკაცებისაგან განსხვავებას არ აძლევენ. ისინი ისე მუშაობენ ყანაში, როგორც მამაკაცები: ეზიდებიან მძიმე საგნებს და ასრულებენ ყოველგვარ საოჯახო მუშაობას მამაკაცებთან ერთად.

ქალთა სნეულების მთავარი ხელშემწყობი პირობაა აგრეთვე თუშ-ფშაველების ჩვეულება—რომლის მიხედვით ქალს თვიურისა და მშობიარობის დროს სასტიკად ეკრძალება ოჯახში დარჩენა. ამ ფიზიოლოგიური მოვლენების ჩატარებამდე ქალებს უხდებათ [illegible] ყოფნა, — სადაც სიცივე და სხვა გაჭირვებანი ძირს უთხრიან მათ საერთო ჯანსაღობას. საბედნიეროდ — ბოლო ხანებში აღნიშნული ჩვეულება მივიწყებას ეძლევა. ქისტებში უკვე მას ადგილი აღარ აქვს.

მოსახლეობაში შემჩნეულ სხვა დაავადებათა შორის ხაზგასმით აღსანიშნავია პარაზიტული სნეულებანი; ის გამოწვეულია მით, რომ მცხოვრებლებს უხდებათ ხშირად ყოფნა და წვრილფეხა საქონელთან. შემჩნეული იყო აგრეთვე ძვლის, ჯირკვლების და ფილტვების ტუბერკულოზის ხშირი შემთხვევები. ზოგიერთ ქისტ ქალებში ისტერიული [illegible]. რაზმი ამჟამად იმყოფება ს. [illegible], საიდანაც მოკლე დროში გადავა [illegible] თეთრწყლებში ჩასახლებულ ხევსურებთან.

ექ. ა. ახვლედიანი.

მუშათა ცხოვრება

დღეს, 17 ივლისს, საღამოს 6 საათზე, რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68) დანიშნულია გაზ. „კომუნისტი"-ს და „მუშა"-ს მუშკორთა თბილისის ორგანიზაციის გაერთიანებული კრება, რომელზედაც ა.-კ. რკ.-გზ. სამმართველოს წარმომადგენელი ამხ. აბელიშვილი გააკეთებს მოხსენებას—რკინის გზის მდგომარეობისა და მუშკორთა შენიშვნების შედეგების შესახებ.

რკ. გზის ყველა წარმოება-დაწესებულების საწარმოო თათბირებმა და კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიებმა უნდა გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები კრებაზე დასასწრებლად.

საწარმოო თათბირები და მუშათა კლუბები

მუშების გასათვითცნობიერებლად და მათი კვალიფიკაციის გასაუმჯობესებლად დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოო თათბირების მუშაობის შედეგის გამოფენას მუშათა კლუბებში. ჩვენი საკლუბო მუშაობა, მჭიდროთ უნდა იყოს დაკავშირებული წარმოებასთან. დღევანდელი კულტურული მუშაობის მთავარი ამოცანა ის არის, რომ აქტიურ მუშის სწავლა-განათლება როგორც საწარმოო დარგში, ისე სხვა, კულტურულ-განმანათლებელ დარგშიც. ამიტომ საკლუბო მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს საწარმოო სახის სალამო-წარმოდგენების გამართვას და საერთოდ ამ მხრივ მუშაობის გაცხოველებას.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ დღემდე ჩვენს მუშათა კლუბებში ან სრულიად არ შუქდება საწარმოო საკითხები და ან თუ შუქდება ძალიან სუსტად. დღეს, მუშათა კლუბები უმთავრესად თავიანთ ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებელ მუშაობას აწარმოებენ.

ყოველი სალამო-კონცერტები, რომლებიც იმართება მუშათა კლუბებში ატარებენ შემოსავლიან ხასიათს. თუ გადავავლებთ თვალს ასეთ კონცერტებზე დამსწრეთა შემადგენლობას, ვნახავთ, რომ ძველი, კვალიფიციური მუშები ან სულ არ არიან, ან თუ არიან ძალიან ცოტანი. ჩვენის აზრით ეს იმით არის გამოწვეული, რომ მუშათა კლუბებში გამართული სალამო-კონცერტების შინაარსი, ვერ აკმაყოფილებს მუშებს.

ამით ჩვენ არ ვფიქრობთ უარვყოთ მუშათა კლუბებში მხატვრული და მუსიკალური სალამო-კონცერტების მოწყობა. პირიქით, ასეთი სახის კონცერტების გამართვა მუშათა კლუბებში აუცილებელია, მაგრამ ჯერ ერთი, რომ რაც შეიძლება უნდა გავაუმჯობესოთ ამ კონცერტების შინაარსი და დავაინტერესოთ მუშები და მეორეც ამ კონცერტებთან ერთად უნდა ეწყობოდეს აგრეთვე საწარმოო სახის სალამოები: საწარმოო და ეკონომიური თათბირების მუშაობის შედეგებისა და საერთოდ წარმოებებთან არსებულ სხვადასხვა კომისიების მუშაობის შესახებ დადგმები და სხვა.

გარდა ამისა, არც ერთ მუშათა კლუბში არ არის გაკრული წარმოების მდგომარეობის შესახებ თუნდაც უბრალო ცნობა, ვერც ერთ მუშათა კლუბში ვერ ნახავთ დიაგრამებს, საწარმოო თათბირების მუშაობის შედეგებს: და წარმოების ნაყოფიერების შესახებ. ეს დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს მუშათა კლუბების მუშაობაში.

კავშირების კულტგანყოფილებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ნაკლოვანებებს და მუშათა კლუბებში გააცხოველონ საწარმოო სახის მუშაობა.

კლუბის წევრი.

აღმასკომის თანამშრომლებში

თბილისის აღმასკომთან არსებულ ადგილკომების გაერთიანებულმა კულტკომისიამ 5 ივლისს საბჭოთა მუშაკების საზაფხულო კლუბში საკუთარი ძალებით გამართა სალამო. სალამო შინაარსიანი და მრავალფეროვანი იყო.

პირველ განყოფილებაში საბჭოთა მუშაკების მომღერალთა გუნდმა შეასრულა რამდენიმე სიმღერა. შემდეგ აღმასკომის დრამწრის მიერ წარმოდგენილი იქნა სცენები: „მესამე ცოლი", „გაწამაწია" და „[illegible] და ტელეფონისტკა".

სცენები დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. დრამწრეს, ეტყობა შესწევს ძალა შეასრულოს უფრო რთული შინაარსიანი პიესებიც, საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება მიაქციოს ანსამბლის მთლიანობას, რასაც დრამწრე შესძლებს. სცენისათვის აუცილებელია დისციპლინარულ წესის დაცვა.

დასასრულ გაიმართა საკონცერტო განყოფილება, აღმასკომის თანამშრომელმა ამხ. მ. ალადაძემ მუსიკალური ხელოვნებით შეასრულა არიები ოპერებიდან ქართულ-რუსულ ენებზე.

ამხ. ალადაძეს საამო ტემბრის და საკმაო ძლიერი ბარიტონი აქვს. აღსანიშნავია აგრეთვე მომღერალი ქალი ამხ. გიგიძე.

დამსწრე.

მოჯამაგირეთა შორის მუშაობა

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის მაზრაში, სასოფლო სამეურნეო და ტყის მუშაკთა პროფკავშირს უხდება მუშაობა სხვადასხვა დარგის მომუშავეებთან. აქაური მუშა-მოჯამაგირე ახალგაზრდობა, მუშაობს წარმოება-დაწესებულებებში, სახალხო მამულებში და ნაწილობრივ ეწევიან შეგირდობასაც. დღემდე დამქირავებლები თავაშვებული იყვნენ და ადგილი ჰქონდა მოჯამაგირის დაჩაგვრასა და გაყვლეფას. მაგრამ პროფკავშირის ხაზით გაცხოველებულმა მუშაობამ, მათი თარეში შეასუსტა, რითაც გაუმჯობესდა მოჯამაგირე ახალგაზრდობის მდგომარეობა.

ჩვენი ახალგაზრდობა დიდ აქტივობას იჩენს კულტურულ-განმანათლებელ საქმეში. მოჯამაგირეთა წერა-კითხვის შესწავლას დროზე მიაქცია ყურადღება კავშირის სამაზრო განყოფილებამ და ამ დარგში საკმაო მიღწევებიცა გვაქვს. მომავალშიაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქუთაისის სასოფლო სამეურნეო და ტყის მუშების პროფესიონალური კავშირი, უფრო გააცხოველებს მოჯამაგირე ახალგაზრდობის შორის მუშაობას.

ივანე ბუხაიძე.

კომენდანტის ოინები

თბილისის აღმასკომის ახალ ჩამორთმეულ სახლებში, სხვებთან ერთად კომენდანტად დანიშნა მოქ. ჩანტლაძე, რომელმაც მოვალეობის შესრულების დაწყებისთანავე თანამდებობა ბოროტად გამოიყენა: სახლის ჩაბარებისთანავე მოქ. ჩანტლაძე დაუმეგობრდა სახლის ყოფილ მეპატრონეს, რომლიდანაც ამავე სახლებში მცხოვრებ მოქ. გორდიევას ჩამორთმეული ჰქონდა კომუნალური ინვენტარი.

სახლის მეპატრონე და ახლად დანიშნული კომენდანტი, მოიგონებენ ერთ ეშმაკობას, გადასწყვიტეს აღნიშნულ ინვენტარის გორდიევისგან ჩამორთმევა და სახლის პატრონისათვის უკან დაბრუნება. ამ მიზნით ჩანტლაძემ მონახა თავის თანამოაზრე ვინმე ილიკო ახვლედიანი; გააკეთა ქაღალდი, წააწერა ზედ რეზოლიუცია [illegible] გამგის მოადგილის, ამხ. ბაბუნაშვილის მაგიერ და ორივემ გასწიეს მდგმურისაკენ. კომენდანტმა ჩანტლაძემ შეაგზავნა ახვლედიანი მდგმურთან და თითონ კი მივიდა სახლის პატრონთან. ახვლედიანმა თავი აღმასკომის მდივნად მოაჩვენა და გადასცა მიწერილობა ამხ. ბაბუნაშვილის რეზოლიუციით, მოქ. გორდიევამ არ დაუჯერა ინვენტარი. ბოლოს ახვლედიანმა გორდიევას ქალს გაუპატიურება [illegible], რის გამო გორდიევა უგრძნობლად დაეცა იატაკზე. ისარგებლა ამ მოვლენით ახვლედიანმა და ხალიჩა, მაგიდა და საწოლი გამოიტანა სახლიდან და გადასცა სახლის ყოფ. პატრონს.

ასე შეასრულა თავის საქმე მოქ. ჩანტლაძემ. სახლის ყოფილი პატრონი [illegible] გაუმასპინძლდა ჩანტლაძესა და მის მეგობარ ახვლედიანს.

ძველი მუშა.

—:—

გაუწიეთ პატრონობა

(პროკურატურის საყურადღებოდ)

ერთი წელიწადია რაც სასამართლოს წესით გაშორდნენ ერთი-მეორეს ცოლქმარნი, ვასილი და მარიამ მესხები, რომლებიც სცხოვრობენ რუსთაველის ქ., № 21. სასამართლომ, ორი შვილის სარჩენად ვასილ მესხს მიუსაჯა ალიმენტი.

გარდა ამისა მარიამ მესხს, სასამართლომ მიაკუთვნა საცხოვრებლად ერთი ოთახი თავისი ქმრის საკუთარ სახლიდან. დღიდან სასამართლოს დადგენილებისა, მარიამი, თავისი ორი პაწაწა ბავშვით ჩასახლდა ყოფ. ქმარის სახლში, მაგრამ ვაი ამ ჩასახლებას; საბრალო მარის სიცოცხლეს უმწარებენ მისი ყოფილი ქმარი და დედამთილი. ვასილ მესხს, სურდა თავისი მოძულებული ცოლი იოლად მოეშორებინა, მაგრამ სასამართლომ ძვირად დაუჯდინა ეს განზრახვა. ამას კი ყოფილი ქმარი არ მოელოდა. ამიტომ მან, თავისი დედის დახმარებით იერიში მიიტანა უმწეო მარიამზე და იმ მიზნით, რომ ბინიდან განდევნონ საბრალო მარიამი, ყოველდღე სცემენ უმოწყალოთ: დედა და შვილები ერთი მეორეს აქეზებენ: „ვცემოთ ვინ რას გაიგებსო".

ეს ველური ბარბაროსები. ცემას არ სჯერდებიან და განუზრახავთ მისი სიცოცხლის მოსპობა; 11 ივლისს შეეცადნენ კიდეც განზრახვის სისრულეში მოყვანას: საბრალოს მიუცვივდნენ ბინაში და დაუწყეს ცემა. ქალი ვერ დაიხრჩვეს, რადგან მეზობლებმა მიუსწრეს და მომაკვდავი ქალი გააგდებინეს ხელიდან. მაგრამ მხეცი მესხი, ამით არ სცხრება; ის სიკვდილით ემუქრება თავის ყოფილ ცოლს.

ქალთა განყოფილებამ და პროკურატურამ პატრონობა უნდა გაუწიონ უმწეო ქალს და მხეცი ვ. მესხი მისცენ პასუხისგებაში.

გალიორკა.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

რამდენ საათს ისვენებენ. ა.-კ. რკ. გზის სამმართველოს თანამშრომლებს აქვთ დღეში ნახევარ საათის დასვენება, მაგრამ ისინი ხშირად საათს და ორ საათს ისვენებენ. ასეა მაგალითად ელექტროფიკაციისა და შემკავშირებელ ნაწილში. ეკონომთათბირმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

ტვიხრიპირელი.

ნათლიმამობით მოაწყვეს. სად. ნატანების მე-7-ე [illegible] ლიანდაგის მუშებმა: კ. პატარაიამ, რუსეიშვილმა და სხვებმა, ადგილკომის თავმჯდომარესთან და ნიდის უფროსთან, მოაწყვეს ერთი კარგი ნათლიმამური კომპანია და თავიანთი თავი გადააყვანინეს ხიდზე იმ დროს, როდესაც მათი რიგი არ იყო.

ი—ლი.

დაიცავით სისუფთავე (ბორჯომში). ბორჯომში ჩარხის წყალზე, ქუჩებში აქცევენ ყოველგვარ სიბინძურეს, რის გამო საშინელი სუნი ტრიალებს. სანიტკომისიავ, დაიცავი სისუფთავე.

მნახველი.

დაგვიდგით რადიო. ავლაბარი ძალიან ღარიბია კულტ-გასართობებით. სხვა მრავალ ნაკლთან ერთად, აქ არ არის მოწყობილი რადიო-მიმღები. კარგი იქნება, რომ აღმასკომმა ინებოს და ავლაბრის ბაღში მოაწყოს ერთი რადიო-მიმღები აპარატი. ამით აღმასკომი, დიდ სამსახურს გაუწევს ავლაბარში მცხოვრებ მუშებს.

მ. ლიახველი.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

კოოპერაციის სათადარიგო თანხები

ა.-კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა ა.-კ. ცაკთან არსებულ საკანონმდებლო კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი კოოპერაციის სათადარიგო თანხების შექმნის, შენახვის და დახარჯვის წესების შესახებ.

სამრეწველო მშენებლობის პროექტების შედგენის დროებითი წესები

ა.-კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა სამრეწველო მშენებლობის პროექტების შედგენის დროებითი წესები. რესპუბლიკანურ უმაღლეს ეკონომსაბჭოებს წინადადება მიეცა დაავალონ სახ. მეურ. უმ. საბჭოებს და სხ. სახ. კომისარიატებს, რომ სამრეწველო მშენებლობის პროექტების შედგენის დროს იხელმძღვანელონ აღნიშნულ დროებითი წესებით.

საქ. სახკომსაბჭოში

სახალხო მეურნეობის 5-წლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენა

საქკომსაბჭომ საჭიროდ სცნო გავრცელებულ იქნეს ს.ს.რ. რესპუბლიკაში ს.ს.რ. შრომისა და თავდაცვის საბჭოს ა. წ. მარტის 30-ის დადგენილება, რომელიც ავალდებულებს ყველა სახალხო კომისარიატს, რათა მათ 5-წლიანი პერსპექტიული გეგმის შესადგენად წარმოებული სამუშაო პირველი რიგის სამუშაოთ ჩასთვალონ და ცალკე შემთხვევაში სახელმწ. საგეგმო კომისიის ან მისი მოადგილის სახკომისართან შეთანხმებით, განთავისუფლონ ხოლმე ჩვეულებრივი სამუშაოდან სახ. კომისარიატის ცალკე თანამშრომლები და მიავლინონ განსაზღვრული ვადით საგეგმო კომისიის განკარგულებაში, კოლეგიალურად 5-წლიანი გეგმასთან დაკავშირებულ სამუშაოთა საწარმოებლად.

საგეგმო კომისიაში

ნაწლავების გადამამუშავებელი ქარხნები

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა საკავშირო სახკომსაბჭოს წინაშე განაწილებულ იქნას ა.-კ. რესპუბლიკებს შორის ნაწლავების გადამამუშავებელი ქარხნების მოსაწყობად გადადებული 106.000 მანეთი.

ამასთან ერთად სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ „ზაკუტილსირიო"-ს საზოგადოებამ ნაწლავების გადამამუშავებელი ქარხნები მოაწყოს თელავში, სიღნაღსა და ახალქალაქში, ხოლო სოფლის კავშირმა—თბილისში ქუთაისში, გორში, ახალციხეში, ოზურგეთში, ბორჯომში, ცხინვალში, დუშეთში, ჭიათურაში და ახალ-სენაკში.

კრედიტები კოოპერატივებს კურორტებზე

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო საზაფხულო სეზონში 105,000 მანეთით გაუდიდდეს კრედიტები იმ კოოპერატივებს, რომლებიც საზაფხულო ადგილებში აწარმოებენ ვაჭრობას (ადს).

თეატრალური მუზეუმი

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო თეატრალური მუზეუმის გადაყვანა სახელმწიფო ხარჯზე.

40.000 მან. სასოფლო-სამეურ. მანქანების შესაძენად

საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვა 40.000 მან. რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების შესაძენად. (ადს).

სუფრის ღვინოების სიმაგრე

საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ იმ დადგენილების პროექტში, რომელიც ყურძნისა და ხილის ღვინოების დამზადებასა და გაყიდვას შეეხება, შეიტანა შესწორება, რომ სუფრის ღვინოების სიმაგრე არ აღემატებოდეს 14 გრადუსს.

მუდმივი საკავშირო საამშენებლო გამოფენა

საამშენებლო კომისიამ, რომელიც შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებობს, მოიწონა მოსკოვში მუდმივი საამშენებლო გამოფენის მოწყობის დებულება.

გამოფენის მთავარი ამოცანაა—ხელის შეწყობა ყოველი სახის აღმშენებლობის რაციონალიზაციისა და გაიაფებისათვის.

უცხოეთში და საბჭ. კავშირში მშენებლობისა და საამშენებლო მასალების დამზადების დარგში მიღწეულ ყველაზე უფრო თვალსაჩინო სტორგანიზაციო და ტეხნიკურ შედეგების დემონსტრაციით გამოფენამ ხელი უნდა შეუწყოს აღმშენებელთა ტეხნიკური კადრების გადამზადებას და გამოცდილების გაცვლა-გამოცვლას აღმშენებლობის სფეროში. გამოფენას ექნება მუდმივი სამეცნიერო-გამოყენებითი და საცდელ-საჩვენებელი დაწესებულების ხასიათი.

ექსპონატების სახით გამოფენაზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს სხვადასხვა ნაშენობანი, საამშენებლო მასალები და სხვ. გამოფენასთან შეიძლება მოეწყოს, აგრეთვე, სხვადასხვა დამხმარე ხასიათის დაწესებულებები: კურსები აღმშენებელთა კადრების სპეციალური ტეხნიკური მომზადებისათვის, საცდელი სადგურები, საკორესპონდენტო პუნქტები და სხვ. მუდმივ გამოფენას შეიძლება მიეცეს უფლება სპეციალური დროებითი გამოფენების მოწყობისა მშენებლობის სხვადასხვა დარგებში.

გამოფენაზე შეიძლება ნაჩვენები იქნას საკუთარი—მუდმივი და დროებითი ექსპონატები, საკავშირო სახელმწიფო დაწესებულებების და წარმოებების და აგრეთვე უცხოეთის ფირმების და დაწესებულებების ექსპონატები.

გამოფენაზე გასაგზავნ ექსპონატებისათვის დაწესებულია შეღავათიანი სარკინიგზო ტარიფი, უცხოეთის ექსპონატები კი განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები შეიძლება გაიყიდოს. უცხოეთის ექსპონატებზე, ამ შემთხვევაში, გადახდევინებული იქნება შესაფერი გადასახადი.

როგორ იწარმოებს ჩამორთმეულ სახლების მოვლა-ექსპლოატაცია

(საუბარი თბ. აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბ. ბოლქვაძესთან)

როგორც მკითხველებმა იციან, საქართველოს ცაკის დადგენილების თანახმად, თბილისის აღმასკომი ამჟამად აწარმოებს კერძო პირებისათვის იმ სახლების ჩამორთმევას, რომლებიც მოუვლელ მდგომარეობაში იმყოფებიან.

სახლების ჩამორთმევისა და შემდეგში მათი მოვლა - გამოყენების შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში თბილისის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ბოლქვაძემ განაცხადა შემდეგი:

საბინაო კრიზისის შესანელებლად სხვა ღონისძიებებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს შეადგენს არსებულ საცხოვრებელ სივრცის დაცვის საკითხი.

დღევანდლამდე მდგომარეობა ამ მხრივ სრულებით არ იყო დამაკმაყოფილებელი. საქმე იმაშია, რომ კერძო სახლების მეპატრონენი, მიუხედავად სათანადო საკანონმდებლო დადგენილებებისა, ბინებიდან შემოსულ ქირას ხმარობდენ პირად საჭიროებებისათვის.

ამ რიგათ, სახლები შეუკეთებელი რჩებოდა, რაც იწვევდა მათ თანდათანობით დანგრევას. მიღებული იქნა რა მხედველობაში ყველა ეს გარემოებანი, უმაღლესმა ხელისუფლებამ 1928 წლის 26 აპრილის თარიღით გამოსცა ახალი კანონი, რომლის ძალით ის სახლები, რომლებიც აღმოჩნდებოდენ მოუვლელ მდგომარეობაში ჩამოერთმეოდათ მეპატრონეებს.

ამ კანონის ცხოვრებაში გასატარებლად თბილისის აღმასკომი შეუდგა კერძო სახლების მდგომარეობის ტეხნიკურ გამოკვლევას.

გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ კერძო სახლების უმრავლესობა კატასტროფიულ მდგომარეობაშია; გამოირკვა, რომ მეპატრონენი ეწეოდენ მათ მტაცებლურ ექსპლოატაციას.

ასეთ სახლების ჩამოსართმევათ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლებზე აღძრული იქნა შუამდგომლობა საქართველოს ცაკის წინაშე, რასაც შედეგათ მოყვა სახლების დიდი რაოდენობით აღმასკომის ხელში გადასვლა.

პირველ ხანებში ჩამორთმეულ სახლების მმართველობა დაეკისრება სახლის მმართველებს, რომლებსაც დანიშნავს თბილისის საბჭო. ამასთან ერთად პარალელურად იწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა ჩამორთმეულ სახლებში საბინაო საიჯარო ამხანაგობების მოსაწყობათ, რომელთაც, სავსებით ჩამოყალიბების შემდეგ, გადაეცემათ სახლები როგორც მოსავლელათ, ისე საექსპლოატაციოთ.

საბინაო - საიჯარო ამხანაგობების ჩამოყალიბების მიზნით წინასწარი მუშაობის ჩასატარებლად ჩამორთმეულ სახლებში დაარსებული იქნება განსაკუთრებული კომისიები მდგმურებისაგან.

დასასრულ, მე შევჩერდები კიდევ ერთ გარემოებაზე, სახელდობრ საცხოვრებელ სივრცის შემჭიდროებაზე. თბილისში ბინის კრიზისი ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ არსებული საცხოვრებელი სივრცე მცხოვრებლებს შორის უწესრიგოდ და უსამართლოთ არის განაწილებული.

ამიტომ, გადაწყვეტილია შემჭიდროება არამშრომელ ელემენტების, რომელთაც უჭირავთ ზედმეტი, ნორმაზე მეტი საცხოვრებელი სივრცე. შემჭიდროების საშუალებით მიღებულ ბინებში ჩასახლებული იქნებიან უბინაო და ცუდ ბინებში მცხოვრები მუშა - მოსამსახურენი.

შემჭიდროება არ შეეხება მშრომელ მოსახლეობას (მუშა-მოსამსახურეებს, შინამრეწველებს და ხელოსნებს და თავისუფალ პროფესიის მქონეთ).

ამათ შორის იმ პირების შემჭიდროებას, უკეთ თვითშემჭიდროებას, რომელთაც უჭირავთ ნორმაზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, თავისთავად გამოიწვევს განზრახული საბინაო ტარიფის გადიდება. როგორც ტარიფის გადიდება, ისე თვით შემჭიდროება ალბათ მოხდება საბინაო საიჯარო ამხანაგობების ჩამოყალიბების შემდეგ.

არამშრომელ ელემენტების შემჭიდროება ჩატარებული იქნება საბჭოს წევრებისაგან გამოყოფილ განსაკუთრებულ კომისიების საშუალებით.

ეს კომისიები ადგილობრივ გამოიკვლევენ საქმის ნამდვილ ვითარებას და შეაგროვებენ სათანადო მასალებს, რის შემდეგ არამშრომელ ელემენტების შემჭიდროების საქმეს ცხოვრებაში გაატარებს ამ მიზნით დაარსებული ცენტრალური შემჭიდროებელი კომისია.

სას.-სამ. გადასახადი

სას.-სამ. გადასახადით დასაბეგრ ობიექტის აღრიცხვა ახლო მომავალში დამთავრდება მთელ ამიერ-კავკასიაში. ამ საქმეში გამონაკლისს შეადგენს არაშრომითი შემოსავლის მქონე მეურნეობათა ინდივიდუალური აღრიცხვა. ეს აიხსნება იმით, რომ ინდივიდუალური აღრიცხვა ა.-კავკასიაში ახლათ არის შემოღებული და რთული საქმეა, ვინაიდან მოითხოვს მეურნეობის და მისი შემოსავლის ცალკე სახეების დეტალურად შესწავლას.

ინდივიდუალური აღრიცხვა მალე დამთავრდება სომხეთში. საქართველოდან და აზერბეიჯანიდან ა.-კ. ფინსახკომს ჯერ ცნობები არა აქვს მიღებული. საერთოდ მიღებული ცნობების მიხედვით, ა.-კ. ფინსახკომში ფიქრობენ, რომ წინა წლებთან შედარებით წელს აღრიცხული იქნება გაცილებით მეტი დასაბეგრი ობიექტი.

წელს საღრიცხვო კამპანიის გაცილებით მეტი აქტივობა ემჩნევა, ვიდრე წინა წლებში.

ივლისის დამლევიდან განზრახულია გადასახადის გამონაგარიშება-გაწერის დაწყება, ხოლო სექტემბრის დამლევიდან გადამხდელებს ჩაბარდება საგადასახადო ფურცლები.

ნაოსნობა მდ. რიონზე

ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების განყოფილებაში ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს, რომ რიონზე ნაოსნობისათვის დანიშნული ყველა 8 გემი მოვიდა და 12 ივლისს ჩაიარა ფოთის ხიდის ქვეშ.

გემი „ეგნატე ნინოშვილი" ხის ბარჟით გავიდა ფოთიდან რიონზე სამუშაოდ.

განათლების კომისარიატის საგეგმო კომისიის პირველი პლენუმი

განათლების კომისარიატში შესდგა კომისარიატის საგეგმო კომისიის პირველი პლენუმი ამხ. ვ. იმედაძის თავმჯდომარეობით.

გ. კონიაშვილის მოხსენება

კულტურულ დარგში გეგმების შედგენის შესახებ მოხსენება გააკეთა სახელმწიფო საგეგმო კომისიის კულტურულ სექციის წარმომადგენელმა გ. კონიაშვილმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გეგმიანობა კულტ-სოციალურ დარგში შემოღებულია ერთი წლის წინეთ. ამ დარგის ცალკე ელემენტებია: კულტურის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის დარგი.

ჩვენი მიზანია კულტურულ დარგთან დაკავშირებულ საკითხების განხილვა. ამ მხრივ განათლების კომისარიატმა უკვე შეასრულა მოსამზადებელი სამუშაო. მიუხედავად იმისა, რომ კომისარიატთან საგეგმო კომისია ეხლა არსდება.

საყოველთაო - სავალდებულო სწავლების შემოღების გეგმისა და საკონტროლო ციფრების შედგენა დამთავრებულია. შესადგენი დარჩა საერთო მუშაობის 5 წლიანი გეგმა.

5 წლიან გეგმის კარგად შედგენაზეა დამოკიდებული გენერალური გეგმის —10 და 15 წლიან გეგმის უნაკლოთ შედგენა.

5 წლიან გეგმის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: წ. კ. და პოლიტსწავლების გავრცელებას. ახალგაზრდობის ტეხნიკურად აღზრდას, საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებას, მოკლე-ვადიან სპეციალურ კურსების ქსელის გაფართოვებას, შინამრეწველურ სკოლის ქსელის გაფართოვებას, ინდივიდუალურ სწავლებას და სხვ.

5 წლიანი გეგმის შედგენა უნდა დამთავრდეს 15 აგვისტოსათვის. ამ გეგმაში მრავალი სამეცნიერო დაწესებულება უსათუოდ ცალკე უნდა იქნეს შეტანილი.

ამხ. ს. ფანცხავას თანამოხსენება

განათლების კომისარიატის საგეგმო მუშაობის ხელმძღვანელმა ამხ. ს. ფანცხავამ აღნიშნა, რომ დღემდე საგეგმო მუშაობას ჰქონდა შემთხვევითი ხასიათი სათანადო აპარატის უქონლობის გამო.

ამჟამად კომისარიატთან სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით არსდება საგეგმო კომისია; რომელიც უშუალოდ შეასრულებს ყველა საგეგმო სამუშაოებს, რაც თავიდან აგვაცდენს დუბლიკატებს. შემდეგ მოხსენებელი შეეხო საყოველთაო - სავალდებულო სწავლების გეგმის შედგენას და აღნიშნა, რომ ამ გეგმის შედგენისას ჩვენ ვხელმძღვანელობდით ბავშვებს შორის არა საქართველოს კოეფიციენტით, არამედ რ. ს. ფ. ს. რ. კოეფიციენტით, რომელიც გამოანგარიშებულია სიკვდილიანობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის დროს. სინამდვილეში შეფარდებით კი სკოლის ასაკის ბავშვთა რიცხვი ყოველ წლობით მატულობს, რ. ს. ფ. ს. რ. კოეფიციენტით კი არჩევს გამოანგარიშებული საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გეგმები უნდა ჩაითვალოს პირობითად მანამ, ვიდრე ჩვენი სინამდვილის მიხედვით საქართველოს სტატ. ცენტრ. სამმართველო არ დამუშავებს სკოლის ასაკის ბავშთა მოძრაობის კოეფიციენტს.

გარდა ამისა 5 წლიანი გეგმის უნაკლოდ შესადგენად საჭიროა ყველა მთავარმმართველობებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა და უმაღლეს სასწავლებლებმა შეადგინონ 5 წლის წინასწარი გეგმა, რომელიც საფუძვლიანად საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით შეტანილი იქნება 5 წლიან გეგმის საბოლოო ფორმებში.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. დ. თოფურიამ, შ. გეგენავამ და სხვ.

პლენუმმა დაადგინა 15 აგვისტოსათვის შედგენილი იქნეს სახალხო განათლების და კულტურულ დარგის 5 წლიანი გეგმა საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ფორმების მიხედვით.

შემდეგ პლენუმმა აირჩია საგეგმო კომისიის საქმიანი პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვ. იმედაძე (თავმჯდ.), დ. ცხაკაია, გ. გოგუაძე, ა. ნაცვლიშვილი, ს. ფანცხავა, შ. გეგენავა და კ. ქაცარავა.

საგეგმო კომისიის დებულების შესადგენათ არჩეული იქნა კომისია ამხ. ი. ზაუტაშვილის თავმჯდომარეობით.

დასასრულ, პლენუმმა დაადგინა ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის 5 წლიანი გეგმის შედგენის შემდეგ შედგენილი იქნეს ეროვნულ უმცირესობათათვის საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღების გეგმა და მათი სკოლების თითოეულ ჯგუფისთვის მოსწავლეთა რიცხვი განისაზღვროს საშუალოდ 20.

პლენუმის დადგენილებითვე ავტონომიური რესპუბლიკების განათლების კომისარიატების მუშაობის გეგმებს პირველად იხილავს საქ. განათ. კომისარიატის საგეგმო კომისია.

ჟურ. „სოფლის კომუნისტი"-ს შესახებ

საქ. კომ. პარტიის (ბ) სამაზრკომებს, [illegible] კომიტეტებს, თემკომებს, ყველა უჯრედებს.

ამხანაგებო!

სრული სამი წელია რაც ჟურნალი „სოფლის კომუნისტი" გამოდის.

ჟურნალის გამოცემა დაკავშირებული იყო პარტიის მე-XIV ყრილობის დადგენილებასთან. ამ ყრილობამ ძირითადი ცვლილებები მოახდინა პარტიის ცხოვრებაში. საჭირო იყო პარტიის დემოკრატიზმის გატარება და ხელისუფლების გლეხობასთან დაახლოების მიზნით პარტხელმძღვანელობის საქმის სრული გადახალისება საბჭოების, კოოპერაციის, გლეხკომების და სხვა უპარტიო ორგანიზაციების მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

მე-XV ყრილობის შემდეგ, რომელზედაც დასმულ იქნა სოფლად მუშაობის ახალი უდიდესი ამოცანა: სოფლის მეურნეობის კოლექტიურ ფორმებში განვითარება, მისი სოციალისტურად გარდაქმნის მიზნით და ძველი ყოფის შეცვლა კულტურული მოთხოვნილებათა ამაღლებით, [illegible] პარტიის ცენტრალური კომიტეტთან დაკავშირებულია სოფლად მუშაობის გაძლიერება ამ მუშაობის წარმატებით ხელმძღვანელობისათვის.

ამასთან ერთად დიდდება „სოფლის კომუნისტის" ამოცანაც; რედაქცია მოვალეა უხელმძღვანელოს სამეურნეო გარდაქმნისა და კულტურულ რევოლიუციის საქმეს [illegible] საფუძვლებზე პარტმუშაობის გაცხოველების პირობებში.

„სოფლის კომუნისტმა" ამ სამი წლის განმავლობაში შესძლო მუშაობა ერთიერთობა დაემყარებინა პარტიის ყველა უჯრედებთან, გამოეწვია მკითხველთა ინტერესი და ჟურნალის გარშემო შემოეკრიბა საუკეთესო ლიტერატურულ ძალების 100 მეტი მუდმივი თანამშრომელი.

რედაქციას ჰყავს მკითხველთა მტკიცე კადრი და სოფლად მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგებისაგან თანდათან მეტი წერილები მოდის სხვადასხვა ორგანიზაციების საქმიანობასა და სოფლად მუშაობის ცალკე საკითხებზე.

მაგრამ რედაქციას მაინც შესრულებულად არ მიაჩნია ჟურნალის პირველ ნომერში დასახული ამოცანა: „საჭიროა, რომ „სოფლის კომუნისტი" გახდეს ყველა სოფელში მომუშავე ამხანაგების სახელმძღვანელო ორგანოდ. იქ უნდა იბეჭდებოდეს წერილები არა მარტო სოფლის კომუნისტების საყურადღებოთ. არამედ ამ ჟურნალში თვით სოფლის კომუნისტებიც უნდა იღებდნენ რაც შეიძლება ახლო მონაწილეობას" (ამხ. ფ. მახარაძის სარედაქციო წერილი. „ს. კ." № 1, 1925).

ამ მხრივ საჭიროა მუშაობის დიდი გაუმჯობესება. სამაზრო და თემის მუშაკებმა უნდა მიზნად დაისახონ ადგილობრივი პრაქტიკის დროს წამოჭრილ სადაო საკითხების ჟურნალის საშუალებით გარკვევა მასთან ეს მასალები უნდა იყოს რაც შეიძლება კონკრეტული, რომელშიაც გადმოცემული იქნება [illegible] ადგილობრივი პირობები და მისი გადაწყვეტის საჭიროება.

ამ სახის მასალები შეიძლება რედაქციის შეკითხვის სახითაც გაეგზავნოს. რედაქცია შეეცდება გასცეს ამომწურავი პასუხი. ამით დამყარდება მჭიდრო კავშირი რედაქციასა და სოფლად მომუშავე ამხანაგებს შორის, რაც ერთ-ერთი პირობაა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა.

რედაქცია აღიარებს, რომ ადგილობრივი ამხანაგების მონაწილეობა ჟურნალში სუსტი იყო, ზოგიერთი მაზრების, რაიონების, თემპასუხისმგებელი მუშაკები სრულიად არ ღებულობენ ჟურნალში მონაწილეობას. ჟურნალის ხარისხის გაუმჯობესებისათვის კი, ჩვენს პასუხისმგებელ ამხანაგებს უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვენში სადაც 78 პროცენტი მოსახლეობისა სოფლად სცხოვრობს, სოფლად მუშაობის საკითხი გაძლიერებულ ყურადღებას მოითხოვს. რედაქცია მოუწოდებს პასუხისმგებელ ამხანაგებს მიიღონ ჟურნალში უფრო ცოცხალი მონაწილეობა, დასვან და გააშუქონ სოფლად მუშაობის მტკივნეული საკითხები. ხელი შეუწყონ ჟურნალის ფართოდ გავრცელებას.

სოფლად მუშაობის ამოცანათა შესრულება და შემჩნეულ ნაკლთა გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ მკითხველთა დაახლოვებით რედაქციასთან, მათი შენიშვნებით ჟურნალში მოთავსებულ მასალების შესახებ, ადგილობრივად წამოჭრილ მწვავე საკითხების გაშუქებით ჟურნალის ფურცლებზედ და მკითხველთა კადრის გაძლიერება უმთავრესი პირობაა ჟურნალის გასაუმჯობესებლად, რასაც ჩვენ მოუწოდებთ პარტიის ორგანიზაციებს.

ჟურნალის გავრცელების საქმეში, რედაქცია აღნიშნავს სოფლის უჯრედების უძრაობას; მაგრამ არ შეუძლია არ აღნიშნოს ზოგიერთი მაზრის სისუსტე: მაშინ როდესაც ქუთაისის მაზრაში ვრცელდება „სოფლის კომუნისტი" 409 ცალი, ლეჩხუმის—127, სიღნაღის—125, ოზურგეთის მაზრაში იგი მხოლოდ 119 ცალი ვრცელდება, შორაპნის—93, გორის—64, ბათუმში —23, ფოთში—5.

ჟურნალის გავრცელების საქმე უსათუოდ უნდა გაუმჯობესდეს. „სოფლის კომუნისტი" ნამდვილი თანაშემწეა სოფლად მომუშავე ამხანაგის. მას აუცილებლად უნდა კითხულობდეს ჩვენი აღმშენებლობის ყველა აქტიური მუშაკი.

ცენტრალური კომიტეტის მდივანი:
ლ. გოგობერიძე.
„სოფლის კომუნისტი"-ს რედაქტორი
ალ. [illegible]

რა აღმოჩნდა

აჭარისტანის სამაზრო დაწესებულებების და ორგანიზაციების გამოკვლევის დროს

აღმოჩენილია უყაირათობის, დაუდევრობის, ბოროტმოქმედების და გაფლანგვის მთელი რიგი შემთხვევები.—დამნაშავენი მოხსნილი და პასუხისგებაში არიან მიცემულნი

ბათუმი, 16 ივლისი. ფინანსთა კომისარიატის რწმუნებულთან არსებულმა საფინანსო კონტროლმა დაამთავრა ზოგიერთი სამაზრო დაწესებულებისა და ორგანიზაციის გამოკვლევა; გამოკვლევამ გამოაშკარავა სხვადასხვა დეფექტები, სამეურნეო უთავბოლობის, გულგრილობის, გაფლანგვის, მტაცებლობის, ბოროტმოქმედების ფაქტები და სხვა.

რა ხდებოდა ქობულეთის აღმასკომში

ქობულეთის აღმასკომის გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ არავითარ შემოსავალს არ იძლევა ბევრი მუნიციპალიზაციაქმნილი სახლი, რომლებიც დაწესებულებებს უჭირავთ ან ბინებადაა გაქირავებული. მდგმურებს სახლის ქირას არ ახდევინებენ. მიუხედავად იმისა, რომ სახლების შეკეთებაზე დიდი თანხებია დახარჯული. ყოფილი [illegible] მუნიციპალიზაციაქმნილი სახლი რატომღაც მოხვდა მოქ. თხილაიშვილის ხელში, რომელსაც ამ სახლიდან დიდი შემოსავალი აქვს. თვით აღმასკომის მმართველ აპარატში ფულის თითქმის გავრცელებული ავანსების უმართებულოდ გაცემა, ამასთანავე ეს ავანსები —5.000 მანეთისა—დღევანდლამდე დაფარული არაა და არც ზომებია მიღებული მათ დასაფარავად. [illegible] სკოლის შეკეთებაზე დახარჯულია 2.000 მანეთზე მეტი, ხოლო უხეიროდაა შეკეთებული და უნაყოფოდ დახარჯულია 1.500 მანეთამდე. [illegible] 1.000 მანეთზე მეტი და [illegible], ზომები [illegible] მიღებული არაა. [illegible] საქონლის დაკვლისათვის, [illegible] ითვისებდა, რასაც აღმასკომი ყურადღებას არ აქცევდა.

მილიცია, რომელიც სასამართლოს არც ერთ დავალებას არ ასრულებს

ქობულეთის მილიციის გამოკვლევამ შემდეგი გამოაშკარავა: არ არსებობს ფულის გასატარებელი წიგნი, ადმინისტრატიული წესით დადებული ჯარიმების გადახდევინება ძალიან სუსტად სწარმოებს. სახალხო სასამართლოს მიერ შესასრულებლად გადაცემულ 26 საქმიდან ერთიც არ არის აღსრულებული. შესრულებული არ არის აგრეთვე დადგენილება ბათუმის საბაჟოს საქმესთან დაკავშირებული 6.000 მანეთის გადახდევინების შესახებ.

გაფლანგვა ხუცუბნის კოოპერატივში

ქობულეთის მაზრის ხუც. ხუცუბნის მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოებაში გაფლანგული აღმოჩნდა 1.700 მანეთი. ფული გაფლანგა კოოპერატივის გამგემ ბლადაძემ. ბლადაძემ გაფლანგული თანხა დაფარა და იგი დღევანდლამდე სამსახურშია.

კრედიტები—კულაკებისა და [illegible]

ქობულეთის საკრედიტო სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის გამოკვლევამ ნათელყო, რომ კრედიტების გამოყენება არ ხდებოდა დანიშნულებისამებრ, მიზანშეწონილად და ორგანიზაციულად. ფული გაჰქონდათ შეძლებულ პირებს, შეძლებულ გლეხ-კულაკებს და ვაჭრებსაც კი. ამ ფულს ახდევინებდნენ იმ თანხებიდან, რომელიც დანიშნული იყო ღარიბთა მეურნეობის გასაძლიერებლად და სხვ. აგურის ქარხნის მოსაწყობად გადადებული თანხები არადანიშნულებისამებრ არის დახარჯული და, სამეურნეო უთავბოლობის გამო. დაილუპა მრავალი აგური. 1400 მანეთიდან, რომელიც გადადებული იყო [illegible] შესაძენად ღარიბის გლეხობისათვის, განაწილებულია მხოლოდ 418 მანეთი, დანარჩენი ფული კი სხვა მიზნებს მოხმარდა. გარდა ამისა, ამხანაგობაში აღმოჩენილია 2.440 მანეთისა და 21 კასრი ცემენტის გაფლანგვა. ამხანაგობის თავმჯდომარე, მოანგარიშე და მოლარე დაპატიმრებულია და პასუხისგებაშია მიცემული.

ჩაქვის კოოპერატიულ ამხანაგობაში

ჩაქვის საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობაში გამოირკვა ბუხჰალტერიის ქაოტიური მდგომარეობა, რაც ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკი მას ხელმძღვანელობას არ უწევდა. ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია კრედიტების განაწილების დაგვიანება 6-8 თვით. გამოირკვა, რომ მიზნობრივი სესხის განაწილება უმართებულოდ სწარმოებდა. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად გადადებული ფული [illegible] და სხვ. ზომები არ არის აგრეთვე მიღებული სესხის დროზე დასაფარავად.

უპატრონოდ მიტოვებული 17 დესეტინა ჩაის პლანტაცია

ჩაქვის აღმასკომის გამოკვლევამ ცხადყო, რომ აღმასკომი სრულიად არ ითვალისწინებდა თავის ხარჯებს. დღევანდლამდე წარმოდგენილი არაა 1.700 მანეთის ანგარიში. აღმასკომის განკარგულებაში მყოფი 17 დესეტინა ჩაის პლანტაცია უპატრონოდაა მიტოვებული და გამოუყენებელია, რის წყალობითაც აღმასკომი ჰკარგავს რამდენიმე ათი ათას მანეთს.

გაფლანგვა ხულოს საკრედიტო ამხანაგობაში

ხულოს საკრედიტო ამხანაგობის გამოკვლევის დროს გამოაშკარავდა ღარიბთა ფონდის უმართებულო განაწილება, ფულით მომარაგება კულაკებისა და სხვ. აქვე გამოირკვა, 1.632 მანეთის გაფლანგვა; ამხანაგობის თავმჯდომარე დაპატიმრებულია და პასუხისგებაშია მიცემული.

მთელი წლის კრედიტი ექვს თვეში „გამოხრეს"

ხულოს საავადმყოფოს უფროსმა ექიმმა, თანხების უთანაბროდ დახარჯვის გამო, 6 თვის განმავლობაში გამოლია მთელი წლის კრედიტი. გამოირკვა, რომ ავადმყოფებისათვის დანიშნული თანხებით თავს ირჩენდა ადმინისტრაციული პერსონალი. უფროსი ექიმი დიდად არის დავალიანებული. იგი მოხსნილია სამსახურიდან და პასუხისგებაშია მიცემული. (ადს).

მთავარ ბუხჰალტრების უფლებების გაფართოება

მთელ რიგ დაწესებულებების და წარმოების გამოკვლევის დროს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა მრავალი დეფექტები აღმოაჩინეს ანგარიშწარმოების დარგში. გაბრილი ანგარიშ-წარმოება ნთქავდა ათეულ ათას მანეთებს. მოთხოვნის დროს წარმოებები და დაწესებულებები ანგარიშებს ისეთი დაგვიანებით და ისეთი რაოდენობით ადგენდნენ, რომ შეუძლებელი ხდებოდა მათთან სწრაფად გაცნობა და გაწეულ ხარჯების შემოწმება. ამავე დროს აღმოჩენილი იქნა თანხების უკანონოდ ხარჯვა, საშუალებების გამოყენება არადანიშნულების მიხედვით. [illegible] კეთდებოდა დაწესებულების ცალკე ხელმძღვანელთა განკარგულებით და საბუხჰალტრო აპარატი მას დავთრებში ატარებდა. რომ საბუხჰალტრო აპარატს ჰქონებოდა შესაფერი უფლებები, მას შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია თანხების ასეთი უკანონო ხარჯვისათვის და ანგარიშიანობა ეწარმოებინა კანონიერების ფარგლებში.

წარმოებებში და დაწესებულებებში ანგარიშ-წარმოების მოწესრიგების მიზნით საკავშირო სახკომსაბჭომ მოიწონა და დასამტკიცებლად წარუდგინა საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ შემუშავებული პროექტი დებულებისა მთავარი და უფროსი ბუხჰალტრების უფლება-მოვალეობათა შესახებ.

დებულება საგრძნობლად აფართოებს ამ მუშაკების უფლება-მოვალეობას. როგორც ჩანს, შემოღებული იქნება, რომ საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულებებში და წარმოებებში, ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში და წარმოებებში და კოოპერატიულ ორგანიზაციებში, აგრეთვე შერეულ სააქციო საზოგადოებებში საბუხჰალტრო ორგანოს ხელმძღვანელობს ერთი პირი—მთავარი ან უფროსი ბუხჰალტერი.

უკანასკნელი, დაწესებულება-წარმოების ხელმძღვანელთან ერთად, პასუხისმგებელია ანგარიშ-წარმოების სწორად წარმოებისათვის და აგრეთვე ანგარიშ-წარმოების დაყენებისათვის დაწესებულების ცალკე ნაწილებში და ფილიალებში, რომლებიც დამოუკიდებლად აწარმოებენ საბუხჰალტრო საქმეებს. იმ დაწესებულებებში, სადაც საბუხჰალტრო ორგანო შედის საანგარიშო-ფინანსიურ ნაწილში, მთავარ ბუხჰალტრის უფლება მოვალეობანი ეკისრება საანგარიშო-ფინანსიური ნაწილის გამგეს.

საბუხჰალტრო ნაწილში მომუშავე ყველა მუშაკები ემორჩილებიან მთავარ ბუხჰალტრის ხელმძღვანელობას. უკანონო განკარგულების მიღების შემთხვევაში, მთავარი ბუხჰალტერი ვალდებულია, განკარგულების მოყვანამდე სისრულეში, მიაქციოს განკარგულების გამცემი პირის ან ორგანოს ყურადღება გაცემულ განკარგულების უკანონობაზე. განკარგულების წერილობითი დასტურის მიღების შემდეგ ბუხჰალტერი ვალდებულია შეასრულოს მიღებული განკარგულება, მაგრამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ მაღლა მდგომ ორგანოს ხელმძღვანელს და მუშათა და გლეხთა ინსპექციას, იმ შემთხვევაში, როცა მეორეთ გაცემული განკარგულება, თავისი შინაარსით, შესაძლებელია შეიქნეს საბაბი პასუხისგებაში მიცემისათვის სისხლის სამართლის წესით, ბუხჰალტერი ვალდებულია არ შეასრულოს განკარგულება და დაუყოვნებლივ აცნობოს საქმის ვითარება უმაღლეს ორგანოს ხელმძღვანელს და მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

მთავარი ან უფროსი ბუხჰალტრის დათხოვნა ან მისი დასჯა სხვა რაიმე სახით ამ მოქმედებისათვის, გამოიწვევს დაწესებულების წარმოების ხელმძღვანელის მიცემას პასუხისგებაში სისხლის სამართლის წ-

ქრონიკა

მესაქონლეობის შესასწავლად საქართველოში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ბაქოში მესაქონლეობის საკითხების შესახებ გამართულ თათბირის მონაწილეთა ერთი ჯგუფი, რომელსაც მიზნად აქვთ დასახული გაიცნოს საქართველოს საქონლის ჯიშები და საერთოდ მესაქონლეობის მდგომარეობა საქართველოში.

საქართველოში მეს[illegible]ლეობის [illegible] შესასწავლად ჩამოსული არიან—მოსკოვის ზოოტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი ვლ. [illegible], ყუბანის [illegible]-სამ. ინსტიტუტის პროფესორი— ან. [illegible], ტაშკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი კარლ [illegible] და ხარკოვის სას.-სამ. ინსტიტუტის პროფესორი—[illegible].

თბილისის კულტურული სატყეო

[illegible] წელში თბილისის კულტურულ სატყეოში 2 ჰექტარის სივრცეზე გაშენებულია [illegible] სატყეო სანერგე, სადაც უმთავრესად გაშენებულია სიცხის ამტანი როგორიც [illegible], ისე უცხო ჯიშის ხეები. სულ [illegible] გაშენებულია 50 ჯიშის მცენარე.

ეს სანერგე ნერგებს მიაწვდის თბილისის ბაღებს და აგრეთვე იმ სკოლებსა და საავადმყოფოებს, რომლებიც მოისურვებენ თავიანთ ეზოებში ბაღების გაშენებას.

გარდა ამისა, წელს ვაზიანის მიდამოებში 8 ჰექტარის სივრცეზე გაშენებული იქნა ახალი ტყე.

ახალი ტყე გაშენებულია აგრეთვე არსენალის ახლო-მახლო გორებზე.

თბილისის აღმასკომში

◆ სკოლების შესაკეთებლად თბ. აღმასკომმა განათლების განყოფილებას გადასცა 30.000 მანეთი.

◆ „თბილისის ვაჭრობის" ლიკვიდაციის გამო სამშენებლო მასალების დამზადების საქმე თბილისის აღმასკომმა გადასცა საზ-ბა „სამშენს".

ექსკურსიები

◆ **კავკავში.** სახქონთა მუშაკების კავშირი 21—23 ივლისს აწყობს ექსკურსიას კავკავში 120 კაცის შემადგენლობით.

◆ **ბათომში.** ტრანსპორტის მუშათა კავშირი 21 ივლისს აწყობს ექსკურსიას ბათომში.

◆ **ხევსურეთში.** პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ გადასწყვიტა ახლო ხანში მოაწყოს ექსკურსია ხევსურეთში.

მიწსახკომში

◆ ტრაქტორზე მომუშავეთა კურსები გაიხსნება 20 ივლისს.

◆ თბ. ცენტრალურ მეაბრეშუმეობის სადგურის საცდელ განყოფილების ხელმძღვანელად მიწსახკომმა მოიწვია ქიმიკოსი პეტროვი.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის კვირის №-ში მოთავსებული წერილი „კოლმეურნეობის ფორმების შესახებ" კორექტურული შეცდომით ხელმოწერილია: ვლ. ცაგარეიშვილი; უნდა იყოს: ვლ. ცაგარელი.

ხელოვნება

საზაფხულო საკლუბო მუშაობა

(ხელოვნების მუშაკთა კლუბი)

კლუბი გაიხსნა ა.-წ. 25 ივნისს. წელს კლუბის ბაღში მოწყობილია დახურული საკონცერტო პავილიონი 350 კაცისათვის. ამას გარდა, აგებულია მთელი რიგი საჭირო შენობები და [illegible]. კლუბის წინანდელ ნაგებობათა საფუძვლიანად გადაკეთება დაჯდა 6.000 მანეთი. აქედან 3.000 მანეთი შეგროვილი იქნა ხელოვნების მუშაკთა დღის მოწყობის საშუალებებით, დანარჩენი თანხა კი გაიღო კავშირმა. ყველა ნაგებობანი შესრულებულია ახალი კონსტრუქტიული სტილით, რისთვისაც მოწვეული იყო სახკინმრეწვის მხატვარი ბორრამენსკი.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის სპეციფიურობის გამო კლუბის გამგეობას უნდება გადასინჯოს საკლუბო მუშაობის ის მეთოდები, რომელსაც ჩვეულებრივ მიმართავენ მუშათა კლუბებში. წელს კლუბის გამგეობას კურსი აქვს აღებული იმაზე, რომ სამსახური გაუწიოს კავშირის წევრების ძირითად მასას, ხელოვნების მუშაკთა ძირითად კადრს, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურის მხრივ ძალზე ჩამორჩენილია.

მუშაობის გეგმაში, გარდა ნებაყოფლობით საზოგადოების უჯრედების, სპორტწრეების, ახალგაზრდათა სექციის, კოოპერატიულ კომისიის და სხვ. მოწყობისა, შეტანილია აგრეთვე კინოს, ფოტოს, სახვითი ხელოვნების, თეატრალური და სხვა საწარმოო წრეების ორგანიზაცია, რომლებიც ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითი აზრის ლაბორატორიად უნდა გახდეს.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მუშა-ახალგაზრდობის ჩაბმას კლუბის მუშაობაში.

◆ **პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოში.** პროლეტარული დრამატიული სახელოსნო სამშაბათიდან თბილისის ყველა კლუბებში რეჟ. დ. კობახიძის ხელმძღვანელობით გამართავს დიდ ლიტერატურულ-იუმორისტულ საღამოებს.

◆ **ხელოვნების სასახლეში** დღეს სრ. საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის საჯარო სხდომაზე მოხსენებას გააკეთებს რაჟდენ გაბლაძე: „ნინოშვილი და გორკი". შესვლა თავისუფალია.

◆ **სიმფონიური კონცერტი.** დღეს საბჭოთა მუშაკების კლუბში გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

ქუთაისი

(ტელეფონით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ქალაქის საბჭოს სხდომა

18 ივლისს შესდგა ქუთაისის საბჭოს სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა განათლების განყოფილების და შრომის ინსპექციის მოხსენება და აგრეთვე მოხსენება პრობკის ხის მოშენების შესახებ ქუთაისის მაზრაში.

ხე-ტყე რიონჰესისათვის

რიონჰესის სამუშაოთა სამმართველომ ხელშეკრულება დასდო რაჭის აღმასკომს ხე-ტყის სახერხ ქარხანასთან ქუთაისში 42 ათას ოთხკუთხი ვერშოკი დახერხილი მასალის დამზადების შესახებ.

ქალაქის კეთილმოწყობა

დაიწყო არხის გათხრა ზდანოვიჩის ქუჩაზე და თეთრი ხიდის კაპიტალური შეკეთება, რომლისთვისაც გადადებულია 61 ათასი მან., დაწყებულია აგრეთვე ყაფნის გაფართოება, ყოფ. ღულაძისეულ ეზოს მოედნათ გადაკეთება და ახალი კომ. შენობის აგება, რისთვისაც გადადებულია 78 ათასი მან.

უძრავ ქონებათა ქვე-განყოფილება შეუდგა ქალაქში მიწების ჩამორთმევას იმ პირებისაგან, ვისაც ნორმაზე მეტი ჰქონდა მიწები და დღემდე ჩამოურთმეველი იყო. დღემდე ჩამორთმეულია 63 ნაკვეთი, სივრცით 7 დეს. 640 ოთხ. საჟენი.

პასტერის ქვე სადგური

ივნისის განმავლობაში ადგილობრივ პასტერის ქვესადგურში გაიარა 111 ახალმა ავადმყოფმა. ამათგან—ქუთაისიდან იყო 70, ქუთ. მაზრიდან—27, რაჭის მაზრიდან—7 და ზუგდიდის მაზრიდან—7.

ავადმყოფთა უმეტესი ნაწილი ძაღლების მიერ არიან დაკბენილნი.

სხვა მაზრებიდან მოსულ ავადმყოფთათვის სადგურში არის 20 საწოლი. სადგურში მწოლიარე ავადმყოფებს უფასოდ ეძლევათ ბინა და კვება.

სესხი კომუნალური ბანკიდან

კომუნალურმა ბანკმა ქუთაისის სამაზრო აღმასკომს სესხათ მისცა 23 ათასი მანეთი ქუთაის-სამტრედიის აბანოების მოსაწყობათ. ზესტაფონის აბანოს მოსაწყობად შორაპნის სამაზრო აღმასკომს სესხად მიეცა 14 ათასი მანეთი, ხოლო 18 ათას მანეთს თვით აღმასკომი გაიღებს. იმავე ბანკიდან 5.000 მანეთი მიეცა ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომს აგურისა და კრამიტის ქარხნის საჭიროებისათვის, ხოლო 6.000 მანეთი სამტრედიის აღმასკომს ასეთივე ქარხნის მოსაწყობათ. ქუთაისის სამაზრო აღმასკომს მიეცა 37 ათასი მანეთი საავადმყოფოს, 22 ათასი მან. ხიდების, ხოლო 18 ათასი მანეთი სასტუმროების შესაკეთებლად.

ხარაგოულისა და საჩხერის თემაღმასკომებს მიეცათ პირველს 3 ათასი, ხოლო მეორეს—5 ათასი მან. ელსადგურების დასასრულებლად.

ჩამორთმეულ სახლთა რაოდენობა

დღემდე სამაზრო აღმასკომისაგან გამოყოფილ ცალკე კომისიის მიერ აღრიცხვაზე აყვანილია 201 ჩამოსართმევი სახლი. აღრიცხვა გრძელდება.

შემთხვევები

ორპირის თემის სოფელ ჯვარისაში 9 ივნისს სახლის სახურავიდან გადმოვარდა და იქვე გარდაიცვალა მეთუნუქე ივანე გიორგაძე.

თვითმკვლელობა. 16 ივლისს ლენინის ქუჩაზე თავი მოიკლა გრიგოლ მესხმა. თვითმკვლელობასთან დაკავშირებით დაპატიმრებულია მესხის ცოლი და სიდედრი.

თავდასხმა. 15 ივლისს ბაღდადის გზაზე მომავალ დღლიჟანს თავს დაესხა ორი უცნობი. ბოროტმოქმედებმა მოასწრეს მხოლოდ 80 მან. წართმევა მგზავრებისათვის. მიღებულია ზომები თავდამსხმელების შესაპყრობათ.

ა.-კ. ეკონომ. საბჭოში

ნედლი ბამბის ფასები

ა.-კ. ეკონომსაბჭომ მიზანშეწონილათ სცნო, რომ ამიერ-კავკასიისთვის შემუშავებული იქნეს ნედლი ბამბის ერთიანი ფასები.

ვინაიდან მებამბეობის განსავითარებლად ამიერ-კავკასიაში არ არის არახელსაყრელი ეკონომიური პირობები, რასაც მოსდევს პროდუქციის მაღალი თვითღირებულება, დაბალი ხელფასი და ამ კულტურის განვითარების ნელი ტემპი, ა.-კ. ეკონომსაბჭო საჭიროთ სცნობს, რომ ამიერ-კავკასიის ბამბაზე დაწესებული იქნეს წამახალისებელი ფასები.

კოოპერაციის ანგარიშგების ფორმები

ვინაიდან ა.-კავკასიის ცალკე უწყებები კოოპერაციას ხშირათ უდგენენ მოთხოვნილებას ისეთი ცნობების მიწოდების შესახებ, რომლების გაცემაც კოოპერაციისათვის სავალდებულო არ არის, ა.-კ. ეკონომსაბჭომ წინადადება მისცა სამომხმარებლო კოოპერაციას ანგარიშგები წარუდგინოს რესპუბლიკანურ კავშირებს და „ზაკსოიუზს" ხადირექტივო ორგანოების მიერ დამტკიცებულ ფორმების თანახმად და არავითარი დამატებითი ფორმები არ შეადგინოს არც ვაჭრობის კომისარიატის და არც სხვა რომელიმე დაწესებულებისათვის.

მშენებლობის ფინანსებით მომარაგების მოწესრიგება

მშენებლობის გაიაფების და საამშენებლო მუშაობის რაციონალურათ წარმოების მიზნით ა. კ. ეკონომსაბჭომ დაადგინა, რომ კაპიტალური მშენებლობის ფინანსებით მომარაგების საკონტროლო ციფრები შედგენილი და დამტკიცებული იქნეს საბიუჯეტო წლის დამდეგამდე ერთი თვით ადრე და საჭირო თანხები მშენებლობას გადაეცეს საბიუჯეტო წლის დასაწყისშივე. იმ სამუშაოთათვის, რომლებიც გაგრძელდება ერთ წელიწადზე მეტი, შედგენილი უნდა იქნეს ხუთკვარტალიანი გეგმა რომელშიაც გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდგომი საბიუჯეტო წლის პირველ კვარტალში საჭირო თანხა.

შემთხვევები

მკვლელობა

სოფელ დიღომის მცხოვრებმა ანტონ გიგუაშვილმა ჩხუბის დროს ხანჯლით მოჰკლა თავისი მეზობელი სიმონ გიგუაშვილი. მკვლელი ანტონ გიგუაშვილი დაპატიმრებულია.

თვითმკვლელობის განზრახვა

რამოდენიმე ხნის წინად თბილისში ჩამოვიდა და სასტუმრო „პარიზ"-ში დაბინავდა მოქ. ვერა ვასილიევა. 16 ივლისს ვერა ვასილიევამ თვითმკვლელობის მიზნით ორთაჭალის მიდამოებში ტანზე გადაისხა ბენზინი და წაუკიდა ცეცხლი. ახლო მყოფმა აგურის ქარხნის გამგე ამხ. ვასაძემ დაინახა ცეცხლი და სიკვდილისაგან გადაარჩინა ვასილიევას ქალი, რომელიც მძიმე მდგომარეობაში გადაგზავნილია რკინის გზის საავადმყოფოში. კვლევა-ძიება სწარმოებს.

კატასტროფა

ავტომობილი № 197, რომელსაც მართავდა შოფერი გ. დანიელოვი, პლეხანოვის პროსპექტის და პასტერის ქუჩის კუთხეში დაეჯახა ტრამვაის ვაგონს № 116. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ავტომობილი საგრძნობლად დაზიანდა.

ქურდობა

16 ივლისს, ღამით უცნობმა ბოროტმოქმედებმა გასტეხეს ლ. ილინის მაღაზია (ლენინის ქუჩა, № 52), საიდანაც გაიტაცეს 100 მანეთი ფულად და 150 მანეთის საქონელი.

გაქურდეს ერ. ჯანდიევის ბინა (ყოროღანოვის ქ., № 10), მოპარულია 180 მანეთის ნივთები.

მოქალაქე ა. კვარაცხელიას ბინიდან (კერესელიძის ქ., 46), მოიპარეს ოქროს საათი და სხვადასხვა ნივთები. გარდა ამისა 16 ივლისს ქალაქში აღრიცხულია ექვსი სხვადასხვა ქურდობა.

ჯიბგირობა

მოქ. კოსტა ნიკოლოზის ძე ხიაზუვაევს (მცხ. მილიუტინის ქ. № 10) ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 130 მანეთი.

ტრამვაის ვაგონში ასვლის დროს მოქ. ლაზარე ლევანის ძე გომელაურს ჯიბიდან ამოაცალეს 120 მან. ფულად და საბუთები.

მოქ. დავით გიორგისძე მალხაზაშვილს ცენტრალურ ბაზარში ჯიბიდან ამოაცალეს 43 მანეთი. ეჭვით დაპატიმრებულია ასკან ოვანის ძე პეტროსიანცი.

მემწვანილეთა ბაზარში მოქ. ტერესიანცს (დავითაშვილის ქ. №16) ჯიბიდან ამოაცალეს 30 მანეთი და საბუთები.

მოქ. ივანე გრიგოლისძე ლოლაშვილს (პლეხანოვის გამზირი № 5) რიყეზე ჯიბიდან ამოაცალეს 56 მან. ფული.

კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის სპარტაკიადა

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სპარტაკიადის მეორე დღეს (16 ივლისს) სწარმოებდა ცილობა ხელოვნურ ყუმბარის ტყორცნაში.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიჭირა კავკასიის პირველ მსროლელ დივიზიის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა კავკასიის მესამე მსროლელ დივიზიის გუნდი. მესამე ადგილი ხვდა ა.-კ. სახ. პოლიტსამმართველოს გუნდს.

ამავე დღეს, ლენინის სახელობის სტადიონზე ჩატარდა ცილობა—სიგრძეზე ხტომაში. საუკეთესო შედეგებს მიაღწია ა.-კ. სახ. პოლიტსამმართველოს გუნდმა. მეორე ადგილი დაიჭირა აზერბეიჯანის მსროლელ დივიზიის გუნდმა.

ვაკეში ჩატარდა შეჯიბრება 3.000 მეტრზე რბენაში. პირველი ადგილი ხვდა კავკასიის მესამე მსროლელ დივიზიის გუნდს:

მეორე ადგილი დაიკავა სახ. პოლიტ. სამმართველოს გუნდმა.

გარდა ამისა, ვაკეში მეთაურთათვის ჩატარდა შეჯიბრება 3.000 მეტრზე რბენაში.

საუკეთესო შედეგებს მიაღწია ამხ. ზოლოტარევმა. (პირველი დივიზია), მეორე ადგილი ხვდა—ხაფრონოვს (პირველი დივიზია), მესამე ადგილი აიღო—[illegible]:

ამავე დღეს ლენინის სახ. სტადიონზე სწარმოებდა ინდივიდუალური შეჯიბრება სიგრძეზე ხტომაში. პირველი ადგილი დაიკავა—საპინმა, რომელიც გადახტა 5 მეტრსა და 96 სანტიმეტრზე. მეორე ადგილზე გამოვიდა სიბაკოვი, რომელიც გადახტა 5 მეტრსა და 91 სანტიმეტრზე.

ღვინის დახარისხება

მიწათმოქ. სახალხო კომისარიატის სასოფლო-მეურნეობის სამმართველოში შესდგა მეღვინეობის სპეციალისტების თათბირი ყურძნის ღვინის ახალი ნომენკლატურის (დახარისხების) შემოღების შესახებ. თათბირზე გამოირკვა, რომ ამჟამად არსებული ღვინის ნომენკლატურის წესი არავითარ დადებით შედეგებს არ იძლევა, პირიქით ჰქმნის სიძნელეებს ღვინის წარმოებაში და ამავე დროს იწვევს ზედმეტ ხარჯებს, რისთვისაც თათბირმა საჭიროდ სცნო აუცილებლად გამომუშავებული იქნეს სწორი კლასიფიკაცია მეღვინეობის დარგში.

ახალი ნომენკლატურის შემოღებას საფუძვლად უნდა დაედოს რაიონების და ვაზის სახელწოდება (როგორც, მაგალითად, თელიანი, ნაფარეული და სხ.).

თათბირმა აგრეთვე საჭიროდ სცნო მაგარ ღვინოებს მოეხსნას უცხო სახელწოდებანი, როგორიც არის „მადერი", „ხერეს", „პორტვეინი" და სხვა, ხოლო ღვინის ღირსების და ხასიათის მაჩვენებლად შემოღებული იქნეს: „ამა და ამ ტიპის ღვინო", მაგალითად მადერის ტიპის კარდანახის ღვინო და სხ.

სადესერტო ღვინოს, ტკბილს და ნახევრად ტკბილ ღვინოს უნდა ეწოდოს ადგილობრივი სახელი და აგრეთვე იმ ვაზის სახელიც, რომლიდანაც ის იქნება დამზადებული.

თათბირმა აგრეთვე გადასწყვიტა ძველი ღვინოები დაახარისხოს წლების მიხედვით და შემოღებული იქნეს შემდეგი სახელწოდებანი: „2 წლის ღვინო", „3 წლის ღვინო", „5 წლის ღვინო" და სხ.

გარდა ამისა, თათბირმა დაადგინა ღვინის ეტიკეტებზე არ იქნეს არავითარი ისეთი წარწერა, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება არ ექნება თვით ღვინის სახელწოდებასთან. სახელწოდების გარდა ეტიკეტებზე აღნიშნული უნდა იქნეს ღვინის ღირსების ანალიზის ნიშნები და წარწერები.

სასამართლო

გაჭირვებულთა გამჭირვებელი, ანუ გირაოს ძიება „რიგს გარეშე"

იცით ვისზეა ლაპარაკი?

ლაპარაკია თბილისის ლომბარდის ერთ თანამშრომელზე, რომელსაც გაჭირვებულ, ე. ი. ნივთიერად ხელმოკლე ხალხთან ჰქონდა საქმე.

მართალია, საუქციონო განყოფილების ბუღალტერს უშუალოდ არ ევალებოდა გაჭირვებულ ხალხთა დახმარება (!), მაგრამ ის იმდენად „კეთილმოქმედი" იყო, რომ მძიმე პირობებში ჩავარდნილ ნაცნობ-მეგობრებს „დახმარების" ხელს უწვდიდა. (!)

როცა ვინმეს რამე მოულოდნელი შემთხვევა ცხოვრებაში, რაც დაკავშირებულია ერთ გვარ ნივთიერ ღონისძიებასთან, ერთ-ერთ გამოსავალს ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირისათვის წარმოადგენს რაიმე ნივთის დაგირავება და ხელის მოსანაცვლებელი თანხის მიღება სახელმწიფო დაწესებულებიდან.

სწორედ ასეთ ხალხთა „დახმარება" იკისრა თბილისის ლომბარდის თანამშრომელმა ვასილ ვლადიმერის ძე გვერდწითელმა.

გვერდწითელი საუქციონო განყოფილებს ბუღალტერი იყო.

— ძალიან გაჭირვებული ვარ, თქვენ ალბათ, აქ კარგად გიცნობენ. თქვენ და თქვენი „ღმერთი", მიიღეთ ეს ოქროს ბეჭედი და რიგს გარეშე მიაღებინეთ ლომბარდში, —ეხვეწება ბუღალტერს ნაცნობი ეკატერინე ჩხიკვიშვილი.

გვერდწითელმა სიამოვნებით ჩამოართვა ოქროს ბეჭედი და ხვალისათვის დაიბარა ქალი ფულის მისაღებათ.

ასეთმა „ხვალი"-მ ბევრმა განვლო. გვერდწითელმა ოქროს ბეჭედი დააგირავა ლომბარდში, მაგრამ მიღებული ფული ჩაიჯიბა. ქვითარი დაუბრუნა ბეჭდის პატრონს და უთხრა, რომ საქმე რიგს გარეშე მოაწყო. მაგრამ სალაროში ფული არ აღმოჩნდა!

გაჭირვებულმა გ. თუთბერიძემ საკერავი მანქანა მიუტანა თავის ნაცნობს გვერდწითელს და სთხოვა რიგს გარეშე (!) დაგირავება ლომბარდში. რადგან ძალიან სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ფული.

ბუღალტერმა ნაცნობს გაუკეთა „პროტექცია" და რიგში არ გააჩერა. დააგირავა მანქანა. ფულზე ლაპარაკი ზედმეტია.

როცა მთელმა კვირეებმა განვლო, თუთბერიძე იძულებული გახდა სპეციალური განცხადებით მიემართა ლომბარდის გამგისათვის.

გვერდწითელზე გამგის შენიშვნამაც არ იმოქმედა.

მეორე დღესვე რიგს გარეშე მიიღო ოქროს ბეჭედი ნინა დავითაშვილისაგან და რიგს გარეშე (!) დააგირავა.

სოფიო პარკაძის სარკე და ბეჭედიც რიგს გარეშე (!) დააგირავა გვერდწითელმა და პატრონს მხოლოდ ქვითარი დაუბრუნა.

ფული კი გვერდწითელის დაპატიმრების შემდეგ ნათესავებმა გადაუხადეს დამგირავებელს.

ერთ მოქალაქეს, სახელდობრ სიმონ ბერძენს, რომელსაც გადაუდებელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დაგირავებული ჰქონდა ძვირფასი ნივთები, გვერდწითელმა დიდი სამსახური (!) გაუწია: გამართვა პროცენტები გირაოს გასაახლებლად, პროცენტად მიღებული 13 მანეთი გვერდწითელმა რიგს გარეშე მიითვისა. ლომბარდმა პროცენტების შემოუტანლობის გამო ბერძენის ნივთები გაყიდა აუქციონში, რასაკვირველია, უფრო მეტ ფასად, ვინემ ნივთები იყო დაგირავებული.

განსხვავება, ე. ი. თანხა, რომელიც ხვდა ბერძენის ნივთებს საჯარო ვაჭრობის დროს, გვერდწითელმა ჯიბეში ჩაიდო და პროცენტებთან ერთად შესანსლა.

ასეთი ბევრი რამ გაუკეთებია „ნაცნობ-მეგობრების" „საპატივსაცემლოდ" ვასილ გვერდწითელს.

ამა წლის მაისში შესწყდა გვერდწითელის „კეთილმოქმედება" მან გამასხლში ამოჰყო თავი და ალბად საკმაო ხნით დარჩება იქ.

საქმე ახლო მომავალში გაირჩევა.

უდანაშაულონი

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ფინსახკომის ადგილკომის თავმჯდომარე ვიქტორ ალექსანდრია და პასუხისმგებელი მდივანი სევერიან არსენიძე პასუხისგებაში იყო მიცემული. მათ ბრალად ედებოდათ სამსახურისადმი გულგრილობა, რამაც თითქოს ზარალი მიაყენა მუშა-მოსამსახურეების ინტერესებს.

საინტერესოა ამ საქმის ერთი მხარე. საქმე აღიძრა მაშინ, როცა ადგილკომის თავმჯდომარეს საშუალება არ ჰქონდა ყოველმხრივ ანგარიშები ჩაებარებია რევიზიისათვის, რადგან იმ ხანებში ადგილკომიდან ჩამოცილებული იყო და სხვაგან იმყოფებოდა.

პირველი გამოანგარიშებით დანაკლისი ვითომ 1787 მანეთი იყო. როცა საქმე გამომძიებელს გადაეცა ეს დანაკლისი ჩამოვიდა 513 მანეთამდე, ხოლო როცა სასამართლოს წარუდგა ადგილკომის თავმჯდომარე საბუთებით ხელში, ყველა „დანაკლისები" გაქრა.

ადგილკომის თავმჯდომარე ვიქტორ ალექსანდრია და მდივანი სევერიან არსენიძე ცნობილ იქნენ სავსებით უდანაშაულოდ და მათ მოეხსნათ ყველა ბრალდებები.

ვერ.

ვის ჩამოერთმევა სახლები

მიქელაძეს (ბარნოვის და კერესელიძის ქ., № 23—6), კრუგლიკოვებს (ფეოდოსიევის ქ. № 10), ხარაზოვს, სოკოლოვსკის და ბახტაძეს (ბარნოვის ქ. № 50), აბულაძეს (ზურაბოვის და დაღესტნის ქ. № 29-11), ოგანეზ ბაგრატ და სურიკ ანგურიანცებს (გუდაურის შეს. № 2), ევგენი გურგენოვს (ლენინგრადის ქ. № 8), ვლადიმერ რუსტიაშვილს (ერისთავის ქ. № 10), მელიქსეტოვ-შიზკოვს (ზარიადნი შეს. № 5), ქარელი დურლარიანს (მერკვილაძის ქ. № 29), მატრ. ორჯაძეს (ვე[illegible]ის ქ., № 8-9), აბგაროვს (პლეხანოვის პრ. № 71), [illegible] (კერესელიძის ქ. №14-7), [illegible] (ორჯონიკიძის ქ. № 32), ნიჟარაძეს და სხვ. (ტრიბუნალის და ჰავჭავაძის ქ. № 39-7), მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს (ორბელიანის ქ. № 4-6), მარტიროსიანცს (მადათოვის ქ. № 7), ამირიძეს ორბელიანის ქ. № 14), სოლომონ და ტიგრან პოსტიანცებს (ორბელიანის ქ. № 5), გოთლიბ შტარკს (საგურამოს ქ. № 8), გიორგი ბერიას (საგურამოს ქ. № 13), დიმიტრიევს (ბროსეს ქ. № 8), კვანტრიშვილს, მაჭავარიანს და ცოტიშვილს (საგურამოს ქ. № 10), ივანე კოზლენკოვს (ორბელიანის ქ. № 18), ხარაზიანცებს (ორბელიანის ქ. № 20-4), ვერა ბოგოიავლენსკაიას (ცეტკინის ქ. № 180-18), ზუბალოვს (გრიბოედოვის ქ. № 16), ზაქარია პოპოვს (გრიბოედოვის ქ. № 5), ოლიმპიადა ლალიძეს (გრიბოედოვის ქ. № 9-6), ივანე მათეშვილს (ორბელიანის ქ. № 8), მჭედლიძეს და მგალობლიშვილს (ბროსეს ჩიხი № 8), რიჩარდ ლონგოს (ბროსეს ქ. № 7), ლეჟავაშვილებს (ბებუთოვის ქ. № 6-5), თეკლე ალადაშვილს (ვადაჩნის ქ. № 3), ლევან ავეტოსოვს (კარაკლისის ქ. № 7), ფირაქოვებს (ჩეხოვის ქ. № 3-51), თამაზოვს (პრეობრაჟენსკის ქ. № 8), არუთინოვს (ივანიძის ქ. № 34), კარაპეტოვებს (ვადავოზნის ქ. № 12-2), პანიოტ მიხაილიდის (ჩერქეზიშვილის ქ. № 92), ნ. ნიკონოვს (ვადავოზნის ქ № 4), დობროვოლსკაიას (იგივე ქუჩა № 10), სერგეევებს (კალინინის ქ. № 88), ს. მალჩანოვს (ორბელიანის ქ. № 12), უმიკოვს, ბუსურაშვილს და ენჩიანცს (ვადავოზნის ქუჩა № 8), კაჩოვას და სხვ. (იგივე ქუჩა № 6), პანინიანცს (ვაჟა-ფშაველას და ახალი ბებუთოვის ქ. № 3), სარუხანოვებს (გოგიშვილის 1-ლი ჩიხი № 2-1), ოტგერნს (ვეძინის ქ. № 12), კუპალიანცს (გოქჩის ქ. № 25), შუმანს (მგალობლიშვილის და გიმნაზიის ქ. № 4), ზაალიშვილს და ოდიშელიძეს (ბესიკის ქ. № 20) მ. ხუბლაროვს (ჩერქეზიშვილის ქ. № 93), ა. სააკიანცს (ტრიბუნალის ქ. № 9), გ. ქვლივიძეს (პლეხანოვის პრ. № 82), პოლოს მიქაელიანცს (კალინინის ქ. № 90), სერგო დვალიშვილს (ტრიბუნალის ქ. № 20), ასლან ბაირამოვს (ტრიბუნალის ქ., № 16-5), გეტაშვილს და ფიცხელაურს (ჩერქეზიშვილის ქ. № 48-80), ტ. ლვამიჩავას და ბრეგაძეს (ტრიბუნალის ქ. № 18-7), ქავთარაძეს და ოჯაელიანცს (ეორისის ქ. № 37-37 ა), ჟვანიას და ჯაყელს (ბელინსკის ქ. № 42), ნ. იგითხანოვს (კროპოტკინის ქ. № 5), სააკოვს (პრესის ქ. № 23), ვარდანოვს (ორბელიანის ქ. № 3-5), თ. ტულინოვს და სხვ. (ბათომის შეს. № 1-79), ალდანოვს (ძნელაძის ქ. № 7), ჩაჩანაშვილს (გოგჩის ქ. № 4-2), მარ. ჯულელოვას (მილიციის ქ. № 8), ალ. ხარიშჩანოვს (ბესიკის ქ. № 12), პოპოვს და აკოპოვს (მტკვრის და ორბელიანის ქ. № 2-38), ნანიეშვილს ორბელიანის ქ. № 32-1), გურგენიძეებს (ობოლაძის შეს. № 2), მირზაჟუმოვას (ორბელიანის ქ. № 35), მარტიროსოვს (ორბელიანის ქ. №39-25), ტატულოვს (ფოსტის და კახეთის ქ. № 1-24), ეკატერინე მუჩაიძეს (კალინინის ქ. № 81-2), გოგინოვს და ხულხაშვილს (პრესის ქ. № 15).

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 18 ივლისი

დღეს, 18 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი — განმარტება რუსულ ენაზე.
სიცოცხლის წარმოშობა — მოხსენება ქართულ ენაზე.
მუშათა რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე.
ავიაციის როლი მშვიდობიანობისა და ომის დროს — მოხსენება რუსულ ენაზე.
ამიერ - კავკასიის თავდაცვა - ავიაქიმის მიღწევები თავდაცვის კვირეულისათვის — მოხსენება რუსულ ენაზე.
მასიური აგიტპროპმუშაობა — მოხსენება რუსულ ენაზე.
გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები ქართულ და რუსულ ენებზე.
საფოსტო ყუთი.
კონცერტი ან ტრანსლიაცია.
ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — ქართულ და რუსულ ენებზე.
მოხსენებებს შუა — მუსიკალური ნომრები.

იურიდიული დახმარება

ამხ. შალვა და დავით იამანიძეებს

კითხვა:

გვქონდა დედის დის შვილებთან ერთად მიწა და წისქვილი, რომლითაც ვსარგებლობდით 1927 წლამდე. დღეს ამ ქონებას დაეპატრონენ დედის დის შვილები და ამით მოგვესპო არსებობის სახსარი. გთხოვთ გვიპასუხოთ, როგორ მოვიქცე, რომ აღვიდგინო ჩემი უფლებები კუთვნილ ქონებაზე.

პასუხი

თუ თქვენ მიერ დასახელებულ მიწა დაგეტოვათ სარგებლობაში და თქვენი დედის დის შვილებმა მიისაკუთრეს იგი, შეგიძლიათ მიმართოთ იმ ადგილის რაიონის სადგილმამულო სასამართლოს კოლეგიას, სადაც არის აღნიშნული მამული.

ანა ვეფხვაძეს

კითხვა

1919 წ. მოვიყვანე დარჩენილი ნათესავი ბავშვი, რომელიც იმ ხანებში იყო დაახლოებით 7 წლისა. ბავშვი აღვზარდე, მაგრამ არ მიშვილებია. ამჟამად ის აპირებს გათხოვებას და თხოულობს წილს. გთხოვთ მიპასუხოთ ერგება მას ჩემი ქონების ნაწილი თუ არა.

პასუხი:

თუ თქვენ კომლს შეადგენთ, თქვენ მიერ 1919 წელს სახლში მოყვანილი ნათესავი ბავშვი, რომელიც განუწყვეტლივ თქვენთან ცხოვრობს, კომლის წევრათ ჩაითვლება, რადგან იგი თქვენთან ოჯახურად დაკავშირებულია. ამიტომ მას გათხოვების გამო აქვს უფლება მოითხოვოს წილი საერთო ქონებიდან და არა მიწიდან. ხოლო თუ თქვენ კომლს არ შეადგენთ, ე. ი. არ გაქვთ მიღებული ან დატოვებული მიწა სოფლის მეურნეობისათვის, თქვენ ნათესავ ობოლ ბავშვს არ აქვს უფლება მოგთხოვოთ წილი იმ ქონებიდან რაც თქვენ პირადათ გეკუთვნით.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 18 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: ევგენი კოჩოვი, ვასილ კორენკოვი, კალენა პროლეტარსკაია, თეოფილე ქობოხიძე, ივანე კაუტესოვი, ანდრო ბაგიევი, გრიგოლ ბუთიონოვი, მიხეილ კარუტინი, პ. კონოსენკო და ალექსი ჯიქია.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: კიმოთე დარახველიძე, ნიკოლოზ ჩხეიძე, პორფილე მეფარიშვილი, დიმიტრი სანიკიძე, მარინე სარიშვილი, მიხეილ მაგაშვილი, ბარბალე დალიაშვილი, ემელიანე სტურუა, გერონტი გაგუა, გედევან თალაკვაძე, ალექსი გოგობერიშვილი, ვარლამ ბედია და ალექსი ურუშაძე.

მედსექციიდან: თებრონე მჭედლიშვილი, ცაცა სანიძე და ელენე ბსილავა.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 23—142

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

10 ივლისი 1928 წელი

შესაცვლელად ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს 1928 წლის იანვრის 28 დადგენილებისა № 9/128 ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაწესებული იქნას გამომცხვარ პურზე შემდეგი საზღვრითი საცალო ფასები კოოპერაციასთან, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის ქ. თბილისში:

1 ხარისხის 1 კილოგრამზე 20 კაპ.
ერთი ხარისხოვან (შავი განსაკუთრებულ. სტანდ.) 15 კაპ.

§ 2.

დაწესებულ იქნას ქართულ (თონის) პურზე საცალო ფასები ორი კაპეიკით მეტი თითო კილოგრამზე ხარისხების მიხედვით.

§ 3.

ქალ. თბილისის აღმასკომთან არსებულ შინა-ვაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალ-ყური ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 4.

ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 5.

დადგენილება ესე ძალაში შედის ა.-წ. 10 ივლისიდან.

ა.-კ. ვაჭსახკომის რწმუნებული საქართველოში. სააკიანი.

პარტიული კალენდარი

სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. გაერთიანებულ უჯრედთა კრება შესდგება 18 ივლისს საღამოს 6 საათზე. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

ხუთშაბათს, 19 ივლისს, დილის 8 საათზე საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო და ბეჭდვითი განყოფილების გამგის ამხ. ნ. მამულიას კაბინეტში შესდგება საუნივერსიტეტო კომისიის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა შემდეგ ამხანაგებისათვის: ყურულაშვილი, ჯულელი, კანდელაკი, ასრიბეკოვი, ტოროშელიძე, სალუქვაძე, ზახაროვი, მიქაძე, სამოხვალოვი, გვაზავა, გეგენავა (პროლეტსტუდ.) ბარნაბიშვილი (კომკავშირის ცეკადან).

ოთხშაბათს, 18 ივლისს საღამოს 6 საათზე ლენრაიკომის შენობაში შესდგება ქალ-ორგანიზატორების თათბირი.

დასწრება სავალდებულოა.

გულდათუთქული მეუღლე ცეცილია (მინადორა), შვილები: დათა და შოთა აუწყებენ ნაცნობთ, მეგობრებს და ნათესავებს მარად დაუვიწყარ

მირიან გიტოს-ძე თენეიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს 19 ივლისს, 4 საათზე. კოტე მესხის შესახვევი № 6 (ყოფ. პრიუტის). 3053

დამწუხრებულნი დები: ვარდო, მაშიკო, თალიკო, თამარა; ძმები: მიხაკო და ილიკო; სიძეები გ. თათეიშვილი და ა. ყორანაშვილი; დის შვილი შ. დოლიძე და ბიძაშვილი ლ. თოიძე აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას

მირიან თენეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 19 ივლისს, 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 3055

მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის საქ. ცენტრალური გამგეობა და აფთმუშაკთა სექციის რესპუბლიკანური ბიურო ღრმა მწუხარებით იუწყება რესპუბლიკანურ ბიუროს წევრის და ადგილკომის თავმჯდომარის

მირიან თენეიშვილის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 6 საათიდან, გამოსვენება ხუთშაბათს, 19 ივლისს, 4 საათზე საკუთარი ბინიდან (პრიუტის ქ. № 6. 3054

ბიცოლა მართა დუმბაძისა შვილებით—ელისაბედ, თამარ, ბესარიონ (კოწია) ოჯახობით, პარმენი, ივანე ოჯახობით, გრიგოლ ოჯახობით და მეგობარი მიშა ჩხეიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფასი და დაუვიწყარ

ექიმ გრიგოლ (გრიშა) ლუარსაბის-ძე გეგელაშვილის

ტრაგიკულათ გარდაცვალებას სამსახურის ასრულების დროს ქ. ოდესაში 16 ამა ივლისს. (უ)

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი		ზღვის გმირი	1 და 2 სერია ერთად
საზაფხულო ეთერი	ოსი ოსვალდ საუკეთესო ფილმში	ნინიშ	
საზაფხულო დარბაზი	ლილიან გიშ მხატვრულ სურათში	გადატეხილი ზამბახი	
საზაფხულო პალასი	სეზონის საუკეთესო სურათი	დიდ ქალაქში	
პროლეტარი ავლაბარი		თეთრი არწივი	5 და 6 სერია

ანონსი: მალე ფილმი „რობინზონ კრუზო" 0—41

საზაფხულო კინო პალასი
დღეს და ყოველდღე
სეზონის საუკეთესო სურათი
დიდ ქალაქში
რეჟისორი ავერბახ—დონსკოი
მთავარ როლებში: იაკოვლევა, ბაბინინი, მალინოვსკაია, და სხვ.
ანონსი: მალე ,,რობინზონ კრუზო''
ნის. 1407



სახელმწიფო გამომცემლობა
მოითხოვეთ ახალი წიგნები.

ფრ. შილლერი — დონ კარლოსი (თარგ. ს. შანშიაშვილის) გვ. 104. ფასი 1 მან.

ბოლშევიკი და მახნოვი — შეკრებათა შორის მუშაობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. გვ. 36. ფ. 20 კაპ.

კომკავშირული — (ლექსები ე. ლუარსამიძის რედაქციით) გვ. 40. ფ. 30 კაპ.

ნის. 1385

საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთ საზაფხულო კლუბი
დღეს, 18 ივლისს,
სიმფონიური კონცერტი
პირველი გამოსვლა დირიჟორ ნ. ზ. ხეიფეცის
სოლისტი—მეჭიანურის ზენდიცკის მონაწილეობით
პროგრამმა: სტრავინსკის, კაზელის, დიუკის და ლალოს ნაწარმოებნი.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ბაღში კინო. სიმფონიური კონცერტის ბილეთები გამოდგება კინოსათვის.
უამინდობის გამო კონცერტი არ გადაიდება.
ხვალ 19 ივლისს კონცერტი გაიმართება ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ნ. 1392

ქალ. ლომბარდის საუქციონო კამერა
აცხადებს, რომ კვირას, 22 ივლისს, დილის 10 საათზე, კომუნალურ ქ. № 88, ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება ძმ. ზლოტოგორსკების ბამბის საპენტი ქარხანა მთელი მოწყობილობით. ნ. 1403

საქართველოს სატყეო მრეწველობა
უწევს რა ანგარიშს მყიდველებს და მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც ფართოდ სარგებლობენ ნისიით, ამათ აცხადებს, რომ ვინაიდან მოხდება გადაფასება ყველა საქონლის, როგორც პლეხანოვის პრ. № 29 მდებარე ავეჯეულობის მაღაზიაში, ისე საწყობებში და აგრეთვე 10—35 პროცენტამდე საქონელზე ფასების დაკლების მიზნით მოხდება საქარხნო კალკულიაციის გადასინჯვა, სწყვეტს ქ. თბილისის მუშა-მოსამსახურეებისათვის ფართო ნისიაობას ა. წ. 1 სექტემბრამდე.
იმის გამო, რომ ზოგიერთმა დაწესებულებებმა, როგორიცაა: რკინის გზის სამმართველო, ტრამვაი და სხვა, დღემდე არ აძლევენ თავის მოსამსახურეებს ხელშეკრულების მუხლით გათვალისწინებულ თავდებობას და ნისიაობის პირობების შესამსუბუქებლად საქ. სატყეო მრეწველობას განზრახვა აქვს შეცვალოს ხელშეკრულების ფორმა და გამარტივოს თავდებობა.
ქარხნის ამერიკა-შვეციის ავეჯეულობის სტანდარტზე გადასვლა: მაგიდები, სკამები, ბუფეტის კარადები და სხვა ავეჯეულობის, განსაკუთრებით კანცელარიის მოწყობილობის, რომლის ახალი გამოშვება განსხვავდება თავისი მსუბუქი კონსტრუქციით და სილამაზით და აგრეთვე ორ წყებათ მუშაობა იძლევა უფრო იაფ ფასებში პროდუქციის გაშვების შესაძლებლობას.
ნ. 1406
საქ. სატყეო ტრესტი.

ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართ. აღმასრულებელი
ა. გიორგაძე
ამით აცხადებს, რომ ის 24 ივლისს 1928 წ. დღის 3 საათზე სახლში № 8, ალექსეევის ჩიხში, პირველი საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. თამარა ჩიტაიას მოძრავ ქონებას: აგურის ერთსართულიან სახლს ეზოთი, 2 სამზარეულოთი, წყალსადენით და კანალიზაციით, შეფასებულს 1500 მანეთად, მოქ. არშაკ ბოღდანის-ძე ამირჯანოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ თბილისის მე-4-ხე სახალხო სანოტარო კონტორისაგან 17 მაისს 1928 წ. თარიღით, № 1768 გაცემულ აღმასრულებელ წარწერისა. ვაჭრობა იწარმოებს სამოქ. სამართლის საპროცესო კოდექსის 310, 311, 312 და 313 მუხლებში გათვალისწინებულ წესების დაცვით. 3043

ზუგდიდის და ხობის უბნების სახ. სასამართლოების აღმასრულებელი ი. დგებუაძე
ამით აცხადებს, რომ 20 ივლისს 1928 წ. დღის 12 საათზე ქ. ზუგდიდში მათე ისლამის-ძე ფიფიას სახლში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა რომელზედაც გაიყიდება იმავე ფიფიას მოძრავი ქონება: 50 ცალი ფიჭვის ფიცარი—შეფასებული 150 მან., ოთხი კარის და შვიდი ფანჯრის დახერხილი წაბლის ხის მასალა—118 მან. 62 კაპ.—შეფასებულები სულ 268 მან. 62 კაპ. ზუგდიდის საურთიერთო ნდობის საზოგადოების სალიკვიდაციო კომისიის რწმუნებულის დ. ვ. წ. სოკრატ კუშელავას ვალის დასაკმაყოფილებლად. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან. ნ. 1405

ქ. თბილ. გარე-უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
გ. მეგრელიშვილი
ამით აცხადებს, რომ 20 ივლისს 1928 წ., დღის 4 საათზე ს. წავკისში (კოჯორის თემი) საჯარო ვაჭრობით გაყიდის ლექსო ფეიქრიშვილის და ნიკოლოზ ქოროღლიშვილის მოძრავ ქონებას: ხარს, მოზვერს, ფურ-კამეჩს, ორ ზაქს, ტანისამოსის შკაფს, კედლის სარკეს, საწოლს და მაგიდას შეფასებულს 524 მანეთად, წავკისის კოოპერატივის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ თბილისის მაზრა ქალაქის სახალხო სასამართლოსაგან 29 თებერვალს 1928 წ. თარიღით, № 137 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3046

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8
ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5
მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—2

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.

ვიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

კბილის ექიმი
დ. ს. რიქინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე 25—1

ლოგოპედი
ტ. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედ. ის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
მისამართი: კ. ცეტკინის ქუჩა № 132

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეთი
ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

დაიკარგა: ბანძის „ეპოს" საწევრო წიგნაკი № 829 პეტრე ჯიქიას სახელზე, ჩ. გ. 3050

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) სიფილისის მუწუკები. ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დილის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კლარა ცეტკინას ქ. № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ.) ფოსტის გვერდით. 25—1

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. 13 მარტის დადგენილებისა № 12, ადმინისტრატიულ განყოფილების მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. არჩილ ევტიფეს ძე პატარკაცმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის „წვიმაძე"-ზე გამოცვლის შესახებ.
საერთო საადმ. განყ.
უფროსი ჯავახიშვილი
მმაჩის ბიუროს უფროსი
შარაშენიძე
საქმის მწარმოებელი
კიკ ლეიშვილი
2755

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფ. № 4. გაცემული ქ. გორის სამხედრო კომისარიატის მიერ ალექსანდრე გიორგის-ძე ჰაქიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3048

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი დიდუბე-ნაძალადევის მმაჩიდან გაცემული ციხეილ ივანეს-ძე პატარქალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3041

დაიკარგა: პირადობის მოწმობა ცოლისა და შვილისა № ჩ 151, სასურსათო ბილეთი ცხრა სამგზავრო კუპონით იქით-აქეთ № 116054 და ერთდროული ბილეთი ოზურგეთამდე სამი სულის № 79325 გაცემული ა. კ. რკ. გზ. სამმართველოდან ევტიხი პავლეს-ძე ჩიგოგიძის სახელზე, ჩ. გ. 3040

დაიკარგა: სამტრედიის პოლიტბიუროს მიერ გაცემული ნებართვა № 1451 „ნაგანის" სისტემის რევოლვერის ტარების „ბრაუნინგი"-ს № 7 და სანადირო თოფის ტარების ნებართვა № 345, რომელიც გაცემული იყო სამტრ. რაიონის მონადირეთა კავშირის მიერ—ბესარიონ დუნდუას სახელზე, ჩ. გ. 3044

დაიკარგა: საბჭ. და სავაჭრო მუშაკთა პროფ. კავშირის წიგნაკი № 264 პლატონ ნარმანიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1405

დაიკარგა: თამასუქი ასი მანეთიანი დავით ქარჩავას ხელმოწერილი ჩაქვა კობეშაძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 1405

დაიკარგა: რაჟდენ ოდიშარიამ დავით ქარჩავას და სილოვან ქირიას სახელზე გაცემული მოწმობა № 821 ზუგდიდის სატყეო განყოფილებიდან და ქვითარი 127 მანეთიანი პ. ეგუტიას ხელმოწერილი. ნ. 1405

დაიკარგა: ს.ა.ლ.კ.კ. მანდატი № 41229 პირადობის მოწმობა № 54 და სამხედრო ნუსხა № 66 მემედ სულეის ოღლის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1405

დაიკარგა: მანდატი № 0862262 კომკ. წევრობის ლევანი ნაჭყებიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1405

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი № 1571 დავით ლეონტის-ძე ქარაბაკის სახელზე, ჩ. გ. 3045

დაიკარგა: „ზაკტპო"-ს საწევრო წიგნაკი და სასურსათო ბარათი № 21253 აკაკი სოლომონის-ძე ფარცხალაძის სახელზე, ჩ. გ. 3047

დაიკარგა: 9 წლედის დამთავრების მოწმობა № 176 იპოლიტე ალექსანდრეს-ძე სულაძის სახელზე, ჩ. გ. 3038

დაიკარგა: საპენსიო წიგნაკი № 3681 გაცემული ოზურგეთის მაზრის სოციალ. უზრუნველყოფის განყოფ. მიერ გერმანე თომას-ძე ჰინჭარაძის სახელზე, ჩ. გ. 3038

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი 2 ცალი № 81743 მე-2 027.582 აბრამ მოშეს-ძე ციციაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3049

დაიკარგა: დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 525 | 1895 კირილე ისაკის-ძე ჯუჯუნაძის სახელზე, ჩ. გ. 3050

დაიკარგა: პირადობის მოწმობა 359, აკეთის თემიდან გაცემული ტიტიკო პეტრეს-ძე მახარაძის სახელზე, ჩ. გ. 3050

დაიკარგა: ოზ. ჰუმანიტარული ტექნიკუმის კურსის დამთავრების მოწმობა № 235, პროკოფი კილაძის სახელზე, ჩ. გ. 3050